

კოლეგიალი

კონსტანტინე ჭ. გამსახურდია



სცენის
ძიღმა

ଜନନେତ୍ରାନ୍ତିର୍ଦ୍ଦିନେ ୯. ଗାମ୍ବାନ୍ଦୁରଙ୍ଗାଳ

କଲ୍ପିତିକୁରି ସମ୍ବନ୍ଧିତ ମିଳମା



F 80. 292

3

It



«କାନ୍ଦାଳ»

წიგნის რედაქტორები
ნანა ცირამუა
ზვიად ბოკუჩავა

წიგნი მხატვრულიად ვააფორმა
ლეგან ჭოღოშვილმა

კომპიურტერული დიზაინი
ბაქარ მათიკაშვილისა

© გამომცემლობა „განდელი“

ISBN - 99928-27-12-2

თბილისი
2000



მკითხველის წინაშეა ძალზე საინტერესო და საჭირო წიგნი – „პოლიტიკური სცენის მიღმა“. თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ ამ თემაზე ქართველ მკითხველს თითქმის არ გააჩნია ლიტერატურა და მით უფრო, სანდო ლიტერატურა. რელიგია, პოლიტიკა, საიდუმლო ორგანიზაციები, მსონები, ინკვიზიცია, ლენინი, სოროსი, დემოკრატია და რეაქცია – აი, იმ თემების მოკლე ჩამონათვალი, რაც მკითხველს შეხვდება აზრობრივად დატვირთულ, ღრმად და ობიექტურად გააზრებულ ამ სამეცნიერო ნაშრომში.

მაგრამ მთავარი მაინც სხვაა: წიგნი დაწერილია ქართველის მიერ, რომლისთვისაც გლობალური პრობლემების განხილვისას ამოსავალი წერტილი ყოველთვის ისაა, თუ როგორ გაართმევს თავს მსოფლიოს ურთულეს, ფარულ და აშკარა, პოლიტიკურ და რელიგიურ დინებებს მისი პატარა, ტანჯული სამშობლო....

ვაშა კიპანაძე
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

წიგნის ზანდუკი

წინათქმა	4
მასონური ტრადიცია	9
მასონობა და	
საფრანგეთის რევოლუცია	29
„იესოს საზოგადოება“	43
იეზუიტიზმი და რუსეთი	53
რომის ახალი დოქტრინა	63
იეზუიტიზმი და მასონობა	71
მცირე ფსიქო-ისტორიული ინტერმეცო	83
ბრიტანელი ხალხის თავისებურებისთვის	91
ანგლოსაქსური ინტერესები	99
დემოკრატიზმი და	
რეაქცია მე-19 საუკუნეში	109
ლენინის დამფინანსებლები	117
პოლიტიკური „ისტებლიშმენტის“	
წარმოქმნა	127
ფორსაიტის ახალი საგა	139
ჯორჯ სოროსის იდეები	145
პირთა საძიებელი	153
გამოყენებული ლიტერატურა	156

წინათქმა

პოლიტიკური სცენის მიღმა მოქმედი ქმობების, ორდენების და სექტების სრულყოფილი ისტორია აღმართ ვერასოდეს დაიწერება ემპირიული დოკუმენტების ნაკლებობის გამო, ხოლო კვლევა ყოველთვის ორმხრივი საფრთხის ქვეშ მოექცევა: საკითხების გადამეტებულად პოზიტიური ხედვა მიამიტურ, ნაივურ შეფასებებთან მიგვიჟუანს, გადამეტებულად ნეგატიური – მცდარ, თითქმის შიზოფრენიულ დასკვნებთან.

ამ სფეროსთან თვით ზერელედ შეხებაც კი ცხადყოფს, რომ გარკვეული მასალები მაინც სახეზეა. მიუხედავად ამისა, საიდუმლო საზოგადოებების თანამედროვე მკვლევარი დიდი სიძნელეების წინაშე დგას: გარდა მართებული ინტერპრეტაციის და მიზეზ-შედეგობრივ მიმართებათა დადგენის პრობლემისა, ეს მასალები თანაბრად როდი შეეხება და აშუქებს ყელა საკითხს. ერთი სფეროს შესახებ შესაძლოა საკმაო ცნობა იყოს შემონახული, მეორეზე კი თითქმის არაფერი. არც ავთენტურის და ნამდვილის გარჩევაა იოლი ყლბისა და ხელოვნურად შეკორწიწებულისგან, ხოლო ზოგიერთ სფეროში ხელის ცეცებით თუ შეიძლება გზის გაკვლევა.

ისევე როგორც თეზევსს მინოსის ლაბირინთში, მე დოქტორი რუდოლფ შტაინერის გამონათქვამები და მინიშნებანი მიწევდნენ არიადნეს ძაფის მაგივრობას, რათა გავრკვეულიყვავი ამ საკითხთა ურთულეს კვანძებში. შევეცადე

ჩემებურად გამეაზრებინა ისინი, აგრეთვე მიმუვლია
მათი ფსიქოლოგიური და ისტორიული საფუძ-
ვლისათვის.

ამავე დროს მკვეთრად ვემიჯნები პოპუ-
ლარულ ლიტერატურაში გავრცელებულ ან-
ტიდასავლური, ანტიებრაული და ანტიკათო-
ლიკური შეთქმულების თეორიებს, ყელას და
ყელაფერს ერთ ქვაბში რომ ხარშავს, რად-
გან მიმაჩნია: კაცთმოძულეობაში გადავარდნა
ჩვენი საბოლოო, უკვე შეუქცევადი დამარცხ-
ების ტოლფასი იქნება.

საქართველომ ჯერ კიდევ საუკუნეების
წინათ გააკეთა არჩევანი და როგორც პოლი-
ტიკური, ისე კულტურული ორიენტაცია
დასავლეთზე აიღო. მისი პრიორიტეტი ჩემთვის
ცალსახაა და გადამოწმებას არ ექვემდებარება,
მით უმეტეს რუსულ-უვრაზიული და ჩინური
იმპერიალიზმის ფონზე. მაგრამ არამარტო
დასავლეთს გააჩნია კეთილისმყოფელი მისია
საქართველოს მიმართ, არამედ საქართველოსაც.
სწორედ ამ მისის აღქმას და განხორციელე-
ბას ესაჭიროება ისტორიისა და პოლიტიკის
დაფარულ მხარეთა შემეცნება. დედა ლვისმ-
შობლის სახე დაპნათის საქართველოს მეფეთა,
წმინდანთა და სწავლულთა ნალვაწს და მათი
სიბრძნის გულისგულს წარმოქმნის. იგივე სახე
თაურმდენია ევროპის კულტურისა, რაოდენ
დიდ კრიზისშიც არ უნდა იყოს იგი დღეს.
ამავე დროს სიბეცე იქნებოდა დასავლეთის
თანამედროვე პოლიტიკაში არ დაგვენახა და-
მანგრეველ ძალთა დიდი პოტენციალი, რომელთა
მოქმედებაც ზოგჯერ თითქმის სტიქიური ძალების
ფარდია. დასავლეთთან მიმართებაში, საერ-

თოდ, უპრიანია კონსტრუქციულის და დე-
სტრუქციულის ურთიერთისაგან გარჩევა და
ვიმედოვნებ, წინამდებარე ნაშრომით მცირე-
ოდენი წვლილი შევიტანო ამ საქმეში.

რამდენადაც ახლოვდება მეორე ათას-
წლეულის დასასრული, მნიშვნელოვნად მიმაჩ-
ნია გონების თვალით კიდევ ერთხელ გან-
ჭვრეტა ბოლო 3-4 საუკუნეში მიმდინარე
ზოგიერთი პროცესისა, რომელთაც მოიტანეს
დღევანდელი დღე.

ნაშრომი მთლიანობაში მიმოიხილავს ცალ-
კეულ მოვლენებს რეფორმაციიდან დღემდე:
იგი არ არის კონცენტრირებული რომელიმე
ერთ ისტორიულ პერიოდზე ან პიროვნებაზე.
რაც შეეხება დღეს აქტუალურ საკითხებს და
მათი გადაწყვეტის მცდელობებს, ისინი წარ-
მოდგენილია მოყლედ, შესაბამისი კომენტარე-
ბით.

კონსტანტინე ზ. გამსახურდია,
1999 წ. შვეიცარია



მეცე სოლომონი



მასონური ტრადიცია

მასონობა მე-18, მე-19 და მე-20 საუკუნეებში წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფაქტორს როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ლოჟის წევრობა იმდროინდელ საზოგადოებაში გავრცელებული იყო როგორც ერთგვარი მოდა: სახელმწიფო კაცნი, არისტოკრატები, სხვადასხვა ჯურის მოხელეები, მეფეები, მხედართმთავრები, მეცნიერები, მწერლები მისდევდნენ მას. ეს გასაკვირი სრულებითაც არ არის, ვინაიდან განმანათლებლობის ეპოქას თავისი განწყობა და მოდა მოჰქმნდა, ხოლო კათოლიკური და პროტესტანტული რწმენა, აგრეთვე მათ მსახურთა შეზღუდულობა ვეღარ აკმაყოფილებდა ადამიანების მზარდ სულიერ-ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს. მასონთა ცერემონიები და რიტუალები ისევე გასაიდუმლოებული და მხოლოდ განდობილთათვის მისაწვდომი იყო, როგორც ანტიკური მისტერიებისა. თუმცა რ. შტაინერთან, რომელსაც, გარდა იმისა რომ ხელი მიუწვდებოდა ინფორმატიული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო შრომებზე, გააჩნდა შემეცნების თავისებური მეთოდიც, ვკითხულობთ: ის, რაც ლოჟებში ხალხის დიდი მასისგან დაფარულად მიმდინარეობდა, უკვე აღარ იყო წილნაყარი ჯანსაღ სულიერ ცხოვრებასთან:

„ისევე როგორც ეგვიპტელ ქურუმთა შორის იყვნენ ისეთნი, რომლებიც მუმიებში ჩასახლებული ჩამორჩენილი სულების კარნახით ბევრ სიყალბეს სჩადიოდნენ როგორც აღზრდასთან, ისე კაცობრიობის წინამდლოლობასთან დაკავშირებით... ასევე მრავალი თანამედროვე ოკულტური ორდენის მუმიფიცირებულ ცერემონიებშიც არის ყალბი მისწრაფება, რაიმეს მიაღწიონ კაცობრიობის მართვის, წინამდლოლობის სფეროში.“

კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით მასონური რიტუალების და ცერემონიების წარმომავლობა არ არის ბოლომდე გარკვეული, ხოლო მათი ნარატიული წესით გადმოცემის თეორია დაახლოებით, ზოგადად მიუთითებს რამდენიმე წყაროზე. გავრცელებული თვალსაზრისით, მასონებს ბევრი რამ უსესხებიათ „ტაძრელთა“ (იგივე „ტამპლიერთა“) ორდენის როგორც მოძღვრებიდან, ისე რიტუალური პრაქტიკიდან. ამგვარ გადმოცემებთან, ცხადია, კრიტიკული ანალიზით მიღებოდა სჯობს, რადგან ტაძრელთა ორდენის შესახებ, რომელიც განადგურებულ იქნა ინკვიზიციის მიერ მე-14 საუკუნეში, ძალზე მცირე ავთენტური ცნობაა შემონახული. ბევრი რამ განვეხაა შეცვლილი, დამახინჯებული ან სულაც განადგურებული ინკვიზიციის მსახურთაგან, რომლებიც ტაძრელთა სასამართლო პროცესის დროს, და შემდგომაც, სრულიად გარკვეულ მიზანს ისახავდნენ: როგორდაც გაემართლებინათ ორდენის განადგურება. როგორც ჩანს შოტლანდიური მასონობის 33-საფეხურიანი რიტუალი მართლაც „ტაძრელთაგან“ მომდინარეობს,

დევნისას ორდენის არაერთმა წევრმა თავშესაფარი სწორედ შოტლანდიაში ჰპოვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია ისიც, რომ მასონებმა „ტაძრელთაგან“ ისესხეს ზოგიერთი არქაული გადმოცემა. თავის მხრივ ტაძრელებთან მანიქეური სიბრძნის ნაშთები შემორჩენილა, რომლის კვალიც ევროპაში დაახლოებით მე-5 საუკუნიდან ქრება. ადრეული მასონობის ტერმინოლოგიაში ასეთი უნდა იყოს გამოთქმა „ქვრივის ძენი“, რომელიც ზოგიერთ ლოჟაში ინიციაციის გარკვეულ საფეხურსაც კი აღნიშნავდა. ეს მართლაც მანიქეური მოძღვრებიდან უნდა იღებდეს სათავეს: ასე უწოდებდნენ თავს მანის მიმდევარნი. ხოლო თავად გამოთქმა „ქვრივის ძე“ ძველეგვიპტური მისტერიებიდანაა წამოსული. იგი აღნიშნავს დაქვრივებულ ქალღმერთ იზისს, რომელიც იყო ოზირისის მეუღლე და ჰორუსის დედა. მანიქეველობის და ძველეგვიპტური მისტერიების გარდა მასონობის ძირებს ეძიებენ გნოსტიციზმში, ძველინდურ სიბრძნეში, აგრეთვე კაბალისტიკასა და ალქიმიაში. რამდენადაც ტრადიციონალისტური მასონური სულისკვეთება მართლაც აღმოსავლეთისკენ ტენდირებს, გასაკვირი არ არის ისეთი სახელი, როგორც, მაგალითად, „დიდი აღმოსავლეთი“ (საფრანგეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ლოჟა).

როგორც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ მასონობაში მრავალი არქაული რიტუალია დაკონსერვებული. შეასაუკუნეებში არსებულ ზოგიერთ ორდენში, საყოველთაო ღვთისმოსაობის და რელიგიურობის ზანაში, შესაძლოა დაცული ყოფილიყო გარკვე-

ული ცოცხალი ცოდნა ღმერთის, სამყაროს და ადამიანის შესახებ, მაგრამ მსოფლიოს რაციონალიზებასთან ერთად მასონობამ თანდათან შეიცვალა ღირებულება ახალ ეპოქაში, რამდენადაც იგი ძირითადად დაკავებული იყო „უძველესი კულტების კონსერვაციით“. ამ შემთხვევაში მუმიის სურათ-ზატი მართლაც რომ გამოსადეგია. ძველეგვიპტური „მკვდართა წიგნის“ მიხედვით, გარდაცვლილი ადამიანის ცხედარს მუმიად აქცევდნენ იმის გამო, რომ სწამდათ: მიცვალებულის სულს, რომელიც იმაგინატიურ წარმოდგენაში ფრთოსანი არსების სახით ცხადდებოდა, უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა კვლავაც ჩასახლებულიყო მუმიფიცირებულ სხეულში. ამგვარი რიტუალები განსაკუთრებით ხშირი იყო ძველეგვიპტური კულტების დეკადანის, დაცემის ხანაში. ანალოგიას თუ დავუშვებთ მასონობასთან, დავინახავთ, რომ აქაც ისეთი რამაა კონსერვირებული, რაც დიდი ხანია მკვდარია და მისი მეტად შენახვა სრულიად უსარგებლოა.

მაშასადამე ის მაღალი სიბრძნე მისტერიებისა, რომლის დაკონსერვებაც სცადეს ლოჟებში, იქცა ცარიელ ფრაზად, შინაარსისაგან დაცლილ რიტუალად. აქედან ჩანს, რომ ლოჟის წევრთა განწესება სხვადასხვა საფეხურებზე უკვე შტაინერის მოღვაწეობის დროს – მე-20 საუკუნის დასაწყისში – დაემსგავსა თანამედროვე ნომენკლატურის იერარქიას, საკმაოდ მძლავრი ელიტარისტული ინსტინქტებით მომქმედს. თვალსაჩინოებისთვის მას მოჰყავს „დიდი აღმოსავლეთის“ მასონური ლოჟების მაგალითი, რომელთაც წესით აქვთ 96 საფეხ-

ური. საკუთრივ ოკულტური საფეხურები 87-ედან იწყება, მაგრამ მისი მიღწევა პრაქტიკულად არავის ხელეწიფება. ე. წ. იოანიტურ მასონობას აქვს სამი საფეხური: მოწაფის, შეგირდის, ოსტატის. ეს დღეს დაბალ მასონობად ითვლება, ხოლო მაღალ მასონობად თვლიან შოტლანდიურ მემფის-მიზრამის ლოუებს, რომლებიც ვითომდაც ძველი ეგვიპტიდან შემორჩენილა. ეს იოანიტი მასონებისთვის სხვა არაფერია, თუ არა ქედმაღლობა, საკუთარი პატივმოყვარეობის შენიღბვა, მისწრაფება სულიერი არისტოკრატიზმისაკენ. იქვე შტაინერი შენიშნავს, რომ იოანიტი მასონების წიაღში დღემდე ლაპარაკობენ ისეთ საგნებზე, როგორიცაა მშვენიერება, სიბრძნე, ძალაუფლება, ამასთან საერთოდ არა აქვთ წარმოდგენა, ადამიანის არსების რომელი ნაწილები ვითარდება მათი ინტენსიური განცდის შედეგად.

თავად რ. შტაინერის ბიოგრაფიაში გვხვდება ერთი ეპიზოდი, რომელიც დაკავშირებულია იმდროინდელ მასონობასთან: მას წაუკითხავს ლექციები „იარკერის ლოუაში“, სადაც შეეცადა მსმენელისთვის განემარტა ის სიმბოლოები, რომელთა მნიშვნელობაც აქ აღარავის ესმოდა. მანვე ახლებური სახით ჩამოაყალიბა მასონური რიტუალი, მაგრამ ეს არ მოიწონა წევრთა დიდმა უმრავლესობამ, აგრეთვე თავად იარკერმა. ამას მოჰყვა გარკვეული უსიამო ამბები, რის გამოც შტაინერი იძულებული გახდა გარიდებოდა ლოუას. იგი ფრიად ტაქტიანად იხსენებს ამ ისტორიას თავის მემუარისტულ ნაწარმოებში „ჩემი ცხოვრების გზა“: „უკვე მომხდარის შემდეგ იოლია მსჯელობა, რამ-

დენად „ჭკვიანური“ იყო დაკავშირება იმ საზოგადოებასთან, რომელსაც თავისი წვლილი მიუძღვის ცილისწამებათა გავრცელებაში, მაგრამ მე სათანადო თავმდაბლობით მინდა აღვნიშნო: ჩემი ცხოვრების აქ აღწერილ პერიოდში მე ვეკუთვნოდი იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც თავის გარშემო მყოფ ადამიანებზე ფიქრობს, რომ ისინი არა მრუდე, არამედ პირდაპირი გზებით დადიან.“

რამდენადაც სოლომონის ტაძრის ლეგენდა საფუძვლად უდევს ლოუების განწესებას და რიტუალს, შევეცდები რამდენადმე შემოკლებულად გადმოვცე იგი. ვსარგებლობ იმ ვერსიით, რომელიც აღწერილია მასონობის ისტორიის დიდი სპეციალისტის, სერ ჩარლზ უილიამ ჰექეთორნის წიგნში „საიდუმლო საზოგადოებანი, საიდუმლო ორდენები და იდუმალთსწავლანი“ (ლაიპციგი, 1900).

როდესაც მეფე სოლომონმა განიზრახა ტაძრის აშენება, მოიხმო ხუროთმოძღვარნი, დაჰყო ისინი ჯგუფებად და დაუქვემდებარა ტიროსის მეფის, პირამის მიერ გამოგზავნილ ხუროთმოძღვარს, პირამ აბიფს. ამ უკანასკნელს კიდევ მოიხსენიებენ ადონი-რამის სახელით. იგი იყო რვაალის და ლითონების ოსტატის, თუბალ-კაენის შთამომავალი და მისი გენეალოგია იწყება კაენიდან. ძმათამკვლელობის შემდეგ იაპვე, ანუ ადონაი, ერთ-ერთი ელოპიმი (დემიურგი) შეიდთაგან, დევნიდა კაენის შთამომავლობას და ისინი დაუმორჩილა აბელის მოდგმას. პირამი მოწოდებული იყო ღვთისგან ყოფილიყო იმ თავისუფალ კაცთა წინამძღოლი, ვინც შეარიგებდა ცეცხლის შეილებს აზროვნების, წინს-



ვლისა და ჭეშმარიტების შვილებთან.

მან ააგო სოლომონის ტაძარი მორიას ბორცვზე, მაგრამ მიუხედავად ამისა მიუსაფარი და სხვათ-აგან დაუფასებელი დარჩა. მისი ხელოვნება მხ-ოლოდ მცირედთ ესმოდათ, ხოლო მტერი გაც-ილებით მეტი ჰყავდა, ვიდრე დამფასებელი. არც მეფე სწყალობდა დიდად, რომლის სიბრძნე მთელს მსოფლიოში იყო განთქმული. როდესაც სოლომონ-თან ჩამოვიდა ბალკისი, საბას ქვეყნის დედოფალი, მეფემ დაათვალიერებინა მას თავისი სასახლე და ტაძარი. იგი იმდენად მოიხიბლა დედოფლის სი-ლამაზით, რომ ხელიც კი სთხოვა მას, რაზეც ქალისაგან თანხმობა მიიღო. როდესაც დედოფა-ლი მეორედ ჩამოვიდა, მან მოისურვა ტაძრის ხუროთმოძღვრის ნახვა და პირველი ნახვისთანავე კეთილად განეწყო მის მიმართ. ბალკისმა მოი-სურვა ტაძრის ყველა ხუროთმოძღვრის და კალა-ტოზის ერთად შეკრება, მაგრამ მეფემ შეუძლე-ბლად მიიჩნია ეს. მაშინ პირამი დადგა ქვაზე და ჰაერში შემოხაზა ასო „ტავ“. მაშინვე შეგროვდა იმ ადგილას ყველა მომუშავე. ამის შემდეგ დედ-ოფალმა ინანა თავისი თანხმობა სოლომონის წინა-დადებაზე და ამიერიდან მისი გული მხოლოდ პირამის ეკუთვნოდა. მეფემ გუმანით იგრძნო ეს ამბავი, იგი ეჭვებმა შეიპყრო და ამიერიდან ცდი-ლობდა პირამის დაღუპვას.

პირამის შეგირდებს შორის იყვნენ სამნი, სი-რიელი კალატოზი ფანორი (რომელზეც ფიქრობენ, რომ იყო კილიკიური წარმოშობის სომეხი, კ. გ.), ფინიკიელი დურგალი ამრუ და ებრაელი მაღაროე-

ლი მათუსაელი, რომლებიც სიზარმაცის გამო მან არ აკურთხა ოსტატებად. ესენი შეითქვნენ, ხელი შეეშალათ „ბრინჯაოს ზღვის“ ჩამოსხმისათვის, რაც უნდა ყოფილიყო პირამის საქმეთა დაგვირგვინება. მათ მავნებლობას შედეგად მოჰყვა ის, რომ გამდნარი ლითონი ყალიბში ჩასხმის ნაცვლად მიწაზე გადმოიღვარა. იგი ვერ შეაჩერა ვერც წყალმა და ვერც სხვა რამ დაბრკოლებამ. იქ შეკრებილი ხალხი პანიკამ მოიცვა და გაიფანტა.

როდესაც პირამი დამწუხრებული იდგა გავარვარებული ლითონის ლავასებრი ღვარის წინაშე და აღსასრულზე ფიქრობდა, მას ჩაესმა თავისი წინაპრის, თუბალ-კაენის ხმა, რომელმაც მოუწოდა, არ შეპუებოდა ცეცხლს და შესულიყო პირდაპირ ბრძმედში. ოსტატი ასეც მოიქცა. ცეცხლმა მას არაფერი ავნო და მალე აღმოჩნდა დედამიწის შუაგულში, სადაც იგი პირისპირ წარსდგა თუბალ-კაენის წინაშე, მისსავე საუფლოში. აქ იგი ეზიარა ცეცხლისა და მელითონეობის კიდევ უფრო ღრმა საიდუმლოებებს. ამის შემდგომ თუბალ-კაენმა პირამის და მის მოდგმას უწინასწარმეტყველა დიდი მომავალი და გადასცა ურო, რომლითაც იგი განასრულებდა კაცებრივი სისულელის და სიბოროტის გამო ბოლომდე ვერმიყვანილ საქმეს. როდესაც იგი უვნებელი დაბრუნდა უკან, მალევე ჩამოასხა „ბრინჯაოს ზღვა“. ამის შემდგომ იგი მაინც იქნა მოკლული სამი მოღალატე შეგირდის მიერ, რომელთაც მეფემ დაავალა ეს საქმე. იგი გაგულისებულიყო იმის გამო, რომ ბალკისმა, საბას დედოფალმა თავის გულისსწორად პირამი აირ-

ჩია. თუმცა ზუროთმოძღვარმა სიკვდილის წინ მოახერხა ჭაში გადაეგდო ოქროს სამკუთხედი, რომელსაც ნიადაგ თან ატარებდა და რომელზეც წარწერილი იყო ოსტატის იდუმალი სიტყვა.

მასონურ სიმბოლიკას არამხოლოდ ესთეტიზმი ახასიათებს, არამედ მათში შეიძლება ღრმა აზრის ამოკითხვაც, თუკი მათი განმარტება მოხდება ბიბლიური და შუასაუკუნეების სახისმეტყველების მიხედვით, ე. ი. იმ წყაროებიდან, საიდანაც ნასესხებია ეს სიმბოლიკა. ავიღოთ თუნდაც წინაისტო-



რიული პოლარობა აბელისა და კაენისა, რომელიც დღემდე მხოლოდ მორალური კუთხით განიმარტება: აბელი „კეთილია“, ხოლო კაენი „ბოროტი“. მაგრამ ამ ყოველივეს უფრო ღრმა ასპექტიც

გააჩნია: „დაბადების“ წიგნი აქ გულისხმობს კაცობრიობის ორ განსხვავებულ ტიპს. პირველი მათგანი, აბელი „მწყემსია“, ანუ სასულიერო პირი. კაცობრიობის ამ ნაწილის ზრუნვის საგანი უფრო ადამიანის ფსიქო-მენტალური არსება იყო, რომელ-შიც ნაბიჯ-ნაბიჯ ხდებოდა ზნეობის კანონთა გაცნობიერება და მათი დანერგვა სოციალურ ცხოვრებაში. ეს ხდება ლიტურგიკული ღვთისმსახურების განვითარებით, მორალური მცნებების ჩამოყალიბებით და მისი ყველაზე თვალსაჩინო პროტაგონისტები არიან ძველი აღთქმის ლევიტელნი. კაენი კი მიწათმოქმედია, მის შთამომავალთა ამოცანაა პირველყოფილი გარემოს გარდაქმნა, ბუნებისთვის ბრძოლით გამოტაცება იმ საიდუმლოთა, რომელიც სჭირდება ადამიანს სხვადასხვა ხელოვნებათა განვითარებისთვის. კაენის შთამომავალი თუბალ-კაენი მელითონეთა და რვალის ხუროთა წინაპარია, მასვე უკავშირდებიან თუბალთა, ხალიბთა და მოსხთა ქართველური ტომებიც, მოხსენიებულნი ბიბლიაში, რომლებიც რკინისა და ფოლადის საიდუმლოებას ფლობენ. როდესაც ტაძრის ლეგენდაში ლაპარაკია იმაზე, რომ პირამმა უნდა შეარიგოს ცეცხლის სულები აზროვნების, ჭეშმარიტების და სიბრძნის სულებთან, იგულისხმება სწორედ კაენიტური და აბელიტური ნაკადები. კაენის მოდგმის გზნება და ენთუზიაზმი (ცეცხლი) უნდა შეწყვილდეს აბელის მოდგმის გაწონასწორებულ, დაწმენდილ ხასიათთან (აზროვნება).

თუმცა ეს ცოდნაც უკვე დაკარგული ყოფილა ლოჟებში. ამასთან დაკავშირებით რ. შტაინ-

ერი ამბობს: „თუკი დავუბრუნდებით მე-9, მე-10 და მე-15 საუკუნეებს და გადავხედავთ იმ დროის ცივილიზებულ სამყაროს, რომელშიც ვრცელდებოდა თავისუფალ კალატოზთა ეს საძმოები, აღმოვაჩენთ, რომ ლოჟის საკურთხეველზე სიმბოლობის სახით დალაგებული ხელსაწყოები უწინ გამოყენებოდა ეკლესიების და სახლების მშენებლობისას... მასონურ ლოჟებში დღეს ლაპარაკობენ ამ საგანთა შესახებ, მაგრამ ამას ცხოვრებისეულ პრაქტიკასთან აღარაფერი აქვს საერთო.“ ეს გამონათქვამი გასაგები გახდება, თუკი თვალს გადავავლებთ მასონობის ისტორიას. მე-16 საუკუნეში შექმნილი „კიოლნის ქარტიის“ მიხედვით, სახელი „მასონი“ გარკვეულ ძმობას პირველად ფლანდრიაში ეწოდა. თავდაპირველად ეს მართლაც ხუროთა და კალატოზთა ამქარი ყოფილა, რომელიც ძირითადად ტაძრების მშენებლობით იყო დაკავებული. შუასაუკუნეების გერმანიასა და ინგლისში ამგვარი გაერთიანებანი, როგორც წესი, 600-800 წევრს ითვლიდა ხოლმე. ისინი ხელშეკრულებას დებდნენ სასულიერო პირებთან, ვიდრე შეუდგაბოდნენ კათედრალის ან მონასტრის მშენებლობას. მე-13 საუკუნიდან მოყოლებული კი თანდათან დამოუკიდებელნი ხდებიან. პირველი თავისუფალი ამქარი ჩამოყალიბდა კიოლნში, მას გააჩნდა ხელდასხმის რიტუალები, აგრეთვე ჰქონდა ფილიალები ვენაში, ციურისსა და სტრასბურგში. მე-16 საუკუნიდან ლოჟებში იწყეს არაკალატოზთა მიღებაც და ამ ახალ წევრებს „მიღებული კალატოზები“ ეწოდებოდათ. ამის შედეგად ლოჟების

მოღვაწეობა უმაღლ სიმბოლური გახდა, ვიდრე ტექნიკური. ნამდვილი კალატოზები და ხუროები ამგვარ გაერთიანებებს დროთა მანძილზე ტოვებდნენ და იფანტებოდნენ. ასე და ამრიგად, 1717 წლისთვის ლონდონში სულ რაღაც 4 ლოჟაღა იყო დარჩენილი. აქედან იწყება თანამედროვე მასონობის ისტორია, რომელიც წმინდად სიმბოლური ხასიათისაა, თუმცა ხუროთმოძღვრების სპეციალური ტერმინოლოგია შენარჩუნებული აქვს. მასონური რიტუალების გათვალსაჩინოებისთვის მოვიყვან საუბარს, რომელიც იმართებოდა ლოჟის გახსნის წინ ოსტატსა და დამსწრეებს შორის. ოსტატი საკურთხეველზე ჩაქუჩის დარტყმით „იწყებს სამუშაოს“ და რწმუნდება, რომ ყველა დამსწრე მოწოდებულთაგანია. მასსა და დამსწრეებს შორის შემდეგი საუბარი იმართება:

„მეორე დამსწრე ძმაო, სად არის შენი მუდმივი ადგილი ლოჟაში?“

„სამხრეთით.“

„რისთვის იმყოფები მანდ?“

„რათა მივანიშნო, რომელ მერიდიანშია მზე, მოვუხმო ძმებს, რათა შეისვენონ სამუშაოს შემდგომ და დასვენებულებს კვლავ სამუშაოდ მოვუწოდო, მათდა სასიხარულოდ და სასარგებლოდ.“

„პირველო დამსწრე ძმაო, სად არის შენი მუდმივი ადგილი ლოჟაში?“

„დასავლეთით.“

„რატომ გაქვს განკუთვნილი ადგილი მანდ?“

„რათა მივანიშნო მზის ჩასვლაზე და დავხურო ლოჟა სათაყვანებელი ოსტატის ბრძანებით. თვალყური ვადევნო, რომ არავის მოაკლდეს სამართლიანი მოპყრობა.“

„რატომ აქვს ოსტატს თავისი აღგიღი აღმო-
სავლეთით?“

„როგორც მზე ამოდის აღმოსავლეთით, რათა
გააცისკროვნოს დღე, ასევე ზის სათაყვანებელი
ოსტატი აღმოსავლეთით, რათა გახსნას ლოჟა და
განასხივოსნოს იგი, დაასაქმოს და დამოძღვროს
ქმები.“

„რა დროს იწყებენ კალატოზნი თავის სამ-
უშაოს?“

„შუადღისას.“

„რომელი საათია ახლა, მეორე დამსწრე ქმაო?“

„ახლა შუადღეა.“

„რახან ასეა და ყველაფერი წესრიგშია, ლო-
ჟას გახსინლად ვაცხადებ.“

ჰეკეთორნი თავის წიგნში აღწერს აგრეთვე
მასონთა ხელდასხმის ცერემონიებსაც. როგორც
მოწაფის, ისე შეგირდის და ოსტატის ხელდასხ-
მის რიტუალები ერთმანეთისაგან განსხვავებუ-
ლია და თან ახლავს საგანგებო ფიცის დადება.
ოსტატის კურთხევის ცერემონია შემდეგნაირად
გამოიყურება: ამ დღეს მასონთა ჭაძრის კედლები
ფლასითაა შებურვილი. კედლებზე დახატულია
ჩონჩხები, თავის ქალა და ჯვარზე მიკრული ძვ-
ლები. აღმოსავლეთით ანთია თაფლის სანთელი,
ხოლო საკარცხულის ოსტატის საკურთხეველზე
დევს თავის ქალა, რომელსაც შიგნიდან ანათებს
სანთელი. ოთახში მოჩანს კუბო, რომელშიც ან
ფიტული დევს, ან ლოჟის რომელიმე წევრი წევს.
კუბოზე დადებულია აკაციის შტო, ფეხებთან –
გახსნილი ფარგალი, ხოლო თავთან – გონიო. იქ
მყოფ ოსტატებს აცვიათ შავი სამოსელი ცის-
ფერი ლენტებით, რომელზეც გამოსახულია მასო-

ნური სიმბოლოები, აგრეთვე მზე, მთვარე და შეი-
 ღი ვარსკვლავი. შეკრების მიზანია იმ სიტყვის
 მოძებნა, რომელიც ჰირამმა სიკვდილის წინ წარ-
 მოსთქვა. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის კანდი-
 დატი. საკარცხულის ოსტატი ეუბნება მას, რომ
 გლოვობენ გროსმაისტერის სიკვდილის გამო და
 პკითხავს, იგი (ე. ი. კანდიდატი) ხომ არ არის
 მკვლელი. ეს უკანასკნელი დაადასტურებს თავის
 უცოდველობას. ამ დროს „ცხედარს“ კუბოდან
 ამოიღებენ და კანდიდატს უყვებიან ზუროთმოძლ-
 ვარ ჰირამისა და სამი მოღალატე შეგირდის ამ-
 ბავს: როდესაც ჰირამს არ გაუთქვამს ოსტატის
 სიტყვა, ერთ-ერთ შეგირდთაგანს მისთვის თავში
 ჩაურტყამს ჩაქუჩი. ამ სიტყვებზე საკარცხულის
 ოსტატი მართლაც ჩაჰკრავს ჩაქუჩის ოსტატობის
 კანდიდატს და ისიც მოცელილივით ეცემა იატაკზე.
 ისევე როგორც ჰირამს, მასაც ჩასვენებენ კუბოში
 და ხელში ჩაუდებენ აკაციის რტოს, რამდენადაც
 ჰირამი თავის მკვლელთა მიერ ფარულად იქნა
 დასაფლავებული აკაციის ქვეშ. როდესაც თოთხმე-
 ტი დღის შემდეგ მისი ცხედარი აღმოჩენილ იქნა
 მისი ერთგული მოწაფეების მიერ, ერთ-ერთ მათ-
 განს წარმოუთქვამს: „მაკბენახ“, რაც ნიშნავს –
 „ხორცი მოცილებია ძვლებს“. სწორედ ეს არის
 ოსტატის სიტყვა. ამის შემდეგ საკარცხულის
 ოსტატი ხელის „ლომისებრი მოჭიდებით“ იპყ-
 რობს კუბოში მწოლიარეს ხელს და წამოაყენებს.
 შემდეგ აკურთხებს მას და ასწავლის მოწოდების
 სიტყვას, შეცნობის ნიშანს და ოსტატის საფეხ-
 ურისთვის დამახასიათებელ ხელის ჩამორთმევას.



1717 წელს ლონდონში დაარსდა პირველი დიდი ლოჟა ოთხი ლოჟის გაერთიანების შედეგად. ამ დროისთვის არსებობდა მასონობის


მხოლოდ ერთი წესი — ე.წ. „ძველი, თავისუფალი და მიღებული მასონობისა“. მაგრამ, როგორც პეკეთორნი აღნიშნავს, ქედმაღლობისა და პარტიული ინტერესების გამო შემოღებულ იქნა ახალ-ახალი რიტუალები და საფეხურები, ასე რომ ევროპასა და ამერიკაში მე-20 საუკუნის დასაწყისში 17 ერთმანეთისგან განსხვავებული წესი აღინიშება, სამი, შვიდი ან სულაც ოცდაათი საფეხურით (რ. შტაინერი ზემოთ 96 საფეხურსაც კი ახსენებს). ესენია: 1. იორკის წესი, 2. ფრანგული წესი, 3. ძველი და მიღებული შოტლანდიური წესი, 4. ფილოსოფიური შოტლანდიური წესი, 5. ძველ-შოტლანდიური წესი, 6. ძველი რეფორმირებული წესი, 7. ფესლერული წესი, 8. სამი სამყაროული სფეროს ბერლინის ეროვნული ლოჟის წესი, 9. სრულყოფილების წესი, 10. მიზრაიმის წესი, 11. ტაძრის ბატონთა კლერიკატი, 12. შვედური წესი, 13. რეფორმირებული წესი, 14. შრიოდერის, ანუ პამბურგის სისტემა, 15. სვედენბორგის წესი, 16. ცინცენდორფის წესი, 17. ფრანკფურტის ეკლექტური კავშირის წესი. ასეთი მდგომარეობა ყოფილა ჩვენი საუკუნის დასაწყისში. მიუხედავად ამ სხვადასხვაობისა, მათში ერთი მაგისტრალური ზაზი მაინც შეიმჩნევა. მაკეის მიერ გამოცემულ „მა-

სონობის ენციკლოპედიაში“ ვკითხულობთ, რომ
 მასონობა რელიგიური ინსტიტუტია, ხოლო მისი
 მოძღვრება ყოფილა „უნივერსალური, მარადიული
 რელიგია, დანერგილი ისევე, როგორც თავად ღმ-
 ერთი, მთელი კაცობრიობის წიაღ“. იმავდროუ-
 ლად ხაზი გაესმის, რომ იგი „არ არის ქრის-
 ტიანობა, არც მისი შემცვლელი“. ის განსაკუთრე-
 ბულ პატივს მიაგებს უდიდეს რეფორმატორებს,
 მოსეს, კონფუცის, ზოროასტრს, იესო ნაზარეველს,
 არაბ ხატმებრძოლებს. ბიბლიას იგი დღემდე „ყვე-
 ლაზე მეტად შეუცნობ წიგნად“ მიიჩნევს, რამდე-
 ნადაც იგი პრეტენზიას აცხადებს მისი გასაღებების
 ფლობაზე. ხოლო რაც შეეხება ორგანიზაციას,
 მის უმთავრეს პრინციპად გამოცხადებულია ოსტა-
 ტისადმი მორჩილება. მისი ძირითადი იმპერატივია:
 „დაემორჩილე ბრძანებებს იმ შემთხვევაშიც კი,
 თუ მოგიწევს კავშირის გაწყვეტა შენიანებთან“. მოძღვრება სატანიზმისა „მწვალებლობადაა“ მიჩნე-
 ული, თუმცა ახალ დროში მასონობას განეკუთვნე-
 ბოდნენ ისეთი სატანისტები, როგორიც იყვნენ,
 თუნდაც, დოქტორი პაპიუსი და ელისტერ კროუ-
 ლი.

რ. შტაინერი ლაპარაკობს იმაზეც, რომ მე-18
 საუკუნის მიწურულს ჯერ კიდევ არსებობდა
 ცალკეული სერიოზული ორდენული გაერთიანებან-
 იც, სადაც „ადამიანი გაცილებით მეტს იღებდა,
 ვიდრე თანამედროვე საშუალო მასონი. ერთ-ერთ
 ასეთ ორდენს მიეკუთვნებოდა გოეტე. სხვა პა-
 ტივცემული ვაიმარელები, ვილანდის და კანცლერ
 მიულერის გამოკლებით, იყვნენ უბრალო წევრები

ამგვარი ლოჟისა. ვაიმარში რომ ყოფილიყავით პატიოსანი მოქალაქე, ეს ნიშნავდა კვირაობით ეკლესიაში სიარულს და, ამავე დროს, რაც ამისი სრულიად საპირისპიროა, ლოჟის წევრობას.“ მასონური სიმბოლიკის და ინიციაციის ცოდნა მოჩანს გოეტეს ნაკლებად ცნობილ პოემაში „იდუმალებანი“, მის ზღაპარში „მწვანე გველსა და თეთრ შროშანზე“, აგრეთვე მოცარტის ოპერაში „ჯადოსნური ფლეიტა“, სადაც მზიური ზარასტროსა და ლამის დედოფლის დაპირისპირების ფონზე გაშლილია საკაცობრიო იგავი: უფლისწულ ტამინოს მიერ განსაცდელთა დაძლევა და ბოლოს შეყრა პამინასთან, თავის გულისსწორთან, რაც სულიერი ზიარების, ინიციაციის მხატვრული ასახვაა. ჩემის მხრივ დავსძენდი, რომ ორივე ხელოვანის მასონური ლოჟის წევრობის გარეგან-ისტორიულ ფაქტზე ბევრად მნიშვნელოვანია ხსენებული ცოდნის მათ მიერ შემოქმედებითად გადამუშავების ფაქტი ისე, როგორც ამ გენიალურ ქმნილებებში ვხედავთ. სერიოზული, ღრმა და გულწრფელი ძიება ჭეშმარიტებისა უდევს მათ საფუძვლად და სცდება ყოველგვარ ჩარჩოებს, იყოს ეს თუნდაც რომელიმე კონფესია ანდა ლოჟა. ამით მიღწეულია ხელოვნების ისეთი მასშტაბი, რომ იგი მისტერიაში გადადის თითქმის.


ცხადია, დაისმის საკითხი, თუ რაში ესაჭიროებოდათ მასონებს თავიანთი რიტუალების და მოქმედების გასაიდუმლოება. ინკვიზიციისა და დევნის პერიოდში, როდესაც ძალზე იოლი იყო კოცონზე მოხვედრა ჯადოქრობისა და მწვალებლო-



ბის ბრალდებით, ეს წმინდა ად პრაქტიკული მოსაზრებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ზოლო როდესაც მსგავსი დევნა რელიგიურ ნიადაგზე რეალობას მოქლებული გახდა, გასაიდუმლობა შესაძლოა გაემართლებინათ იმით, რომ ლოუებში დაცულ ცოდნას არ დაეზიანებინა გაუთვითცნობიერებელი პროფესიები, თუმცა შესაძლოა სხვა მიზეზიც ვივარაუდოთ: როდესაც ცოდნა გადაიქცა ცარიელ ფრაზად, დაჰკარგა შინაარსი და უსარგებლო გახდა, გარკვეულ ადამიანთა წრეები მას ასაიდუმლოებდნენ იმის გამო, რომ სურდათ შეენარჩუნებინათ საკუთარი მნიშვნელობა და გავლენა. ასე მაგალითად, უორუ სანდის რომანში „გრაფინია რუდოლშტადტი“ ვკითხულობთ, რომ ლოუებში უამრავი ხარბი, ცნობისმოყვარე და მკვეპარა ადამიანია შეყრილი, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ჭეშმარიტებაზე. თუმცა იმავე რომანში დაუვიწყარია კონსუელო, გაწონასწორებული, ღრმად მოაზროვნე პიროვნება. იგი განასახიერებს ცრუბრძნობისგან არწახდენილ ევროპელს, ჯერ კიდევ

ქრისტიან თავისი სულისკვეთებით. ამაზე მეტყველებს მისი სიტყვები: „ქრისტე – ეს ღმერთკაცია, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ, როგორც ძველი დროის უდიდეს ფილოსოფოსს და უდიდეს წმინდანს... ჩვენ მას ადამიანთა მაცხოვრად შევრაცხთ, ვინაიდან თავის თანამედროვეთ იგი უქადაგებდა ჭეშმარიტებებს, მანამდე მხოლოდ ბუნდოვნად რომ კრთოდა ჩვენს თვალწინ.“





მასონობა და საფრანგეთის რევოლუცია

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან შუა და დასავლეთ ევროპაში დიდი ძვრების მოახლოება იგრძნობა. განმანათლებლური ინტელექტუალური ცნობიერებაზე თუმცა განმანთავისუფლებლად მოქმედებს, მაგრამ მაინც შეზღუდულად, გარკვეულ ფარგლებში. რისგანაც იგი ადამიანს ათავისუფლებს, ეს არის შუასაუკუნეებიდან გადმოყოლილი, იმჟამად უკვე ანაქრონიზმად ქცეული ურთიერთობანი. ადამიანი ტენდირებს იქით, რომ თავის თავს დაეყრდნოს. იზღუდება კლერიკალების ძალაუფლება როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ისე სულიერი თვალსაზრისით; ცენზურა იკლებს, განათლება, ისევე როგორც ქორწინება, საერო ინსტანციების საქმე ხდება, ამიერიდან დასაშვებია თვით მეფის პიროვნების გაკრიტიკებაც კი. მაგრამ ის, რაც ეკლესიისა და ფეოდალიზმის ძალაუფლების ნაცვლად მყარდება — არის ახალი დროის აბსოლუტისტური სახელმწიფო, მანქანურად მომართული უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატით. ამჯერად სახელმწიფო იქცევა ეკლესიის ტირანად, რამდენადაც ისწრაფვის მისი გასახელმწიფოებრიობისკენ. თუკი ყოველივე ამას შევადარებთ რუსეთში პეტრე I-ის დროს მიმდინარე პროცესებს, ცხადი გახდება, რომ აქაც და იქაც ერთი და იმავე დროის სული მოქმედებს.

მე-18 საუკუნეშივე კაცობრიობისკენ გზას იკვ-

ლევს სამი ცნობილი იდეალი: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“. დღევანდელი ადამიანისთვის ისინი ძირითადად სოციალისტურ და კომუნისტურ მიმდინარეობებთანაა ასოცირებული. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად რეალურად ახორციელებდნენ პრაქტიკაში ამ პარტიულის მესვეურნი ხსენებულ პრინციპებს. მთავარი ის არის, რომ ეს ერთ-ერთი უმთავრესი ლოზუნგი გახლდათ, წარწერილი მათ დროშაზე. თუმცა ვერც ერთი ისტორიკოსი დღეს ვერ დაამტკიცებს, რომ ისინი სწორედ სოციალისტებისგან მომდინარეობს.

ასევე მეცნიერულად დაუმტკიცებადია მათი წარმოშობა მასონური ლოჟებიდანაც. აქა-იქ მე-20 საუკუნის სპეციალურ ლიტერატურაში ადგილი ჰქონდა სპეკულაციებს, ვითომდაც ეს სიტყვები ჯერ კიდევ 1740 წელს „ჩამოეყალიბებინოთ“ რომელილაც ლოჟაში. მაგრამ ერთადერთი, რისი თქმაც შეიძლება, არის შემდეგი: ზოგიერთი ცნობილი მასონი სიამაყით აცხადებდა, თითქოსდა იდეები 1789, 1830 და 1848 წლების სახალხო მოძრაობებისთვის სწორედ მათ მიეწოდებინათ ხალხის მასებისთვის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების ხელმძღვანელთათვის. როგორც არ უნდა იყოს, ძირითადი პრობლემა ამ სამი იდეალის (თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა) გავებაშია: გაიგებენ მათ სპირიტუალურად, თუ მატერიალისტურ-ინტელექტუალისტურად. მე-18 საუკუნის საფრანგეთში ამ უკანასკნელის შესაძლებლობა გაცილებით უფრო რეალური ჩანს. აქ ხომ პოლიტიკურ რევოლუციამდე ჯერ განმანათლებლურმა

რაციონალიზმა და მატერიალიზმა რევოლუცია ცნობიერებაში მოახდინა: უწინარეს ყოვლისა მხედველობაშია მისაღები დენი დიდოს და დამბერის ენციკლოპედია, რომლის შექმნის იდეაც ეკუთვნის „დიდი აღმოსავლეთის“ ლოჟის გროსმაისტერს, ჰერცოგ დანტენს.

რ. შტაინერი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის რევოლუციის მომზადებაში მასონურ ლოჟებს დიდი წვლილი მიუძღვით. ამასთან დაკავშირებით ერთერთ ლექციაში იგი ამბობს: „გადაშალეთ 1850-იანი წლების ისტორიის ფილოსოფოსთა წიგნები და დაინახავთ, რომ მათში მითითებულია საფრანგეთის რევოლუციის და მისი შემდგომი განვითარების კავშირზე ლოჟებთან... ემანსიპაცია ამ მიმართებებისგან და თვითორიენტაცია მიუკერძოებელ, წმინდად ადამიანურ თვალსაზრისზე მოხერხდა იმ დიდი სულიერების ზეგავლენით, რომელიც განვითარდა ლესსინგთან, ჰერდერთან, გოტესთან და შემდგომ გერმანულ ფილოსოფიაში.“ რევოლუციასთან დაკავშირებული მიმართებების მიღმა უწინარეს ყოვლისა იგულისხმება ფრანგული მატერიალისტური ენციკლოპედიზმიდან ამოზრდილი განმანათლებლობა, რომელმაც გერმანიაში საბოლოოდ ვერ მოიკიდა ფეხი. გერმანელმა ჰუმანისტებმა მას საკუთარი განმანათლებლობა დაუპირისპირეს, რასაც მოჰყვა გერმანული იდეალიზმის, აგრეთვე რომანტიკული პოეზიის აღორძინება. ფრანგულ-რაციონალისტური მსოფლმხედველობა მიუღებელი აღმოჩნდა იაკობ ბოემეს და პარაცელსუსის ქვეყანაში, რომლის სულისთვისაც „შტურმ უნდ

დრანგის“ ტრადიციით შთაგონებული ბუნების მოვლენათა და საგანთა ზეგრძნობადი ჭვრეტა გაცილებით უფრო მახლობელი იყო: ამ ახალი საპროტესტო მოძრაობის სულისკვეთება ყველაზე უკეთ ახალ გერმანულ დრამაში გამოიჩატა.

მასონობას ხშირად ადარებდნენ ხეს, რომლის ფესვებიც სხვადასხვა წყაროებით იკვებება. როგორც უკვე აღინიშნა, ერთ-ერთი ასეთი წყარო იყო ქრისტიანობიდან ნასესხები იდეები, სიტყვები და სიმბოლოები, რაც ლოჟაში გარკვეულ განწყობილებას წარმოქმნიდა. რევოლუციის წინამორბედი სულიერი განწყობილება თავდაპირველად შთაგონებული იყო ზეციური სასუფევლის მოახლოების ესქატოლოგიური იდეით. თუმცა მალევე მოხდა ამ იდეის გაყალბება, ვულგარიზაცია, დამკვიდრდა მისი ზერელე, პროფანული გაგება და ეს თვით მასონობის წიაღშივე დაიწყო. ამას შედეგად მოპყვა ათეიზმის და მატერიალისტური უმეცრების არნახული აღმავლობა, ძალადობა და ტერორი გარეგან პლანში. ქრისტიანობის სპირიტუალური მოძღვრება – რომ უფლის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია, გადაკეთდა (მასონობის მიერ) წმინდად ამსოფლიურ მოძღვრებად, თითქოს ყველანი აქვე, ერთბაშად გათანასწორებულნი უნდა იქნენ. არადა ნაგულისხმევი იყო თანასწორობა შემოქმედი მამა-ღმერთის წინაშე, რომელმაც ადამიანი ზატად თვისად შექმნა და ყოველ ადამიანს შესაქმის გარკვეულ ეტაპზე მიპატარდეს უმაღლესი ინდივიდუალობა, როგორც ღვთაებრივი სუბსტანციის ნაწილი. ამდენად ცნება „თანასწორობისა“ ადა-

მიანს უპირველეს ყოვლისა მიუთითებს ცოდვით დაცემამდელ ყოფაზე. რელიგიური თვალსაზრისით „მიწიერი“ ისტორიის დაწყების უპირველესი სიმპტომია ფიზიკური სხეულის სიკვდილი: თუმცა იგი, ისევე როგორც სამყაროს დემიურგი, უდიდესი „დემოკრატიცაა“ – ყველას გამათანასწორებელი. თანასწორობის ქრისტიანული გაგება ჩანს „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ნათქვამია, რომ მზე ვარდსაც და ნეხვსაც ერთნაირად მოეფინების. ხოლო ავთანდილის ანდერძში, სადაც ლაპარაკია მონების განთავისუფლებაზე, იგულისხმება პიროვნების მართლზომიერი ემანსიპაცია, რაც უმაღლ გზა არის ამ თანასწორობისკენ.



ჰეკეთორნისთვისაც ცნობილია ფრანგული მასონობის ზეგავლენის ფაქტი 1789 წლის რევოლუციაზე. მისი შენიშვნით, შარტრის ჰერცოგის (შემდგომში ფილიპ ეგალიტეს სახელით ცნობილის) გროსმაისტერად არჩევის შემდეგ ყველა ლოჟა გაერთიანდა „დიდი აღმოსავლეთის“ სახელით ცნობილ ლოჟაში, რომლის როლიც რევოლუციის მომზადებაში ისევე ისტორიულია, როგორც ჰერცოგის მძღავრი ზეგავლენა პოლიტიკაზე. მისი ხელდასხმა კადოშის რაინდების საფეხურზე შემდეგნაირადაა მოთხრობილი: ლოჟის ხუთ ძმას შემო-

ჰყავს იგი დარბაზში, რომელიც მოფენილია აღ-
ამიანის ძვლებით და განათებულია ჩირალდნებით.
ერთ-ერთ კუთხეში დევს სამეფო ინიგნიებით
მორთული ფიტული. ჰერცოგს უბრძანებენ იატაკზე
მკვდარივით დაწოლას, ჩამოთვლიან მის მიერ უკვე
განვლილ საფეხურებს, გაიმეორებენ მის მიერ უწინ
დადებულ ფიცს და დიდებით მოიხსენიებენ ახალ
საფეხურს. შემდეგ უბრძანებენ ადგომას და მა-
ლალ კიბეზე ასვლას, საიდანაც უნდა ჩამოხტეს.
ამის შემდეგ გადასცემენ ხანჯალს, რომელიც უნდა
ჩასცეს ფიტულს. სისხლისმაგვარი სითხე გად-
მოსდინდება მისგან და დაუსვრის ხელებსა და
სამოსს. მან თავიც უნდა მოჰკვეთოს ფიტულს.
დასასრულს აუწყებენ, რომ მან მოკლა მეფე ფილ-
იპე ლამაზი, ხოლო იატაკზე მიმობნეული ძვლე-
ბი კი ტაძრელთა გროსმაისტერს, იაკობ მოლეს
ეკუთვნის. როგორც ვხედავთ, ამ შავბნელ რიტუ-
ალში მინიშნებულია 1314 წლის 18 მარტს მომხ-
დარ ისტორიულ ფაქტზე – როდესაც პარიზში
ფილიპე ლამაზის, გიორგი ნოგარესა და პაპი კლი-
მენტ V-ის შეთქმულების შედეგად კოცონზე დაწვეს
ტაძრელთა (ტამპლიერთა) ორდენის უკანასკნე-
ლი გროსმაისტერი იაკობ მოლე. აქვე ამოიკითხ-
ება სრულიად გარკვეული განაჩენი: სამეფო ტახტმა
და დინასტიამ არსებობა უნდა შეწყვიტოს სა-
ფრანგეთში.

გრაფი დე სენ-ჟერმენი საფრანგეთის სამეფო
კარზე პირველად გამოჩნდა მეფე ლუდოვიკო XVI-
ის (1774-1792) ტახტზე ასვლის შემდეგ. გავრ-
ცელებული სპეციალური ციების მიხედვით, იგი უნ-

გრელი დიდგვაროვანი უნდა ყოფილიყო, თუმცა კვლევამ დღემდე ვერ მოახერხა დაედგინა ნამდვილი წარმომავლობა კაცისა, რომლის სახელიც განუყრელადაა დაკავშირებული რევოლუციის ამ ავძელით ხანასთან. მის შესახებ არსებობდა და კვლავაც არსებობს უამრავი ცრურწმენა, ლეგენდა, რომლებიც ოდენ ნაყოფია ფანტაზიისა და სინამდვილის ერთ მარცვალსაც კი არ შეიცავს. ცნობილია, რომ რევოლუციის შემდგომ საფრანგეთში გამოჩნდა არაერთი შარლატანი, რომელიც თავს სენ-ჟერმენად ასაღებდა. ამის გამო ბევრი პოზიტივისტი მკვლევარი თვით ნამდვილი სენ-ჟერმენის არსებობასაც კი ეჭვქვეშ აყენებს და არგუმენტად მოაქვს ავთენტური წყაროს არარსებობა. დღეს უკვე დადგენილია, რომ არსებობს ერთადერთი წყარო, რომლის ავთენტურობაში ეჭვის შეტანის არავითარი საფუძველი არ არსებობს: ეს არის 1836 წელს პარიზში გამოსული სამეფო კარის სეფექალის, კომტესს (იგივე „გრაფინია“) დადემარის მოგონებანი მარია-ანტუანეტაზე, საფრანგეთის დედოფალსა და ავსტრიის იმპერატორის ასულზე, რომელიც შეიცავს საკმაოდ რეალისტურ პასაჟებს ამ თემაზე.

გრაფი სამეფო კარზე პირველად უნდა გამოჩენილიყო დაახლოებით 1774-სა და 1781 წლებს შორის. კომტესს დადემარის თქმით, მისი პირველი წინასწარმეტყველება მოსალოდნელი ამბებისა სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა. იგი დაწვრილებით წინასწარმეტყველებდა რევოლუციას, რომელიც სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა მეფეს და

დედოფალს, სოციალურ ქაოსს, ძალადობას და ტერორს. მომყავს ერთი ამონარიდი მისი საუბრი-დან ჯერ კომტესსთან, შემდეგ თვით დედოფალ-თან:

„ენციკლოპედისტების პარტიას ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურს, რასაც შესძლებს სა-სულიერო წოდების სრული დათრგუნვის გზით. ამისთვის იგი განახორციელებს გადატრიალებას მთელს ქვეყანაში. ეს პარტია უკვე ეძებს თავის წინამძღოლს სამეფო ოჯახში და თვალი უჭირავს შარტრის ჰერცოგზე (შდრ. ჰეკეთორნის მონათ-ხრობი ფილიპ ეგალიტეს ხელდასხმის შესახებ, კ. გ.); ხსენებული თავადი სწორედ იმათი ინტერ-ესების სამსახურში ჩადგება, ვინც მაშინვე გასწი-რავს მას, როცა ჩათვლის, რომ უსარგებლო გახდა. მას საფრანგეთის გვირგვინსაც კი შესთავაზებენ, მაგრამ ეშაფოტი ექცევა ტახტად. ვიდრე სა-მართლიანობის დღე გათენდებოდეს, რამდენი სი-სასტიკეა მოსალოდნელი! რამდენი მკრეხელური საქმე! კანონები ვეღარ დაიცავს კეთილმსახურთ და ვეღარ შეაშინებს ბოროტებას. ეს უკანასკნელნი სისხლიანი ხელებით მოიხვეჭენ ძალაუფლებას, მოსპობენ კათოლიკურ სარწმუნოებას, არისტოკრა-ტიას, მაგისტრატურას... მე მოვსულვარ, რათა მი-გითითოთ იმ საფრთხეებზე, რაც დაემუქრება თქვენს ტახტს, თუკი არ შეეცდებით თავიდან აიცილოთ ისინი.“ უნდა ითქვას, რომ მსგავსი გამონათქვამები 1789 წლის რევოლუციამდე 10-15 წლით ადრე სამეფო კარზე ან ფანტაზიორობად იქნებოდა აღქმული, ან, სულ ცოტა, კადნიერებად ჩაეთვლე-

ბოდა მის მთქმელს.

გრაფი 1788 წლამდე რამდენიმეჯერ გააფრთხილებს მეფეს და დედოფალს, როგორც ამას დადემარის წიგნში ვკითხულობთ. იგი ყოველნაირად ცდილობს მეფე დაითანხმოს ისეთი ღონისძიებების გატარებაზე, რაც ქვეყანას თავიდან ააცილებდა რევოლუციას. უპირველეს ყოვლისა მეფეს აუცილებლად უნდა გამოეცვალა ის კარისკაცი, რომელსაც ევალებოდა პოლიციური ფუნქციების შესრულება სამეფო ტახტის უშიშროების მიზნით. ამ უზომოდ ეჭვიანმა, უგუნურმა პირმა, რომელმაც (ხშირად სრულიად უსაფუძვლოდ) უამრავ ადამიანს უკრა თავი ბასტილის კაზემატებში, მეფის ოჯახს თავისი „ერთგულებით“ რევოლუციონერებზე არანაკლებად ავნო. სენ-ჟერმენი, როგორც ჩანს, ცდილობდა ზეგავლენის მოხდენას ლოჟებზეც, მაგრამ მისმა მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა. მატერიალიზმის და პოლიტიკანობის სენით დაბრმავებულნი ვეღარ სცნობდნენ მის სახეს და ვერ იხსენებდნენ მის სახელს, ვინც თავად იყო ცხოვრების უდიდესი ხელოვანი და ოქრო-ქვის რაინდი. მის ერთ-ერთ ბოლო წერილში დედოფლისადმი, რომელიც 1788 წლით თარიღდება, შემდეგი ლექსია ჩართული:

„აპა, დადგა უამი. ოდეს უგუნური საფრანგეთი მოიწევს უბედურებას, რომლის თავიდან აცილებაც შეეძლო. და ეს ემსგავსება ჯოჯოხეთს, დანტეს მიერ აღწერილს. დედოფალო, ახლოა ეს დღე. უეჭველად. მშიშარა და ქვენა პიდრა, უსაშეელო თავისი ზომით, დაამხობს ტახტს, საკურთხეველს და თემიდას. ჯანსაღი აზრის ნაცვლად გაუგონარი სიშლეგე გამეფდება.“

ბოროტებას ყველაფრის ნება ექნება,
დიახ, დაემხობა სკიპტრა, სასაკმევლე და სასწორი,
კოშკები, გერბიანი ფარები, თვით თეორი დროშები.
ნაცვლად ტკბილი განსვენებისა
პპოვებენ სიცრუეს, მკვლელობას, ძალმომრეობას.
ქალაქებში მოედინება სისხლის უგრძესი ნაკადულები,
აღარაფერი მესმის გოდების გარდა, ვხედავ მხოლოდ
ლტოლვილ.

ყველგან ბობოქრობს სამოქალაქო განხეთქილების
ყრუ მრისხანება.

ყველგან თელავენ სათნოებას და იგი მოსთქვამს.
დიდი კრებული სიკვდილს განაჩინებს.
მაღალო ღმერთო! ვინ გასცემს პასუხს ჯალათ-მსაჯულებს?
ეს რა დიდებულ შუბლებზე ვხედავ დაშვებულ მასვილს!
ეს რა ურჩხულებს შერაცხავენ გმირებად!
მჩაგვრელი, ჩაგრული, მძლეველი, ძლეული... ქარიშხალი
მოგეწვათ უამით უამამდე თქვენი ხომალდის დაღუპვისას.
რა დანაშაულობანი, რა სიბოროტე, რა საზარელი
თავდასხმები

ემუქრება როგორც ქვეშევრდომთ, ისე მათ ბატონთ!
უზურპატორზე უარესია, ვინც ტრიუმფით გასცემს ბრძანებას,
მეტია შემუსვრილ გულზე, თავს ვინც დაიმდაბლებს
და განიწმინდება.

ბოლოს დაიხშობა უფსკრული და შობილი შავი სამარიდან
იხარებს ნორჩი შროშანი, ბედნიერი და მშვენიერი.“

ის, რაც ამის შემდევ
მოხდა, საყოველთაოდ
ცნობილია ისტორიდან:
1789 წლის 14 ივლისს
— ბასტილიის აღება, 1792
წლის აგვისტოში — ტი-
უილერის სასახლის აღე-
ბა შტურმით, იმავე წლის სექტემბერში — მეფის
გადაყენება ეროვნული კონვენტის მიერ და რეს-

პუბლიკის გამოცხადება, 1793 წელს – მეფის და დედოფლის სიკვდილით დასჯა, რის შემდეგაც რობესპიერულმა ტერორმა ფართოდ გაშალა ფრთები.

თავისუფლება გრაფი სენ-უერმენისთვის წმინდა იდეალი იყო, მაგრამ იგი სხვათაგან განსხვავებით თვლიდა, რომ კაცობრიობა ნელა უნდა განვითარდეს, თუკი სურს ჭეშმარიტი გაგებით ეზიაროს მას: არ არსებობს არანაირი თავისუფლება ზნეობრიობის განცდის და სამყაროული კანონების შემეცნების გარეშე, რასაც ინდივიდი მიჰყავს მორალური სამყაროული წესრიგისაკენ. მის მიერ რევოლუციის წინ ნათქვამი ისტყვები: „ვინც ქარს დასთესს, გრიგალს მოიმკის“, განმეორებაა ოსია წინასწარმეტყველის ბიბლიური სენტენციისა (ოსია 8, 7). იგი, შტაინერის თქმით, სახელმძღვანელო მაქსიმადაც კი გამოადგებოდა ევროპულ კულტურას და ნიშნავს შემდეგს: „თქვენ (ე. ი. ევროპელნი, კ. გ.) გაათავისუფლებთ ადამიანს – თავად სული ღვთისა შეუერთდება თქვენს თავისუფლებას და ადამიანებს გახდის თავისუფალთ უფლის წინაშე. მაგრამ მანამდე სული გადაიზრდება გრიგალში, ანუ გაჩაღდება ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ.“


რევოლუციის დროს სამი იდეალადქცეული (და იმავდროულად სოციალისტების მიერ პრიმიტიულად გაგებული) პრინციპის ინტერპრეტაცია სენ-უერმენისეული სულიდან გამომდინარე, შემდეგია: სრული თავისუფლება უნდა განხორციელდეს სულიერ ცხოვრებაში, რაც მოიცავს მეცნიერებას,

ხელოვნებას, რელიგიას, სამართალწარმოებას და ა. შ. სრული თანასწორობა – მართვა-განმგებლობისა და ადმინისტრაციის სფეროში იმის საფუძველზე, რომ კანონის წინაშე ყოველი ადამიანი, განურჩევლად წოდებრივი თუ ქონებრივი მდგომარეობისა, გათანაბრებულ იქნეს. ხოლო ძმობის პრინციპს ხელი უნდა შეეწყოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, სადაც ხშირად უკიდურესი კონკურენცია და ჯუნგლის კანონები ბატონობს. „ძმობა“ გულისხმობს მეურნეობის ასოციატიურობას და გამორიცხავს სოციალ-დარვინისტულ გადარჩევას წარმოებისა და გასაღების სფეროში. ამავე დროს ეს სამი პრინციპი სინქრონულადაა განსახორციელებელი სოციალური ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილებში, რათა მიღწეულ იქნეს სრული ჰარმონია და შეიქმნას ისეთი სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება თავისუფალი ინდივიდუალობის განვითარება.

ის გარემოება, რომ სხვადასხვა პოლიტიკირებული საიდუმლო საზოგადოებანი ხშირად უჭერდნენ მხარს კონსტიტუციური წესრიგის, ავტოკრატიის შეზღუდვის და პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფის ტენდენციებს, სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ეს მოთხოვნები თავისთვად ცუდია და მხოლოდ კაპრიზული, სექტანტური გონების ნაყოფია. ვგონებ, საკამათო ნამდვილად არ არის, რომ დესპოტიზმს დემოკრატია სკობია, ხოლო პიროვნების ჩახშობას – მისი განთავისუფლება. ხსენებული საზოგადოებანი ამ პროცესს ხელს უწყობდნენ იმის გამო, რომ იმე-

დოვნებდნენ: ახალ პირობებში გაჩნდება შესაძლებლობა მეტი ძალაუფლების და გავლენის მოპოვებისა, ვინაიდან ეძინა პოლიტიკოსებისა და ინტელექტუალების აბსოლუტურ უმრავლესობას, აგრეთვე ხალხის მასებს. ამასთანავე მათ ჰქონდათ საოცრად უტყუარი შეგრძნება, თუ რამდენად ღრმაა ცნობიერების ეს ძილი ამა თუ იმ ეტაპზე. სამწუხაროდ ისტორია გვიჩვენებს, რომ მათი მოლოდინი მართლდებოდა ხოლმე. საბოლოოდ ხალხს ცოტა რამ თუ რჩებოდა იქიდან, რაც მისი სახელით მოიპოვებოდა. „ხალხი სახელმწიფოს ის ნაწილია, რომელმაც არ იცის, რა უნდა“, დაასკვნიდა ჰეგელი, როდესაც შეისწავლიდა ახალ დემოკრატიას საფრანგეთის რევოლუციის მაგალითზე.





„იესოს საზოგადოება“

მასონური ძმობების ერთგვარ ანტიპოდს ევროპის ისტორიაში წარმოქმნის „იესოს საზოგადოება“, რომლის წევრებსაც იეზუიტების სახელით იცნობენ. ეს ორდენი თუმცა ლეგალურად არსებობს კათოლიკურ ეკლესიაში, მაგრამ მისი ნამდვილი მიზნები გარესამყაროსთვის ყოველთვის დაფარულია. ჰეკეთორნი თავის წიგნში იეზუიტურ ორდენს საიდუმლო საზოგადოებათა რიცხვს განაკუთვნებს თუნდაც იმიტომ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც იგი აკრძალულია, სხვა სახელით განაგრძობს არსებობას. იეზუიტები ფარულად აღწევენ ასეთ ქვეყნებში და იკიდებენ ფეხს, ამ მიზნით კი ჯერ ან ნამდვილ საიდუმლო საზოგადოებებთან ამყარებენ კონტაქტს, ან თავიანთსავე მოკავშირეებთან და წარმომადგენლებთან სხვადასხვა დონეზე. ეს უკანასკნელნი კი თავიანთ კავშირს იეზუიტებთან საგულდაგულოდ ჩქმალავენ, სპეციფიური მეთოდებით ავრცელებენ ორდენის პრინციპებს და მხედველობაში იღებენ მათ ინტერესებს.

როგორც ისტორიდანაა ცნობილი, იეზუიტების ორდენი დაარსებულ იქნა 1534 წელს პარიზში, ესპანეთის არმიის ყოფილი ოფიცრის, იგნაციუს ლოიოლას მიერ. იგი ოფიციალურად აღიარა და დაამტკიცა 1540 წელს რომის პაპმა პავლე III-მ. ორდენის წევრობა გულისხმობდა აღთქმის დადებას სიღარიბესა და ცელიბატთან დაკავშირებით, მისიონერულ მოღვაწეობას და პაპისადმი მორჩილებას. მისი იერარქია მკაცრი დაქვემდებარების

პრინციპს ეფუძნებოდა. თითოეული წევრი ვალდებული იყო უპირობოდ დამორჩილებოდა ორდენის გენერალს და პაპს.

ორდენის დაარსება პირდაპირ კავშირშია იმ დროს ევროპაში საკმაოდ გავრცელებულ რეფორმატორულ მოძრაობასთან და მან იმთავითვე კონტრრეფორმაციის მედროშეობა იკისრა. ამ დროიდან მოყოლებული იეზუიტები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხელში იღებდნენ განათლების სადავეებს სკოლებსა და უნივერსიტეტებში, ხელმძღვანელობდნენ პრინცების აღზრდას სამეფოში. ჯერ კიდევ 1551 წელს ლოიოლამ რომში დაარსა „კოლეგიუმ რომანუმ“, რომელიც დღესაც ცნობილია პაპის უნივერსიტეტის, „გრეგორიანას“ სახელით. თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოება გამოიჩინდა მტრული დამოკიდებულებით სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლებებისადმი, აგრეთვე მიზნად ისახავდა ყოველგვარ წინსვლასთან ბრძოლას ლიტერატურასა და მეცნიერებაში. პირველი საიდუმლო კონგრეგაციები დაარსებულ იქნა საფრანგეთსა და იტალიაში, რომლებიც გასაიდუმლოებულ ვითარებაში იკრიბებოდნენ და გააჩნდათ საკუთარი კატეხიზმო, რომელიც ორდენის თოთოეულ წევრს სიკვდილის წინ უკან უნდა დაებრუნებინა თავისი მოძღვრისათვის. ამასთან დაკავშირებით ჰეკეთორნი ახსენებს პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერს, დათარიღებულს 1709 წლით, „იეზუიტური კონგრეგაციების ისტორია და ძმობები 1563 წლიდან დღემდე“.

იეზუიტების გასაიდუმლოებული რიტუალები, რომელთა შესახებაც არსებობს გარკვეული ცნობები, დაახლოებით მე-17 საუკუნიდან უნდა იღებდეს სათავეს. იეზუიტური ორდენის ნეოფიტი, ვიდრე მას წევრად მიიღებდნენ, გადიოდა ორსაფეხურიან გამოცდას. ეს გულისხმობდა მძიმე მარხვას, შემდეგ ხელოვნურად მოწყობილ გამოცდას, რომლის დროსაც იგი შედიოდა სრულიად დაბნელებულ სივრცეში, სადაც მას შეხვედრა უწევდა დემონებთან, მოჩვენებებთან, ჩონჩხებთან. ამ დროს მას ფარულად თვალყურს ადევნებდნენ. ნეოფიტი ყოველნაირად უნდა ცდილიყო არ შეეწყვიტა ლოცვა. გამოცდის წარმატებით გავლის შემთხვევაში მას საზეიმოდ ადებინებდნენ ფიცს:

„ჯვარცმული ქრისტეს სახელით ვფიცავ, რომ დავხსნი ყველა ურთიერთობას, ჯერ კიდევ რომ მაკავშირებს მამასთან, დედასთან, ძმასთან, დასთან, ნათესავთან და მეგობართან, მეფესთან, ხელისუფლების ორგანოებთან და ყოველ ავტორიტეტთან, ვისთვისაც ოდესმე შემიფიცავს ერთგულება, მორჩილება, მადლიერება ან მზადყოფნა მსახურებისთვის. უარვყოფ ჩემი დაბადების ადგილს, რათა მომავალში სხვა სფეროდ დავმკვიდრდე. ვფიცავ, ჩემს ახალ მოძღვარს მოვახსენო ყველაფერი, რაც გამიკეთებია, მიფიქრია, წამიკითხავს, გამიგია და აღმომიჩნია... ვფიცავარ, ჩემს მოძღვარს დავემორჩილო ისე, როგორც სიცოცხლისაგან დაცლილი, საკუთარ ნებას მოკლებული ცხედარი.“

იეზუიტების მოქმედების მეთოდები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. პრინციპი „მიზანი ამართ-

ლებს საშუალებას“ ძალაში შედიოდა მეტადრე მაშინ, როდესაც არასასურველი პირის ჩამოშორებას განიზრახავდნენ. ამისთვის საგანგებოდ შერჩეულ იეზუიტს კისერზე ჩამოჰკიდებდნენ ხანჯალს, რომელიც მანამდე „აკურთხა“ ორდენის რომელიმე ფუნქციონერმა. შემდეგ ეტყოდნენ, რომ იგი „ღვთისგანაა არჩეული“ ამა თუ იმ პირის მოსაკლავად. ხოლო ასეთი სიკვდილი შესაძლოა დაემსახურებინა ადამიანს, რომელსაც იეზუიტები შერაცხავდნენ ან „ტირანად“, ან „მწვალებლად“. ასეთი რამ თეოლოგიური თვალსაზრისით ეყრდნობა მოძღვრებას „ინტენციოზე“, ანუ კეთილ განზრახვაზე, რაც აკრძალულ ქმედებას ნებადართულს ხდის, თუკი ის მაღალ მიზნებს ემსახურება.

იეზუიტები (ისევე როგორც მასონები) პოპულისტები არასოდეს ყოფილან: ისინი თავიანთი მიზნების მიღწევას ცდილობდნენ არა ხალხის მასებთან ურთიერთობით, არამედ ზელისუფლების სათავეში მყოფ არისტოკრატიაზე, აგრეთვე განათლებული ადამიანების ვიწრო წრეებზე ზემოქმედების გზით. ამგვარ მოქმედებას მათთვის ხშირად მოუტანია წარმატება.

იეზუიტური ორდენის შეფასება რ. შტაინერთან საკმაოდ მკაფიო, კატეგორიული ფორმითაც გვხვდება. მისი თქმით, „იეზუიტების საზოგადოება არსებობს მხოლოდ იმ მიზნით, რომ აღმოფხვრას იესო ქრისტეს ხატი და დაადგინოს იესო, როგორც ვინმე ტირანი კაცობრიობის განვითარებაში.“ ამ კონტექსტში იგი ყურადღებას ამახვილებს მათ მრავალწლიან ასკეტურ განსწავ-

ლაზე, სადაც ძირითადი აქცენტი ნებისყოფის მუშტვრაზეა გაკეთებული, თუმცა მათი მიზანია არა იმდენად ასკეტური ცხოვრება, არამედ „მორჩილების“ გამომუშავება. წვრთნის ერთ-ერთი უმთავრესი ეგზერციტია (ანუ სავარჯიშო) გამოყურება ასე: მოწაფემ ცხადად უნდა წარმოიდგინოს ჯერ იერუსალიმი, სადაც აღსაყდრებულია იესო, როგორც მთავარსარდალი, და ყოველი მიმართულებით აგზავნის თავის ჯარისკაცთ; შემდეგ ბაბილონი მასში აღსაყდრებული ლიუციფერით, რომელიც ასევე ყოველი მიმართულებით აგზავნის თავის მსახურთ. მოწაფე, რომელიც შეგნებულად ამბობს უარს თავის ინდივიდუალურ ნებაზე, მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ჩააგონებდეს თავს, რომ იესოს ერთ-ერთი რიგითი ჯარისკაცია. ამგვარად გაწვრთნილი იეზუიტების მიზანია უშუალოდ სხვა ადამიანის ნებაზე ზემოქმედების მოხდენა თავიანთი ცხოვრების წესით, თვით მეტყველებითაც კი ისე, რომ სხვები, ვინც არ არიან განდობილნი მათ მიზნებს, აქციონ თავიანთი ორდენის შორსმიმავალი გეგმების არაცნობიერ ინსტრუმენტებად. შტაინერი დასძენს, რომ ეგზერციტიების საშუალებით იესოს ჯარისკაცს ეძლევა ძალა, ისე ჩამოაყალიბოს თავისი მეტყველება, რომ მის მიერ გაკეთებული და ნათქვამი შთაიღვრება სხვა ადამიანის ქვეცნობიერ იმპულსებში. თანამედროვე გამოთქმას თუკი მოვიხმართ, ეს სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ზომბირება.

სწორედ იეზუიტური ორდენის მიერ, რამდენადაც მიზნად ისახავდა „ლუთერანული ერესის“

ამოძირებას, იქნა ინსპირირებული 30-წლიანი ომი ევროპაში. ომი 1618 წლიდან 1648 წლამდე მძვინვარებდა აქ და ნანგრევებად აქცია არაერთი მხარე. ომის დაწყების წელს, როდესაც პრაღაში ფანჯრიდან გადმოაგდეს კაიზერის ორი კათოლიკური მრჩეველი, შუა ევროპაში გავრცელდა პროკლამაცია, რომელშიც იეზუიტებს ბრალი ედებოდათ 1568 წლიდან მომხდარი ზოგიერთი პოლიტიკური მოვლენის ინსპირირებაში: ესპანეთის ტახტის მემკვიდრის, დონ კარლოსის მკვლელობაში, ე. წ. „დენთის შეთქმულებაში“, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლისში 1605 წელს, აგრეთვე 1618 წლის ბიომენის აჯანყებაში. პროკლამაციაზე დახატული იყო კარიკატურა, კერძოდ – მძინარე მარტინ ლუთერი ხის ქვეშ, რომელსაც დასევიან ანაფორიანი იეზუიტები ნაჯახებით ხელში და ცდილობენ მის მოჭრას, ნაჯახის ყოველი მოქნევა ვითომდაც „ღვთის სიტყვა“.

სხვათა შორის, ზემოხსენებული „დენთის შეთქმულება“ იყო მცდელობა კონტრრეფორმაციისა ინგლისში. 1605 წლის ნოემბერში შეთქმულებას სცადეს პარლამენტის შენობის აფეთქება და მეფე იაკობ I-ის მოკვლა. შეთქმულება ორგანიზებული და დაფინანსებული იყო ესპანეთიდან მეფე ფილიპე II-ის მიერ. შეთქმულებასთან ერთად ჩაიშალა კონტრრეფორმაცია. მეფე იაკობ I, მარია სტიუარტის ვაჟი, ინგლისური მასონობის საკვანძო ფიგურაა მე-17 საუკუნეში. იგი ერთგვარი წინამორბედია მემარჯვენე-კონსერვატიული მიმდინარეობისა პოლიტიკაში. მსგავსი მასონობა, რომელიც თავიდან

დაპირისპირებული იყო იეზუიტიზმთან, თავადურარისტორატიული განწყობილებიდან წარმოსდგა; ამ სპეციფიკის გამო როგორც ინგლისური, ისე ფრანგული ლოგები სავსე იყო გრაფებით, ჰერცოგებით, ბარონებით.

იეზუიტიზმზე მსჯელობისას მხედველობაში მაინც მისაღებია ერთი ფაქტორი, როდესაც საქმე შეეხებათ უშუალოდ იგნაციუს ლოიოლას და მის ექვს თანამოაზრეს, „იესოს ორდენის“ დამაარსებელთ. ისინი სულიერად მოღვაწე ადამიანები იყვნენ, რომელთა მოქმედების მიღმაც წმინდად რელიგიური მოტივების გარდა სხვა არრა შეიცნობა. ისინი სრული იდეალიზმით და ენთუზიაზმით ცდილობდნენ ებრძოლათ ქრისტიანული საქმისთვის სამყაროში. ლოიოლას გარდაცვალების შემდეგ ორდენი თანდათან ჩაიძირა პოლიტიკანიზმის ჭაობში, თანდათან შემოღებულ იქნა ცრურწმენაზე, ცრუმისტიციზმზე დამყარებული რიტუალები. ამის შემდეგ სახელი „იეზუიტი“ თანდათან იღებს ფართო წრეებში უარყოფით, პეიორატიულ მნიშვნელობას.

არც ის არის გასაკვირი, რომ ლოიოლა მარტინ ლუთერის მოწინააღმდეგე იყო. ეს უკანასკნელი თავისი უკიდურესი რიგორიზმით, სულიერი სიუხეშით, ყოველი კულტისმიერი ესთეტიზმის უარყოფით იმსახურებდა არაერთი პუმანისტის, აგრეთვე ღრმად მოაზროვნე ღვთისმეტყველის ანტიპატიებს. ასეთთა რიცხვს ცენტრალურ ევროპაში განეკუთვნებოდნენ თეოლოგები როიხლინი და ბენგელი, ასტრონომი კეპლერი, თეოსოფი ოეტინგერი და სხვანი. ეს მოაზროვნენი აშკარად თუ

არ უცხადებდნენ ბრძოლას რეფორმაციას, ყოველ შემთხვევაში არც მის აქტიურ მომხრეთა ბანაკში იმყოფებოდნენ. ლუთერისთვის ადამიანური ინტელექტი სხვა არაფერი იყო, თუ არა „მეძავი გონება“. იგი ცდილობდა მორწმუნე ადამიანის წარმართვას გონების, აზროვნების მიღმა მყოფი რელიგიურობისკენ. რელიგიური თავისუფლებისათვის ბრძოლა კი მისი გაგებით არ ნიშნავდა ბრძოლას ადამიანის აზროვნების თავისუფლებისათვის, მიიღოს და გადაამუშაოს ის სულიერი შინაარსები, უწინ გამოცხადებით რომ ეძლეოდა კაცობრიობას. სწორედ ამ მიზეზთა გამო აძაგებდა ნოვალისი რეფორმაციას თავის ცნობილ ესსეში „საქრისტიანო ანუ ევროპა“. ხოლო მის მიერ იეზუიტური ორდენის აპოლოგია ამავე ესსეში უწინარეს ყოვლისა მის დამაარსებლებს უნდა შეეხებოდეს და არ გააჩნია არანაირი მიმართება შემდეგდოინ-დელ იეზუიტებთან.

ფრიდრიხ შილერის დრამაში „ვალენშტაინი“
ასახულია ცენტრალური ევროპისთვის საბედის-
წერო მოვლენები, რომლებიც მანდ განვითარდა
ოცდაათწლიანი ომის მიმდინარეობისას: ალბრეხტ
ვალენშტაინი, კათოლიკური კოალიციის მთავარ-
სარდალი, მზად არის მოლაპარაკებაზე წავიდეს
ჩრდილოეთის პროტესტანტულ კოალიციასთან,
რომელსაც სარდლობს შვედეთის მეფე გუსტავ-
ადოლფი. კათოლიკური ქვეყნების „ომის პარტიე-
ბს“, ცხადია, არ ეპიტნავათ ეს ამბავი. ბანაკში
მადრიდიდან, რომიდან და ვენიდან ჩამოდიან და-
ჯუფებები, რომლებსაც იეზუიტები მართავენ და

ცდილობენ ჩაშალონ მოსალოდნელი დაზავება. ვალენშტაინი, რომელსაც სწამს ვარსკვლავთა კეთილისმყოფელი გავლენა ისტორიულ მოვლენებზე, ელოდება ხელსაყრელ მომენტს, რათა გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი. იმავდროულად მისი მოწინააღმდეგენი მოისყიდიან ასტროლოგს, რომელიც მას არწმუნებს, რომ უამი ჯერაც არ დამდგარა. საბოლოოდ ვალენშტაინი მოკლული იქნა ღალატით. ისტორიკოსი გოლო მანი ამასთან დაკავშირებით წერს, რომ ცენტრალური ევროპა ალბათ გადარჩებოდა თავისი ცივილიზაციის საშინელ კატასტროფას, თუკი ვალენშტაინი შესძლებდა თავისი პოლიტიკური გეგმების განხორციელებას.





ივანე მრისხანე

იეზუიტიზმი და რუსეთი

აღმოსავლეთ ევროპაში იეზუიტიზმს ორ ფრონტზე უწევდა ბრძოლა: ერთის მხრივ რეფორმაციასთან, მეორეს მხრივ მართლმადიდებლობასთან. ორდენმა წარმატებას მიაღწია პოლონეთში, სადაც მეფე სტეფანე ბატორის ზეობაში (1575-1596) ფაქტიურად გაანადგურეს რეფორმატორული მოძრაობა. ხოლო ის, რაც იეზუიტებმა მართლმადიდებლობასთან დაკავშირებით გაახერხეს, იყო უნიის შექმნა, ანუ, უფრო სწორად, განახლება. ეს პაპის უზენაესობის აღიარებასთან ერთად გულისხმობდა აღმოსავლურ წესსა და სლავურ ლიტურგიას. უნიტარული მოძრაობის გაძლიერების მიზნით იეზუიტებმა ვილნაში შექმნეს „კოლეგიუმ“ რუსსიკუმ“, სადაც სწავლის საშუალება ჰქონდათ რუს, უკრაინულ და ბელორუს ახალგაზრდებს. ლათინური აქ უმთავრესი ენა იყო, მაგრამ იმავდროულად სლავურ ენებზე ითარგმნებოდა კათოლიკური საღვთისმეტყველო და ეგზეგეტიკური თხზულებანი. (კოლეგიუმი ამ სახელით დღესაც არსებობს ვატიკანში.) ამგვარი მოღვაწეობის სული და გული იყო იეზუიტი ფერქციონერი პეტრე სკარგა, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ოოგორც სტეფანე ბატორის, ისე სიგიზმუნდ III ვაზას კარზე. მისი დიდი მეცადინეობით 1596 წელს მოწვეულ იქნა ბრესტის კრება, სადაც საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო უნიის საკითხი. ამის შემდეგ პოლონეთში მცხოვრები 4 მილიონი მართლმადიდებლიდან ნახევარი იძულები-

თი ღონისძიებების გატარებით გადაყვანილ იქნა უნიტარულ ეკლესიაში.

ისტორიულად ეს უნია დაკავშირებულია 1439 წლის ფერარა-ფლორენციის კრებასთან, როდე-საც თურქებისაგან შევიწროებული ბიზანტიელები პოლიტიკური მოსაზრებით კომპრომისზე წავ-იდნენ რომთან. როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ფერარა-ფლორენციის უნიის გადაწყვეტილებანი არ სცნო. ამდენად ჯერ კიდევ ივანე III-ის დროიდან პოლო-ნეთში, ლიტვაში, ლიტვლანდიაში, უკრაინასა და ბალკანეთში ხდებოდა რუსეთისა და რომის ინ-ტერესების დაპირისპირება.

რელიგიისა და თვითმპურობელურ-იმპერიული პოლიტიკის გადახლართვას რუსეთში განსაზღვ-რავს „მესამე რომის“ იდეის განვითარება. ეკლესიის მამა ანდრია კესარიელი მე-7 საუკუნეში კონსტან-ტინოპოლის მოიხსენიებდა „მეორე რომად“. მისი დაცემის შემდეგ (1453 წ.) ცალკეულმა მართლ-მადიდებლურმა წრეებმა იმედის თვალით შეხედეს რუსეთის მეფე ივანე III-ს, როგორც მართლმა-დიდებლობის ბურჯს და სტარცემა ფილოთეოსმა ერთადერთ ქრისტიან მეფედ მოიხსენია იგი თავის ეპისტოლეში. მისი თქმით, რომი დაეცა აპოლი-ნარული მწვალებლობის, ხოლო კონსტანტინოპო-ლი – ლათინებთან უნიის გამო. მისი საყდარი დაემხო, მაგრამ ისევე როგორც იოანეს გამოცხა-დებაში აღწერილმა ქალმა, ურჩხულისაგან დევ-ნილმა, ეკლესიამ თავი შეაფარა „მესამე რომს“, ანუ რუსეთს.

ეს იდეა, რომელიც ღვთისმოსავი ბერებისა და სტარეცების სულიერი ჭვრეტიდან წარმოსდგება, თავისთავად არ იყო მცდარი. ასე მაგალითად, საქართველოშიც გელათის მონასტერს უწოდებდნენ ახალი იერუსალიმს, ახალ ათინას და ახალ რომს, რომელსაც იოანე შავთელი შემდეგნაირად მოიხსენიებდა:

ახალო რომო, შენთვის თქვეს რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.
ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,
სად რომ დაპრეძალვენ წმინდათ სხეულთა.

მცდარი იყო „მესამე რომის“ იდეის განხორციელების გზები, რაც რუსეთში გულისხმობდა ეკლესიის სახელმწიფოს ინსტრუმენტად ქცევას, მის პოლიტიზირებას, დამპყრობლური ომების, იმპერიული პოლიტიკის, ძალმომრეობის კურთხევას და მხარდაჭერას. ეს კი, ჭეშმარიტი ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან თუ ამოვალთ, გზაა უმაღლ წარმართი ცეზარების რომისკენ, ბაბილონის მეძავისკენ. ამ პროცესს რუსეთში უპირისპირდებოდნენ ისეთი სასულიერო მოღვაწეები, როგორიც იყო, მაგალითად, ათონიდან დაბრუნებული მოწესენილ სორსკი, დევნილი ივანე მრისხანეს დროს. მოგვიანებით ეკლესიის სახელმწიფოს ინსტრუმენტად გადაქცევის ტენდენციას დაუპირისპირდნენ „სტაროვერები“ პროტოპოპ აბაკუმის მეთაურობით, თუმცა არა იმდენად ცნობიერად, რამდენადაც უფრო ინსტინქტურად, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად საქმე თითქოს ლიტურგიკული ტექსტების შესწორებაში იყო. ეს საქმე ხელში აიღო

პატრიარქი ნიკონის კომისიამ, ხოლო „სტაროვერული“ არ ეთანხმებოდნენ შესწორებებს. პეტრე I-ის დროს ეს პროცესი დაგვირგვინდა საპატრიარქოს ფუნქციათა „სინოდისთვის“ გადაცემით და საუკლესიო საქმეთა „ობერპროკურორის“ თანამდებობის შემოღებით.

მართლმადიდებლობას მე-17 საუკუნის იეზუიტები უწოდებდნენ „ფოტიანურ მწვალებლობას“. აქ იგულისხმებოდა ფოტიოსი, თავისი დროის უნივერსალურად განსწავლული პიროვნება და იმავდროულად კონსტანტინოპოლის პატრიარქი მე-9 საუკუნეში. მის მიერ წარმართული თეოლოგიური დისკუსია რომთან უკვე შეიცავდა ისეთ საკითხებს, რომელთაც ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა „ფილიოკვეს“ დავა, ძირითადი მიზეზი აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკლესიების გაყოფისა მე-11 საუკუნეში. აღმოსავლეთის ეკლესიისთვის ჭეშმარიტია სულიწმინდის გამომავლობა მხოლოდ მამისგან, დასავლეთის ეკლესიისთვის – მამისგან და ძისაგან. „ფილიოკვე“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „და ძისაგან“.

პატრიარქი ფოტიოსი ერთმანეთისაგან განასხვავებდა დაბალ (გრძნობად-ფსიქიკურ) და მაღალ (ინტელიგიბლურ, პნევმატურ) სულს, რაც სრულ შესაბამისობაშია ადამიანის არსების პავლე მოციქულისეულ ტრიხოტომიასთან: სხეული-სამშვინველი-სული. 869 წელს გამართულმა მე-8 საუკლესიო კრებამ კი, რომელიც ფოტიოსის გადაყენების შემდგომ რომის დიქტატით ჩატარდა კონსტანტინოპოლში, ცდომილებად მიიჩნია ფოტიო-

სის მოძღვრება და დაადგინა, რომ ადამიანის სული ერთგვაროვანია და არ არის დიფერენცირებული. ამდენად ტრიხოფომია (სამპიროვნება) იქცა დიხოფომიად (ორპიროვნებად). მართლმადიდებლური ეკლესიები, რომლებიც მხოლოდ შვიდ საეკლესიო კრებას ცნობენ, მე-8 კრების გადაწყვეტილებებს არ მიიჩნევენ მართებულად და სავალდებულოდ.



„მესამე რომი“ პეტრე I-ის დროიდან მოყოლებული პრეტენზიას აცხადებდა აღმოსავალეთ ევროპის მართლმადიდებელი ხალხების პროტექტორატზე. ეს მართლმადიდებლები მოსახლეობდნენ პოლონეთის ჩრდილოეთში, რუმინეთის ტრანსილვანიაში (ზიძენბიურგენი) და ვალახეთში, აგრეთვე ოსმალთა მიერ დაპყრობილი ბალკანეთის ნაწილში. მათი ერთი ნაწილი სახლობდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ტერიტორიაზე, თუმცა მათი ეროვნული და სარწმუნოებრივი მიზიდულობის ცენტრი სახელმწიფოს გარეთ იყო მოქცეული: პოლონელთათვის ეს იყო „რუსეთის“ პოლონეთი, რუსინებისთვის – უკრაინა, სერბებისთვის – სერბიის სამეფო.

ფრიდრიხ ენგელსი თავის წერილში „ავსტრიის სისუსტეები“ (ნიუ-იორკ დეილი ტრიბუნი, 1855) ყურადღებას ამახვილებს პანსლავიზმზე, რომლის უკანაც იდგა რუსეთის პოლიტიკური ინტერესები. ისე გამოდის, თითქოს „რასიული“ ფაქტორი გადამწყვეტი იყო მანდ. მაგრამ ეს არის საკითხისადმი სრულიად არადიურენცირებული მიღობის ნიმუში. ცხადია, რუსეთის ავენტურა მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ინტენსიურად მუშაობდა როგორც ოსმალეთის, ისე ავსტრიის სლავებში, მაგრამ კათოლიკებს და მართლმადიდებლებს მაინც განსხვავებული მიღობა პქონდათ ამ საკითხისადმი. კათოლიკე სლავებზე ზემოქმედებას ახდენდა უფრო ფრანგული პოლიტიკური აზროვნება, რაც გულისხმობდა უნიტარულ-ერთგვაროვანი სახელმწიფოს მოდელს: თვით ცნება „შოვინიზმის“ ეტიმოლოგია ფრანგული წარმოშობისაა და მიანიშნებს ეროვნულ უმცირესობათა სისტემატიურ გამიჯვნაზე. გერმანული პოლიტიკური აზროვნება, საპირისპიროდ ამისა, უფრო ფედერატიულ მოწყობას გულისხმობს, რასაც, ცხადია, თან ახლავს სათანადო პოლიტიკური კულტურა. მართლმადიდებელი სლავების ცნობიერებაზე კი მოქმედებდა როგორც სახელმწიფოს მოწყობის „ფრანგული მოდელი“, ისე „მესამე რომის“ იდეა, რომლის მედროშედაც რუსეთს მოჰქონდა თავი. ამადაც ყველაზე კლასიკური მაგალითი ერთმანეთის მონათე-სავე, იმავდროულად რადიკალურად დაპირისპირებული ქვეყნებისა დღეს არის მართლმადიდებლური სერბია და კათოლიკური ჩორვატია. აგრეთვე ისტო-

რიულად ჩამოყალიბებული მენტალიტეტიდან გამომდინარე აიხსნება სერბიისა და საფრანგეთის საგანგებო ურთიერთობა მე-20 საუკუნეში.


მე-19 საუკუნეში ვატიკანი ძირითადად კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა რუსეთის სამეფო კართან, იმავდროულად ოცნებობდა „მესამე რომის“ დაბრუნებაზე კათოლიკური ეკლესიის წიაღში. ასე მაგალითად, რომის ორი მნიშვნელოვანი პაპი, გრეგორ XVI და პიუს IX გაგებით ეკიდებოდნენ ნიკოლოზ I-ის, მეტსახელად „ევროპის უანდარმის“ პოლიტიკას, რომელსაც იგი დაპყრობილ პოლონეთში ატარებდა და რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობდა პოლონელი კათოლიკების დისკრიმინაციას. იგი მწვავდება 1830 წლის აჯანყების შემდეგ, როდესაც პოლონელმა პატრიოტებმა შეადგინეს დროებითი მთავრობა და შეეცადნენ ეროვნული სეიმის შექმნას. ეს აჯანყება 1831 წელს პრუსიისა და რუსეთის ჯარებმა ჩაახშეს. პოლონური ოფიცერთა კორპუსი გააუქმეს, მრავალი პატრიოტი გაასახლეს რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეში, მათ შორის საქართველოშიც. წარჩინებულებს ჩამოართვეს ქონება, დაიხურა ვარშავის უნივერსიტეტი. ვატიკანს, დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს ამჟამად პოლონელთა გამოდიდად არ გამოუდვიათ თავი.

შესაბამისად მეფე ნიკოლოზმა, „მართლმადიდებლობის ბურჯმა“, თვალი დახუჭა, როდესაც პიუს IX-მ თავისი 1848 წლის ენციკლიკით მართლმადიდებლურ ეკლესიებს მოუწოდა აღედგინათ საქრისტიანოს დარღვეული მთლიანობა „პეტრე მო-

ციქულის უმაღლესი საყდრის“, ანუ ვატიკანის უზენაესობის აღიარებით. კონსტანტინოპოლიში ამასთან დაკავშირებით მაღლევე შედგა დიდი საეკლესიო კრება, რომლის მონაწილეებმაც ერთხმად უარპყვეს პაპის მოწოდება.

რუსეთის ეკლესია და მეფე კი სდუმდნენ, რათა ხმის ამოღებას არ დაერღვია რომთან მიღწეული პოლიტიკური თანხმობა, ანუ კონკორდატი. რაც რომის მხრიდან გულისხმობდა პოლონეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის დალატის. თუმცა ეს კონკორდატი ყირიმის ომის წინ დაირღვა: 1852 წელს ნაპოლეონ III-მ, რომელ-საც ზურგს იეზუიტები უმაგრებდნენ, წააქეშა ოსმალეთის სულთანი, წაერთმია ბეთლემის ეკლესიის გასაღები იერუსალიმის პატრიარქისთვის და გადაეცა კათოლიკური სამღვდელოებისათვის. სულთანი ასეც მოიქცა. მას შემდეგ, რაც რუსეთის მეფემ ამ ამბებთან დაკავშირებით ინგლისს წარუდგინა ოსმალეთის იმპერიის სრული დემონტაჟის გეგმა (რაც გულისხმობდა რუსეთის მიერ მოლდავეთის, ვალახეთის, სერბიის და ბულგარეთის ოკუპაციას), შეიკრა ინგლის-საფრანგეთ-ოსმალეთის ანტირუსული ალიანსი და მას ზურგს ვატიკანი უმაგრებდა. ნიკოლოზის რუსეთის „უანდარმული“ როლი, თუმცა ფრიად მისაღები ეკრაპის ზოგიერთ სატახტოში, სულაც არ გაიგებოდა როგორც ჩრდილოეთის იმპერიის გავლენის სფეროთა უსაზღვროდ გაფართოება: ხომ შეიძლებოდა ეს „უანდარმი“ ერთ მშვენიერ დღეს ინდოეთ-საც დამუქრებოდა, უპატიოსნეს თვალს ინგლისის

სამეფო გვირგვინში. სხვათა შორის ამ პერიოდში
ინგლისელებს გააჩსენდათ კავკასიელი ხალხების
ბრძოლა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ, რომელ-
საც ისინი უკვე ათეულობით წელია ეწეოდნენ.
ბრიტანეთის მთავრობის ემისრებმა იმამ შამილიც
კი მოინახულეს.





რომის ახალი დოქტრინა

რომის ახალი დოქტრინა 1870 წლის 17 ივლისიდან ემყარება პაპის უცდომელობის დოგმას. ამ დოგმის დამტკიცებას საეკლესიო კრებაზე მხარი დაუჭირა 533-მა დელეგატმა, მხოლოდ ორი წავიდა წინააღმდეგი. პაპი პიუს IX-ის მიერ დეფინირებულ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

1. პაპი არის წმინდა პეტრეს მემკვიდრე და როგორც ქრისტეს მოადგილეს და ეკლესიის თავს აქვს სრული ძალაუფლება მთელს ეკლესიაზე.
2. პაპის, როგორც თანამდებობის მქონეს (Ex cathedra) მიერ მთელი ეკლესიისთვის გამოტანილი გადაწყვეტილებანი სარწმუნოებისა და ზნეობის საკითხებში უცდომელია და ცვლილებას არ ექვემდებარება.

ეს დოქტრინა, ცხადია, ციდან არ ჩამოვარდნილა: მას გასულ საუკუნეებშიც ჰყავდა თავისი წინამორბედნი, რომლებმაც შეიმუშავეს პაპის ინსტიტუტის იურიდიული და თეოლოგიური სტატუსები. ასეთი დოკუმენტია, მაგალითად, მე-11 საუკუნეში (მალევე მართლმადიდებლურ ეკლესიასთან 1054 წლის განხეთქილების შემდეგ) პაპი გრეგორ IX-ის მიერ გამოცემული „დიქტატუს პაპაე“, სადაც აღიარებულია სასულიერო ხელისუფლების (საკერძოტიუმის) პრიმატი საერო ხელისუფლებაზე (იმპერიუმზე). მისი ძირითადი პოსტულატებია: 1. პაპი წმინდა პეტრეს განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა. 2. პაპი განიკითხავს შველას და არავისგან იქნება განკითხული. 3.

პაპი შეუზღუდავი მეუფეა საყოველთაო ეკლესიისა. 4. პაპი არის მსოფლიოს უზენაესი მპურობელი. 5. პაპისტური და საერო ხელისუფლება ისეთ-სავე მიმართებაში არიან ერთმანეთთან, როგორც მზე და მთვარე: მთვარე თავის ნათელს მზისგან იღებს.

1870 წლის დოგმის პროკლამირებას კი თავისი პოლიტიკური წინაპირობები ჰქონდა: 1848 წელს ევროპაში რამდენიმე რევოლუცია მოხდა: კერძოდ პროტესტანტულ პრუსიასთან ალიანსში მყოფმა იტალიის სამეფომ, რომელსაც ლიბერალური და დემოკრატიული ძალები განავებდნენ, ვენეციიდან განდევნა ავსტრიელები და პრეტენზია განაცხადა რომზე, როგორც გაერთიანებული იტალიის დედაქალაქზე. რევოლუციის შედეგად საფრანგეთში დაემხო მეფე ლუი-ფილიპეს და პრემიერმინისტრ გიზოს ძალაუფლება. მთავრობაში საბოლოოდ ზომიერი რესპუბლიკელები მოვიდნენ, ხოლო პრეზიდენტი გახდა ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტე, დიდი ნაპოლეონის ძმისშვილი, საკმაოდ უნიჭო მმართველი, რომელსაც მხოლოდ ინტრიგები ეხერხებოდა; გერმანიაშიც ფართო ფენებმა დააყენეს მოთხოვნები კონსტიტუციური მმართველობისა, რაც დაგვირგვინდა პირველი გერმანული პარლამენტის სხდომით პაულუსკირხეში (ანუ ფრანკფურტის წმინდა პავლეს ეკლესიაში).

პაპი ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა ახალ წესწყობილებას და „დამღუპველ იდეებს“, რაც კონსტიტუციურ მმართველობასთან ერთად გულისხმობდა ეკლესიის ზედამხედველობითი ფუნქციე-

ბის შეკვეცას საერო ცხოვრებაში, სხვადასხვა კონფესიის მოქალაქეთა გათანასწორებას, შეკრებების და პრესის თავისუფლებას და ა. შ., მაგრამ ვეღარაფერს აწყობდა: „წმინდა კათედრა“ ძველი დიდების აჩრდილიღა იყო. ამიტომაც ვატიკანი ფართო ფრონტით ამზადებს ახალ კრებას: არსდება ახალი გაერთიანებანი, მიმდინარეობს „მორჩილების“ და პაპის უცდომელობის გაცხოველებული პროპაგანდა და ამაში ლომის წილი იეზუიტთა ორდენს მიუძღვის. 1864 წლის 8 დეკემბრის ენციკლიკაში პაპის მიერ განსჯილია 80 ცდომილება სამეურნეო ცხოვრებიდან, პოლიტიკიდან, მეცნიერების და რელიგიის სფეროებიდან, მათ შორის ლიბერალიზმი, სოციალიზმი, საზოგადოებრივი თუ მეცნიერული პროგრესის იდეები.

როგორც ცნობილია, 1870 წლის ახალ დოგმასთან დაკავშირებით არაერთი პროტესტი გამოითქვა თვით კათოლიკურ ეკლესიაში, ლიბერალურ და განმანათლებლურ წრეებზე რომ არაფერი ვთქვათ. განხეთქილება მოხდა თვით კათოლიკობაში, რის შედეგადაც წარმოიქმნა ვატიკანისაგან დამოუკიდებელი „ძველკათოლიკეთა“ მოძრაობა და ეკლესია, რომელიც ხსენებული კრების გადაწყვეტილებებს დღემდე არ სცნობს. „უცდომელობის“ საკითხს დაახლოებით 40 წლის შემდგომ შეეხება შტაინერიც, თუმცა მისი კრიტიკა, ზემოხსენებული წრეებისგან განსხვავებით, სრულიად სხვა თვალთახედვისგან მომდინარეობს და განზოგადოებულია: „თავისი უცდომელობის დოგმით რომს სურს აღმართოს ჯებირი სულიერი სამყაროდან წამო-

სულ სპირიტუალურ ჭეშმარიტებათა შესაკავებლად; ეს ცენტრი ცნობიერად უწყობს ხელს მატერიალიზმის გავრცელებას თანამედროვე კულტურულ სამყაროში.“ მისი თქმით, ამგვარი ეკლესია არ აიძულებს ადამიანებს ღმერთის სიტყვიერ უარყოფას, მაგრამ იგი ხელს უწყობს ადამიანის ცნობიერების დაბნელებას, რამაც ადამიანები მიიყვანა მეტად ძნელად დასაძლევ მატერიალიზმამდე. „ამ მატერიალიზმის წყაროებს დღეს წარმოადგენენ არა რომელიმე ბიუხნერი, მოლეშოტი, ფოგტი, არამედ რომი და ყოველივე ის, რასაც აქვს რაიმე კავშირი მატერიალიზმის ამ ცენტრთან.“

ამ ერთი შეხედვით პარადოქსული თვალსაზრისების გაგებისათვის, თუ როგორ ვრცელდება მატერიალიზმი კლერიკალთა საშუალებით, საჭიროა მეცნიერების და კულტურული ცხოვრების გათვალისწინება მეტადრე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. იგი აღბეჭდილია კაცობრიული პროგრესისა და ბუნებისმეტყველების ახალი მიღწევებისადმი რწმენით. „სინამდვილე“, რომელიც ზუსტი, ფხიზელი დაკვირვების შედეგად შეიმეცნება, ხდება ამოსავალი წერტილი არამხოლოდ ბუნებისმეტყველურ დისციპლინებში, არამედ ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიკაში, თვით ფილოლოგიურ და ისტორიულ კვლევაშიც კი. ამ განწყობიდან გამომდინარე ვითარდება პოზიტივიზმი, რომელიც უკავშირდება ფრანგი ფილოსოფოსის, მათემატიკოსის და სოციოლოგის ოგოუსტ კომტის სახელს. ახალ სისტემაში უარყოფილია ყოველგ


ვარი მეტაფიზიკა და ლეგიტიმურად აღიარებულია მხოლოდ ცდაზე და დაკვირვებაზე აღმოცენებული შემეცნება, როგორც „პოზიტივი“. გერმანიაში ვითარდება ახალი ტიპის ისტორიზმი, რომლის მიზანია ისტორიულ ფაქტებზე ზუსტი დაკვირვებით გამოიკვლიოს თანამედროვეობის ფენომენები და მათი წარმომავლობა, კრიტიკულ ანალიზს დაუქვემდებაროს ისტორიული გადმოცემები. ეს მიმდინარეობა ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ლეოპოლდ რანკეს თხზულებებში წარმოჩნდება, ვინც მიიჩნევდა, რომ ისტორია უნდა დაიწეროს ისე, „როგორც ის სინამდვილეში იყო“. ახალი სიტყვა ითქმის ბუნებისმეტყველებაში და პოლიტიკურ ეკონომიკაში: 1859 წელს იბეჭდება ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი: ჩარლზ დარვინის „სახეობათა წარმოშობის შესახებ“ და კარლ მარქსის „პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის“.


ყოველივე ამას კათოლიკური ეკლესია ფაქტიურად ვერაფერს ვერ უპირისპირებს არამეცნიერული, არაარგუმენტირებული უარყოფისა და დეკრეტირების გარდა. გარეგანი ექსპერიმენტირებით მიღებული ცოდნის ხელაღებით უარყოფა სიშლეგეა. საქმე ამ მეცნიერებათა მიერ გრძნობადი დაკვირვებით მონაპოვარის მართებულ ინტერ-პრეტაციაში და შევსებაშია, რამდენადაც მატერიალისტურ-პოზიტივისტური მეთოდით მოპოვებული მხოლოდ ერთი ნაწილია მთელი სინამდვილისა. ასეთ შემთხვევაში რომის სწავლულთა ამოცანა იქნებოდა სამყაროსთვის მიეცა განახლებული ანტროპოლოგია და კოსმოლოგია, რომელიც ახალი

მეცნიერების მონაპოვარს სრული სერიოზულობით გაითვალისწინებდა და მოახდენდა მის რეინტერპრეტაციას, რითიც დადგინდებოდა სრული ჭეშმარიტება ნაცვლად ნაწილობრივისა. მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტას რომა თავი აარიდა.

თუმცა მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში ახალმა იეზუიტებმა საკმაოდ კარგად აუწყვეს ფეხი ახალი დროის მეცნიერებას, ისე, რომ პოზიტივისტური და მატერიალისტური წარმოდგენების ტრანსფორმაცია არანაირად არ მოუხდებათ. ისინი საკმაოდ ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებითაც შტაინერთან ვკითხულობთ შემდეგს: „გამოიკვლიეთ ლიტერატურა, რომელიც მომდინარეობს იეზუიტებისგან, ოღონდ დაიცავით სიზუსტე, და თქვენ დაინახავთ, რომ თავისი განწყობით, თავისი წარმოდგენებით იგი უაღრესად მატერიალისტურია... იგი ცდილობს ცოდნა მხოლოდ გრძნობად სამყაროში შეაკავოს და მკაცრად გამიჯნოს ეს, როგორც მხოლოდ გრძნობადი დაკვირვების შედეგად მიღებული რამ, ექსპერიმენტული დაკვირვებისთვის მისაწვდომი ფაქტებისაგან, რწმენისგან ან გამოცხადებისგან. ამგვარი წარმოდგენების თანახმად, არასოდეს უნდა იქნეს გადებული ზიდი გარეგან მეცნიერებასა და რწმენას შორის.“ ამაში არაფერია გასაკვირი: მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თვით ფილოსოფოსებიც კი თავიანთ კვლევას საბუნებისმეტყველო მეთოდების მიხედვით წარმართავდნენ და დიდწილად უგულებელჰყოფდნენ ძველი დროის ფილოსოფოს-

თა აზროვნების წესს – ახალი დროის ფილოსოფიურ წიგნებში მთელი თავები ეძღვნება საბუნებისმეტყველო კვლევის შედეგებს, მათ ანალიზს. ხოლო მე-19 საუკუნის ბუნებისმეტყველნი ძალზე შორს იყვნენ აინშტაინისეული მიგნებისგან, რომლის თანახმადაც მატერია სხვა არაფერია, თუ არა ენერგია (გავიხსენოთ მისი ცნობილი ფორმულა $E=MC^2$).





იეზუიტიზმი და მასონობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰეკეთორნი იეზუიტებს საიდუმლო საზოგადოებად იმის გამოც მიიჩნევს, რომ ისინი იმ ქვეყნებში, სადაც მათი ორდენი აკრძალულია, კონტაქტს ამყარებენ „ნამდვილ“ საიდუმლო საზოგადოებებთან. ჰეკეთორნი აღარ აკონკრეტებს, თუ რომელ ჰერიოდს გულისხმობს აქ, მაგრამ ისტორიიდან ცნობილია: ორდენის საწინააღმდეგოდ მიმართული აქციები ევროპაში დაიწყო 1759 წლიდან, როდესაც პორტუგალიის პრემიერმინისტრმა, მარკიზ პომბალმა აკრძალა „იესოს საზოგადოება“ და განკარგულება გასცა მათი სავაჭრო მაქინაციების გამოძიებისა. ისინი გამოაძევეს აგრეთვე პარაგვაიდან, რომელიც პორტუგალიის კოლონია იყო და სადაც იეზუიტმა მოძღვრებმა საკუთარი სახელმწიფოც კი დაარსეს ადგილობრივი ინდიელების ხარჯზე. 1764 წელს, როდესაც ორდენს ჩაუვარდა სავაჭრო ოპერაცია კუნძულ მარტინიკაზე და ფინანსურ სკანდალში გაეხვია, იგი აკრძალული იქნა საფრანგეთშიც, პირადად მარკიზ დე პომპადურის აქტიური ჩარევით და მეცადინეობით. სამი წლის შემდეგ ისინი განდევნეს აგრეთვე ესპანეთიდან, ავსტრიიდან და ნეაპოლის სამეფოდან. ამ ყოველივეს მოჰყვა პაპი კლემენს XIV-ის გადაწყვეტილება იეზუიტების ორდენის გაუქმების თაობაზე. ორდენმა იატაკევე-შეთში გადაინაცვლა და მისი წევრები, რარიგ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, „გამოსაზამთრებლად“ გადავიდნენ პორტუგალიურ პრუსიაში, სადაც

ფრიდრიხ II მეფობდა იმჟამად, და მართლმადიდებლურ რუსეთში, სადაც სარგებლობდნენ ეკატერინე II-ის და გრაფი პოტიომკინის მფარველობით. 1776 წლიდან აქ თავი მოიყარეს ავსტრიელმა, ფრანგმა, იტალიელმა, ბელგიელმა და ლათინური ამერიკის იეზუიტებმა. მათი უმრავლესობა აქ რჩებოდა, ვიდრე პაპმა პიუს VII-მ არ მოახდინა ორდენის რეაბილიტაცია 1814 წელს.

ისინი, ვინც ევროპაში დარჩნენ, როგორც ჩანს მიეკედლნენ სხვადასხვა საიდუმლო საზოგადოებებს. ამასთან დაკავშირებით შტაინერი წერს, რომ მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში მასონურ ორდენებში შეაღწიეს „იესოს საზოგადოების“ წევრებმა და დააწესეს მასონობის მაღალი საფეხურები (გრადუსები). ასე რომ, წმინდა წყლის იეზუიტიზმი არამარტო იქაა საძიებელი, სადაც გმობენ მასონობას და ქადაგებენ მის საწინააღმდეგოდ, არამედ მასონობის მაღალ საფეხურებზეც. თავად იეზუიტების აზრით, დიდი უბედურება როდია თავდასხმა იმაზე, რაც თვითონ დააწესეს, თუკი საქმე შეეხება პოლიტიკის სფეროს, ადამიანთა რეალურ წინამდლოლობას. „როდე-საც ვინმეს სურს ადამიანებს წარუძლვეს ნათლად დასახული მიზნისაკენ, ამისთვის ხომ საკმარისია გვერდში ამოუდგეს მათ და უჩვენოს ერთადერთი გზა აქეთკენ. მაგრამ თუ უნდათ ადამიანების დაბურანება, გაბრიყვება, დაძინება, მათ მიუთითებენ ორ გზაზე, ზოგჯერ უფრო მეტზეც; ყოველ შემთხვევაში დასაწყისში საკმარისია ორი. (რ. შ. ხაზავს ორ ისარს, რომელთაგანაც ერთი მიმა-

რთულია მაღლა, მეორე კი დაბლა.) თუ ადამიანი არის იეზუიტი და ოფიციალურად არის წევრი „იესოს საზოგადოებისა“, ის მიღის ამ გზით (აჩვენებს მაღლა მიმართულ ისარზე); ხოლო თუ ის არის იეზუიტი და იმავდროულად არის წევრი რომელიმე მაღალი საფეხურების მქონე მასონური ორდენისა, მაშინ ადგება მეორე გზას (აჩვენებს დაბლა მიმართულ ისარზე). სხვები შეჰყურებენ ამ ყოველივეს და ვერასგზით ვერ ახერხებენ ორიენტირებას:“ აქვე შესაძლოა პარალელი გავავ-ლოთ შიდაპოლიტიკურ ბრძოლასთან: მსგავსად დამაბნეველია ცრუოპოზიციის ფენომენი, რომელიც შესაძლოა ხელისუფლებას გარკვეულწილად ებრძოდეს, მაგრამ ფარულად მის მიერვე იმართებოდეს.

ჰეკეთორნი მასონური ორდენების ამგვარ ინფილტრაციაზე პირდაპირ არაფერს ამბობს, მხოლოდ ერთგან, როდესაც განიხილავს ინგლისური „არწივის რაინდების“ ერთ-ერთ „მაღალ“ საფეხურს, გაკვრით აღნიშნავს, რომ ეს საფეხური „იეზუიტურია“. საერთოდ, მოგვიანებით შექმნილ ამ მაღალ საფეხურებთან დაკავშირებით იგი წერს, რომ მათ გამო მასონობა დაყოფილია ორ ნაწილად, „ნამდვილად“ და „გაყალბებულად“.

აქედან გამომდინარე ის საზოგადოებანი, რომლებიც წარმოადგენენ ორ ძირეულად განსხვავებულ ინტერესს – ერთის მხრივ მსოფლიოში რომის უნივერსალური ეკლესიის ძველი ზეგავლენის აღდგენა-განმტკიცებისა და მეორეს მხრივ თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის საფარველში

გახვეული ბრიტანიზმისა – მე-19 საუკუნის დასაწყისისიდან გარკვეული თანაარსებობის წესს გამოიმუშავებენ და შესაძლოა კონსენსუსის პრინციპითაც კი იმოქმედონ. ამრიგად წარმოიქმნა „ეროვნული სახელმწიფოების ეპოქაში“ იეზუიტიზმისა და მასონობის უცნაური პიბრიდი, რომელსაც სხვაგვარად „მარცხენა წრესაც“ კი უწოდებენ. შტაინერის თქმით, არსებობს იმპერიები, რომლებიც ერთნაირი გაგებით კარგად ემსახურება როგორც იეზუიტიზმს, ისე მასონობას: ერთიც და მეორეც იქ შეწყობილად მოქმედებს და აღწევს საკუთარ მიზნებს. ეს ნიშნავს, რომ ახლებურ სიტუაციაში იეზუიტური ძალები თავისუფლად მოქმედებენ და გავლენას იხვეჭენ რესპუბლიკურ სისტემაში, ხოლო ლოჟები თვით კლერიკალური რეაქციის პირობებშიც კი ეფექტურად ზემოქმედებენ პოლიტიკაზე.

თუმცა ისიც ცხადია, რომ იეზუიტებისთვის ასეთი რამ მაინც საშუალებაა, რომელსაც ამართლებს მიზანი. მათთვის მასონები დაღუპულ და დაცემულ კაცობრიობას განასახიერებენ. ისინი ახალი დროის შვილები არიან, რაც სრულიად მოკლებულია ღვთის მადლს. თუ როგორ აზროვნებდნენ იეზუიტები მე-18 საუკუნის მიწურულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში, ყველაზე თვალსაჩინოდაა კრისტალიზებული ფრანგი მწერალი-იეზუიტის, უოზეფ დე მესტრის წიგნებში. მისთვის ქრისტეს აქეთ მე-4 საუკუნის შემდეგ სინათლე, როგორც ასეთი, საერთოდ აღარ არსებობს კაცობრიობაში. არიან ცალკეული მართალნი, რომელთაც ამჩნევს განგების თვალი, მაგრამ ასეთე-

ბისთვის თანამედროვე ცივილიზაციაში ადგილი აღარ რჩება. ეს მართალნი გამოირჩევიან იმით, რომ ძველი ჭეშმარიტებების, ძველ სიქველეთა ერთგულნი დარჩნენ. დე მესტრისთვის ცხოვრებისა და აზროვნების ის წესი, რომელიც ბრიტანეთის კუნძულიდან წარმოსდგება, საძულველი და მიუღებელია. იგი პატრიციული კულტურის აპოლოგეტია, ხოლო ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება ამსოფლად მისთვის არის პაპის საყდარი, ეს კი არ არის იგივე, რაც ცალკეული პაპი. დე მესტრის ოცნება იყო როგორმე დაეყოლიებინა რუსეთის ხელისუფლება და მართლმადიდებლური ეკლესია რომთან უნიაზე, რისთვისაც იგი სპეციალური მისით დადიოდა პეტერბურგში. ამგვარად ფიქრობდა იგი ანგლოსაქსური იდეის ოპონირებას, თუმცა მისმა მცდელობებმა რუსეთში მარცხი განიცადა. სწორედ იეზუიტებს გულისხმობდა ვლადიმერ სოლოვიოვი, როდესაც თავის ცნობილ ლექსში წერდა:

და მღიქვნელები ჩაგავონებენ,
მოსკოვო, შენ ხარ მესამე რომი.

დე მესტრის პროგრამის ცალკეული ელემენტები დღემდე მომქმედია თანამედროვე ეკუმენიზმის სიღრმეში, მართლმადიდებლურ-კათოლიკური ურთიერთობების მიღმა.

მასონებისა და იეზუიტების თანამშრომლობამ დიდი პოლიტიკის დონეზე მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში გამოიღო ნაყოფი

და გამოიხატა როგორც ბრიტანიზმის და ვატიკანის აღლიანისი. საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წლების ომის შემდეგ (რომელიც საფრანგეთის დამარცხებით დასრულდა), დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ წრეებს არანაირად არ აწყობდათ გერმანიის გაძლიერება. ისინი ჯერ ფარული დიპლომატიური არხებით მოსინჯავენ ანტიგერმანული კოალიციის შექმნას ევროპაში. რ. რიმეკი თავის გამოკვლევაში მოსკოვისა და ვატიკანის ურთიერთობებზე ამასთან დაკავშირებით ახსენებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტს დიდ ბრიტანეთში შემუშავებული ერთი გეგმის შესახებ. იგი წარმოსდგება გავლენიანი წრიდან, რომელშიც შედიოდნენ უელსის პრინცი, შემდგომში მეფე ედუარდ VII, ლორდი სოლისბერი, როტშილდი და რანდოლფ ჩერჩილი (უინსტონ ჩერჩილის მამა). გეგმა გულისხმობდა ანტანტის შექმნას რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის მონაწილეობით.


ამ საქმეში ინგლისელებმა ჩართეს რომის პაპი ლეო XIII, რომელთანაც დაახლოებული იყო ნორფოლკის კათოლიკე ჰერცოგი, ზემოხსენებული წრის ერთ-ერთი გავლენიანი პირი. ლეო XIII, ფრიდგამჭრიანი პოლიტიკოსი, ისტორიაში პირველი პაპი იყო, რომელმაც შეცვალა თავისი წინამორბედის, პიუს IX-ის რეაქციულ-აბსოლუტისტური კურსი და ლეგიტიმურ წესრიგად აღიარა სამოქალაქო საზოგადოება და კაპიტალისტური ეკონომიკა.

იმუამად დასავლეთის დიპლომატია და პაპი საკმაოდ ძნელად გადასაწყვეტი ამოცანის წინაშე

იდგნენ: მათ უნდა შეერიგებინათ რეაქციულ-ავტოკრატიული რუსეთი და ლიბერალურ-ანტიკლერიკალური საფრანგეთი. ამისთვის საჭირო იყო ერთის მხრივ ფრანგი კათოლიკების დარწმუნება ეთანამშრომლათ რადიკალურ-რესპუბლიკურ და სოციალისტურ ძალებთან, მეორეს მხრივ რუსეთის მიერ დაპყრობილ პოლონეთში კათოლიკე ნაციონალისტების მოთოკვა, რომლებიც მუდამ პრობლემებს უქმნიდნენ პეტერბურგის სამეფო კარს. ეს საქმე პაპმა ითავა და წარმატებითაც განახორციელა. 1887 წელს დიეპეში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს რუსეთის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის წარმომადგენლები. ინგლისის მხარეს ამ შეხვედრაზე წარმოადგენდა თავად ლორდი სოლსბერი. ამითაც ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დაუნინგ სტრიტი ამგვარ თანამშრომლობას. ამ პერიოდში ბერლინის პოლიტიკურ წრეებს მსგავსი თანამშრომლობა უტოპიად მიაჩნდათ.

ამ ყოველივეს მოჰყვა 1891 წლის რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენცია, რომელიც ძალაში იქნებოდა სამთა კავშირის (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) არსებობის მანძილზე. კონვენციის ძალით, თუკი ხელშეკრულების ერთერთ სუბიექტს თავს დაესხმოდა რომელიმე სახელმწიფო, დანარჩენი სუბიექტები აგრესორს ავტომატურად ომს უცხადებდნენ. 1904 წელს გაფორმდა ინგლისისა და საფრანგეთის ანტანტა, ხოლო 1907 წელს პეტერბურგში დაიდო ანალოგიური ხელშეკრულება დიდ ბრიტანეთსა და

რუსეთს შორის. ასე ჩაეყარა საფუძველი სამთა ანტანტას. ყირიმის ომის წინა პერიოდისაგან გან-სხვავებით, როდესაც ინგლისმა და საფრანგეთმა არ დაუშვა ოსმალეთის იმპერიის ევროპული ნაწ-ილის ოკუპაცია, ამჯერად ანტანტის პარტნიორები რუს დიპლომატებს ჰპირდებოდნენ, რომ თურქ-თის ანექსიის და დაყოფის შემთხვევაში რუსთი მოიპოვებდა სრულ კონტროლს დარღანელზე და თავისი გავლენის სფეროში მოაქცევდა კონსტან-ტინოპოლის. ამით დასავლეთი რუსული პოლი-ტიკის ნევრალგიურ წერტილს შეეხო: დღის წეს-რიგში დგებოდა მეჩეთად ქცეულ ჰაგია სოფიაში მართლმადიდებლური წირვა-ლოცვის აღდგენა.




სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუსეთის რევოლუციიდან მოყოლებული ვატიკანს თანმიმდევრულად ანტიკომუნისტური პოზიცია ეჭირა. 1918 წელს, გენუის კონფერენციის მიზ-დინარეობისას, როდესაც საბჭოთა რუსეთის სა-

გარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა სცადა მოლაპარაკება ვატიკანთან, გენუის მთავარებისკოპოსმა მას ამცნო ვატიკანის პოზიცია: გამორიცხული იყო ყოველგვარი ურთიერთობა, ვიდრე არ შეწყდებოდა მორწმუნეთა დევნა და ეკლესიას არ დაუბრუნდებოდა ჩამორთმეული საკულტო ინვენტარი. ვატიკანს ამ გზიდან არც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გადაუხვევია: 1943 და 1944 წლებში სტალინი ყველანაირად ცდილობდა მოლაპარაკებოდა პიუს XII-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი უარზე იდგა, მიუხედავად ლობირებისა ვაშინგტონისა და ლონდონის მხრიდან, დაეთანხმებინათ იგი საბჭოელებთან დიალოგზე. პაპი პრინციპულად განაგრძობდა კომუნიზმთან დაპირისპირებას ომის შემდგომაც. ამგვარი პოლიტიკის პირდაპირი შედევია დასავლეთ გერმანიაში აღმოცენებული კათოლიკური პარტიები (უწინარეს ყოვლისა „ქრისტიანულ-სოციალური კავშირი“ ბაიერნში), რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ამერიკელებთან და მხარს უჭერდნენ „ცივი ომის“ დოქტრინას. იგივე შეიძლება ითქვას პოლონეთის „სოლიდარობაზე“, რომელმაც 80-იან წლებში გადამწყვეტი როლი ითამაშა აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლებაში: მისი გააქტიურება იწყება იოანე პავლე II-ის ვიზიტის შემდეგ ვარშავაში, რომელიც 1979 წლის ივნისში შედგა, „ცივი ომის“ ყველაზე მეტად განურებულ სტადიაში.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს იეზუიტების მოლვაწეობა დღეს მხოლოდ ვატიკანით და ევროპის ქვეყნებით შემოიფარგლება: მისი სიმძიმის ცენ-

ტრი მნიშვნელოვანწილად ამერიკის კონტინენტზე
გადატანილი. შეერთებული შტატების საგარეო-
პოლიტიკური კადრების სამჭედლო, იელისა და
ჰარვარდის უნივერსიტეტების მახლობლად არის
ჯორჯთაუნის იეზუიტური უნივერსიტეტი, რომ-
ლის დოცენტებიც წარმოსდგებიან მსოფლიოს
თითქმის ყველა კუთხიდან. მომავალი პრეზიდენ-
ტები, ფუნქციონერები და დიპლომატები მათგან
სწავლობენ პოლიტოლოგიას, ქვეყანათმცოდნეობას,
რელიგიათა ისტორიას. თანამედროვეობის ისეთი
პოპულარული წიგნი, როგორიც არის ჰარვარდის
პროფესორის, სამუელ ჰანტინგტონის „ცივილი-
ზაციათა შეჯახება“, რომლის მიხედვითაც კაცო-
ბრიობის მომავალი კონფლიქტები რელიგიური
ხასიათისა იქნება, არის თანამედროვე იეზუიტური
განსწავლულობის ნიმუში. არ ვარგა, როდესაც ამ
განსწავლულობას სათანადოდ არ აფასებენ, თუმ-
ცა დამღუპველი იქნებოდა აქედან აღებული იდეე-
ბით ხელმძღვანელობა. წიგნს შეუძლია აზროვნებას
გაუწიოს „სასინჯი ქვის“ სამსახური, თუკი კრი-
ტიკული სერიოზულობით მიუდგებიან. ამგვარ
ნაშრომებში დოკუმენტირებული მასალა და
დასკვნები ფრიად ლოგიკური თანმიმდევრულო-
ბითაა წარმოდგენილი, ამდენად მასთან პოლემიკა
არც თუ იოლია, თუმცა უმთავრესი ცდომილება
იმაღლება ამოსავალი წერტილის მიღმა. კრიტიკო-
სმა ჯერ მას უნდა მიაგნოს, რამდენადაც იგი
არასოდეს ხდება მსჯელობის საგანი. ჰანტინგ-
ტონის ნაშრომიდან გამომდინარე შესაძლოა მივი-
დეთ ისეთ დასკვნამდე, თითქოს ერთი რელიგიის

მეორესთან დაპირისპირების უმთავრესი მიზეზი იმთავითვე ჩადებული ყოფილიყოს თავად ამ რელიგიების (ანუ „ცივილიზაციების“) არსები. თუმცა ისტორიული გამოცდილება ამის საპირისპირო სურათს წარმოგვიჩენს: როგორც წესი, სარწმუნოებრივი დაპირისპირებისას „რელიგია“ მხოლოდ ფასადი იყო იმ საგანგებო ინტერესების შესანიღბად, რომლებიც ძალაუფლების და პოლიტიკის სფეროდან წარმოსდგებოდნენ. იმავდროულად, არც ერთი დიდი რელიგია ამქვეყნიური ძალაუფლებისთვის ბრძოლას არ აცხადებს უმაღლეს საკაცობრიო იდეალად.





მცირე ფსიქო-ისტორიული ინტერეცო

ვიდრე შევეხებოდე მასონური მოძრაობის სპეციფიკას და მის ისტორიულ წინაპირობებს დიდ ბრიტანეთში, მსურს გავაკეთო მცირე ფსიქო-ისტორიული გადახვევა. ძალზე ზოგადი კლას-იუიკაცია რომ მოვახდინო, დღევანდელ მსოფლიოში ადამიანის სამი ტიპის არსებობა შეიმჩნევა. ისინი შეიძლება პირობითად განისაზღვროს როგორც მითოლოგიური, ანალიტიური და ცნობიერი. მსგავსი კლასიუიკაციები გვხვდება ხოლმე ფილო-სოფიურ ნაშრომებში — ასე მაგალითად, გ. ფარნერი ერთმანეთისაგან განასხვავებს ნაივურ (მიამიტ) და კრიტიკულ ადამიანს. თუმცა საბოლოო ჯამში ასეთი გაგება დუალიზმის ფარგლებს ვერ სცდება.

მითოლოგიური, ანალიტიური და ცნობიერი ელემენტი იმავდროულად ყოველ ცალკეულ ადამიანში თანაარსებობს, ხოლო მათი თანაფარდობა განსაზღვრავს მის ფსიქოლოგიურ კონსტიტუციას. ზემოთქმული კიდევ უფრო ცხადი რომ გავხადო, შევეცდები მოკლედ დავახასიათო თითოეული მათგანი:

მითოლოგიური ადამიანისთვის სამყარო ჯერ კიდევ ერთიანი, დიადი ნაგებობაა, რომელსაც ის

სურათ-ხატოვნად განიცდის. ამგვარი მსოფლაღქმა შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც ეიდეტურარასწორხაზოვანი. ასეთი ადამიანისთვის ბუნება გასულიერებულია, ისტორია ღმერთებით, დემონებით და გმირებითაა სავსე. ზნეობრივი და რელიგიური იმპულსების მისაღებად მას ესაჭიროება ავტორიტეტი – მოძღვარი ან მეფე. ჭეშმარიტების წყარო მხოლოდ გამოცხადებაა, რომელიც მის სულმი სიზმარეულ ხატებებად პროეცირდება, ხოლო საგანთა ურთიერთისაგან გარჩევას იგი არა ცნებებით ახდენს, არამედ 'ასოციატიურად. დადებით პოლუსზე მყოფისათვის ის, რაც ზნეობრივი და მშვენიერია, სრულიად ინსტინქტურად სიხარულის მომტანია, ხოლო უზნეო და უგვანი – მწეხარებისა. უარყოფით პოლუსზე მყოფისთვის კი ამის საპირისპირო პროცესი ხდება.

ანალიტიური ადამიანი იწყებს რეფლექსიას და თვითგამორკვევას სამყაროული ნაგებობიდან. მისი მსოფლაღქმა ხდება კრიტიკულ-რაციონალური. იგი იწყებს საგანთა გარჩევას განსაზღვრით და შემდეგ მათ ლოგიკურად დაკავშირებას. ძირითადი შეკითხვა, რომლითაც იგი სამყაროს წინაშე დგას, არის „რატომ“. მას შეუძლია უწინ გამოცხადებით მიღებულ ჭეშმარიტებებს ცნებითი ახსნა გამოუძებნოს. ასევე ცდილობს ცნებითი სისტემის სახით ჩამოაყალიბოს ჭეშმარიტის და მცდარის, კეთილის და ბოროტის რაობა, განსაზღვროს სასარგებლო და უსარგებლო. მას შეუძლია ეჭვენეშ დააყენოს ესა თუ ის დებულება, რაც აძლევს

ამოსავალ წერტილს კრიტიკისთვის. იგი ჯერ კიდევ საჭიროებს მოძღვარს, რომელიც პირდაპირ მითითებებს აძლევს ამ გზაზე, ან მეფეს, რომელიც მის-თვის ავტორიტეტია. დადებით პოლუსზე მყოფი შეიცნობს და ამკვიდრებს ლოგიკურად ჭეშმარიტს, მცდარს კი განაგდებს. უარყოფით პოლუსზე მყოფი კი სჩადის ამის საპირისპიროს. ანალიტიური ადამიანის უმთავრესი წინააღმდეგობრიობა მდგომარეობს იმაში, რომ ყოფიერებას გარესამყაროში განიცდის, ცნობიერებას კი საკუთარ თავში. ამის გამო მისთვის გარდაუვალი უფსკრული ჩნდება ყოფიერებას და ცნობიერებას შორის.

ცნობიერი ადამიანი უკვე თვითგამორკვეულია სამყროული ნაგებობიდან. მისი მსოფლალქმა არის სინთეზურ-კომპლექსური. უმთავრესი შეკითხვა, რომლითაც იგი სამყაროს წინაშე წარსდგება, არის „როგორ“ და ეს იმავდროულად ინიციატივის სასტარტო წერტილსაც გულისხმობს. იგი არამარტო შეიცნობს და აანალიზებს გარესამყაროს კანონებს და ლირებულებებს, არამედ ცდილობს საკუთარ ინდივიდუალურ გამოცდილებად აქციოს ისინი. აქედან გამომდინარე იგი გარდაქმნის თავის გარემოს და ამ აქტივობისას ადგენს თავისი სუვერენული არსების ადგილსა და როლს სამყაროში. სწორედ ამითია ის „ცნობიერი“. მას უკვე აღარ ესაჭიროება ავტორიტეტი — მოძღვარი ან მეფე. იგი თვითონ ხდება საკუთარი თავის წინამძღვლი. დადებით პოლუსზე მყოფი აღმშენებლობითი (კონსტრუქტიული) ადამიანია, ვისთვისაც თავისუ-

ფლება საქმისადმი სიყვარულია. მასში თითქოს სინთეზირებულია მითოლოგიური და ანალიტიური ადამიანი, ამდენად მათი ანტიპოლურობა გადალახულია. მითოლოგია და ტრადიცია მისთვის შესაძლოა იყოს შთაგონების წყარო და აღუძრავს სურვილს, ნიადაგ საკუთარ გამოცდილებად აქციოს ის, რაც სხვა ტიპის ადამიანს პირდაპირი დირექტივის სახით მიეწოდება. მას შეუძლია ცნობიერება და ყოფიერება განიცადოს როგორც საკუთარი სულის შინაარსი, ამდენად დასძლიოს ის უფსკრული, რომელიც ჩვეულებრივ განხნულია მათ შორის. უარყოფით პოლუსზე მყოფი კი დამანგრეველი (დესტრუქტიული) ადამიანია, დახვეწილი ეგოისტი, რომელიც საკუთარ ქმედებათა მოტივებზე და შედეგებზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას. ნაცვლად სინთეზირებისა, ივიუპირისპირდება როგორც მითოლოგიურ, ისე ანალიტიურ ადამიანს. ცხადია, ადამიანის სამივე ტიპთან დაკავშირებით ნახსენებ პოლიუსებს შორის სახეზეა უამრავი გრადაცია.


ადამიანის თითოეული ტიპი განსხვავებული ასაკისაა. მათ შორის ყველაზე ძველია მითოლოგიური. მისი თაურთვენომენი საძიებელია იმ ეპოქაში, როდესაც იქმნებოდა ძველეგვიპტური და ასურულბაბილონური მითოსი. მისი სოციალურ-პოლიტიკური ფორმაცია იყო უძველესი თეოკრატია „მეფელმერთით“ სათავეში. შემდეგ მოდის ანალიტიური ადამიანი, რომლის თაურთვენომენიც ვლინდება სოკრატულ საბერძნეთში და ელინიზმში, გონების ემან-


სიპატორული რევოლუციის ხანაში. მისი სოციალურ-პოლიტიკური ფორმაციაა მეორადი ორგანატია „ღმერთებისგან ან ღმერთისგან დადგენილი მეფით“ სათავეში. ხოლო მესამე, ანუ ცნობიერი ადამიანი ყველაზე ახალგაზრდაა. მისი თაურულობენი სახეზეა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების და განახლებული ევროპული რაციონალიზმის ეპოქაში. მისთვის ორგანულია პარლამენტარიზმი, რომელსაც შესაძლოა თან ახლდეს „მეფე, როგორც კულტურული სიმბოლო“.

ცნობიერი ადამიანის წინაშე ახალი ფერებით, მკაფიო კონტურებით წარმოჩნდება მატერიალური გარესამყარო, როგორც მონაცემი. მემკვიდრეობით მიღებული რელიგიურობა თანდათან იშრიტება, მის სანაცვლოდ ვითარდებიან ახალი შეგრძნებანი, ახლებური წვდომა მიწიერისა. შესძლებს კი ყოველი კაცი გზა გაიგნოს ამ სინამდვილეში და განსაზღვროს თავისი ჭეშმარიტი დანიშნულება სამყაროში? თანაც ისე, რომ „ცოცხალი მკვდარს არ ემსგავსოს“ – სოფლისთვისაც იზრუნოს ამსოფლად მყოფმა. ასეთ ადამიანებს, გარკვეული ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებათა ორგანიზების უნარი, დიახაც, შესწევთ, მაგრამ ორდენის, ძმობის, პარტიის ფორმადექმნა, შუასაუკუნეებისაგან განსხვავებით, უკვე სხვა ძალების მიერ და სხვა პრინციპების მიხედვით ხდება. ტამპლიერთა ორდენი აღბათ უკანასკნელი იყო ევროპაში, რომელიც ჯერ კიდევ რეალურად სულდგმულობდა ძველი დროის ღვთისმოსაობით და იმავდროულად იბრძოდა პალ-

ესტინაში, მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ერთ-ერთ პირველ საბანკო ოპერაციებს წარმართავდა. ახალი დროის ცნობიერმა ადამიანებმაც შექმნეს ორდენები, რომლებიც ტაძრელთა მემკვიდრეობაზე აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ისტორია აღარ განმეორდა. მათ თანდათან დაპკარგეს მეცნიერება, ხელოვნება და რელიგია, მაგრამ ცხოვრების სხვადასხვა სფეროთა მართვის ტექნოლოგია მათ ხელში მაგიად იქცა. ცალკე საკითხია, თუ რამდენად სასარგებლო იყო ასეთი რამ სამყაროსათვის. მითოსის მკვლევარი ჯეიმს ჯორჯ ფრეზერი თვლიდა, რომ ვიდრე კაცობრიობას მიეცემოდა რელიგია, ჰქონდა მაგია. ვფიქრობ, საიდუმლო საზოგადოებებმა ეს პროცესი გააგრძელეს უძველესის აღდგენის პრინციპით: მათ დაპკარგეს რელიგია და შეიძინეს მაგია.

პოლიტიკის და ეკონომიკის მართვა ფარული წრეების მიერ, ამრიგად, სიმპტომია ახალი ეპოქისა და განსაკუთრებით მე-20 საუკუნეში გახდა ძალზე ქმედითი. ამ თემაზე არსებობს ცალკეულ მწერალთა და მოღვაწეთა გამონათქვამები, რომელთა განაც მოვიყვან ერთს: ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ რატენაუ (1867-1922) საუკუნის დასაწყისში წერს, რომ ევროპის ბედს – პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით – განაგებს სულ რაღაც სამასიოდე კაცი. ისინი ერთმანეთს კარგად იცნობენ და მემკვიდრეებსაც თავიანთი წრიდან ირჩევენ, ხოლო მათი ძალა მათსავე ანონიმურობაშია.






ბრიტანელი ხალხის თავისებურებისთვის

იოპან ვოლფგანგ გოეტე, რომელიც ნამდვილად არ გახლდათ დიდი მეგობარი ბრიტანული კომერციალიზმისა და მერკანტილიზმისა, თვლიდა, რომ ბრიტანელი ხალხი მიმართულია არა ღრმა რეფლექსისაკენ, არამედ პრაქტიკული, გარეგანი კონკურენტული ბრძოლისაკენ. ინტელექტი, როგორც მოაზროვნე სულის სუბსტანცია, ლამის ინსტინქტი აქვთ იმ ხალხებს, რომლებიც დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე სახლობენ. იგი ვლინდება საზოგადოებრივი ცხოვრების წვრილმანებში, იგი თავისებურ ბეჭედს დაატყობს ეროვნულ ხასიათს, განაპირობებს მაღალ პოლიტიკურ შეგნებას და ბრიტანულ ეროვნულ ინტერესებს თანდათან მსოფლიო პოლიტიკის ფაქტორად აქცევს. იმპერიული ქედმაღლობა გამოსჭვივის სიტყვებიდან, რომ ის, ვინც ხელს აღმართავს დიდი ბრიტანეთის მოქალაქეზე, პასუხს აგებს ამ ქვეყნის არმიისა და ფლოტის წინაშე.

ცნობიერება და ინსტინქტი? ამგვარი განჭვრეტა საკითხისა თავისთავად პარადოქსულია, ვინაიდან ცნობიერება და ინსტინქტი გარკვეულ პოლარობას წარმოქმნის. ეს ნიშნავს, რომ ანგლოსაქსურ ხალხებში ცნობიერება ერთგვარ სტიქიურ ძალად ვლინდება, გარეთ მიისწრაფის რა კაცებრივი არსების არაცნობიერი შრეებიდან. ამ ფაქ-

ტორს ერთის მხრივ შეუძლია განაპირობოს ინ-დივიდუალიზაციის მაღალი ხარისხი თავისი ეთიკური, აგრეთვე, ნეგატიური, ანტისოციალური ასპექტებით. ეს უკანასკნელი შესაძლოა გამოვ-ლინდეს როგორც არცთუ ზნეობრივი „ნება ძა-ლაუფლებისკენ“ და უპასუხისმგებლობა საკუთარ მოქმედებათა მოტივებზე.

საზოგადოებრივ ცხოვრებას, პირად ურთიერ-თობას და ეტიკეტს ინგლისში არეგულირებს ერთი მაქსიმი: იყო თავისუფალი და სხვასაც მისცე ამის საშუალება. აქედან გამომდინარე ინგლისელი გან-საკუთრებით აფასებს და თავადაც ფლობს ხი-ლული თუ უხილავი დისტანციების უნარს. იგი,



როგორც წესი, არ არის დაინტერესებული ვინ-მეს მოახვიოს საკუთარი თავი, ანდა თვით გახ-დეს დამოკიდებული ვინ-მეზე. სხვათა შორის ინ-გლისელების ეს თავისე-ბურება დაახლოებით ასევე დაინახა იაკობ გოგებაშვილმა, დიდმა ქართველმა განმანათლე-ბელმა და მწერალმა, მხოლოდ ამას სიტყვა „ცნო-ბიერებით“ არ აღნიშნავს და თავის სათქმელს სხვაგვარად გამოხატავს: „ინგლისელს ერთი საო-ცარი თვისება აქვს“, წერს იგი თავის „ბუნების კარში“. „მას მავდენ არაფრად მიაჩნია ის, თუ სხვა რა აზრისაა მასზე, ამიტომ სრულიადაც არა

სცდილობს სხვას თავი მოაწონოს. სამაგიეროდ, დიდად აფასებს თავისს საკუთარს აზრს თავისი პიროვნებაზე და ცდილობს დაიმსახუროს თავისი საკუთარი პატივისცემა. ამიტომ ერიდება ყოველს ცუდსა, რასაც კი შეუძლიან დაამციროს იგი საკუთარს თვალში. ქართული ანდაზა: „თუ თავი ჩემი მეგობრად მყავს, ღარიბად არ ვიხსენებიო“, ზედ გამოჭრილია ინგლისელზე. გარეგან რიგი-ანობასთან ინგლისელი იცავს შინაგან სიფაქიზეს, სულის ღირსეულობასა. ამას ინგლისურად დუენტლმენბა ჰქვიან. მართალია, ამ თვისების გამო ინგლისელებს ამპარტავნებს ეძახიან; მაგრამ ნეტავი ყველა ხალხი დუენტლმენად გადაიქცეს და დაე ამპარტავანი დაუძახონ.

ინგლისურს ამპარტავნობას აი რა ნაყოფი მოაქვს, სხვათა შორის: ინგლისურს ყმაწვილს, რომელმაც მდიდარი მშობლების ხარჯით სწავლა დაამთავრა, სამარცხვინოდ მიაჩნია ისარგებლოს კიდევ მამის შეძლებით, და ამიტომ ყოველს ღონისძიებას ხმარობს რაიმე საქმეს დაუყოვნებლივ დაადგეს და საკუთარი შრომით იცხოვროს. თუ შესაფერი საქმე არ აღმოუჩნდა, იგი არა თაკილობს სულ უკანასკნელ სამუშაოსაც.“ როგორც ცნობილია, იაკობ გოგებაშვილი არასოდეს ყოფილა დიდ ბრიტანეთში და მისი ეს პასაუი ინგლისურ ხასიათზე არა უშუალო დაკვირვებას, არამედ გარკვეულ ლიტერატურულ წყაროს უნდა ეყრდნობოდეს.

ინგლისური მენტალიტეტისთვის დამახასიათებელია საგანგებოდ ფრთხილი მიმართება ყოვე-

ლივე პიროვნულისადმი. კუნძულზე, რომელიც კონტინენტური ევროპისაგან იზოლირებული იყო არამარტო გეოგრაფიული, არამედ სხვა თვალ-საზრისითაც, განვითარდა კულტურა, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „პიროვნების აკტონომიურობის“ კულტურა. პიროვნების განდიდება, „მისი ბრწყინვალების“ წინა პლანზე წამოწევა აქ არ ხდება, თუმცა შენარჩუნებულია გარკვეული პატივისცემა მონარქისადმი. საინტერესოა ისიც, რომ დიდ ბრიტანეთში არ არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც დაისჯება „მისი უდიდებულესობა“ დედოფლის ან მეფის შეურაცხმყოფელი. შესაძლოა ბულვარული პრესის ფურცლებზე ათასნაირად გააკრიტიკონ დედოფალი ან სამეფო ოჯახის რომელიმე წევრი, თუმცა იმავდროულად შეეცდებიან შეურაცხმყოფლად არ შეეხონ მათ პიროვნებას. ამას ინგლისელებს გარედან არავინ არ უკრძალავს, გარკვეული საზღვრის დაცვა არის უმაღლესი მათი შინაგანი მოთხოვნილება.


თუმცა ეს ინდივიდუალიზმი და მიდრეკილება კონკურენტულობისაკენ სოციალურ ცხოვრებაში შესაძლოა უაღრეს დისციპლინირებულობასთან იყოს შეწყვილებული. ოქსფორდის შემოგარენში დღესაც შემორჩენილია ძველი გალავნის ნაშთი, რომელთანაც ერთმანეთს ებრძოდნენ მეფე იაკობ II-ისა და პარლამენტის ჯარები. წარმოიდგინეთ პარლამენტი, რომელსაც ჯარი ისევე ემორჩილება, როგორც ერთ პიროვნებას – ასეთი რამ აღბათ მხოლოდ ინგლისშია შესაძლებელი. 1689 წლის 13 თებერვალს ინგლისში მოხდა კონსტიტუციურ მონარ-


ქაზე გადასვლა: მეფე ვილჰელმ III ორანელს ორივე მძლავრმა პარტიამ, ტორიმ და ვიგსმა ხელი მოაწერინა დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც ძალაუფლება გადაეცა პარლამენტს. იმავე წელს ვესტმინსტერში შეკრებილმა პარლამენტმა დაამტკიცა ეს კანონი. მეფეს ამიერიდან ეკრძალებოდა კანონის მიღება ან მისი განხორციელება პარლამენტის თანხმობის გარეშე. ამიერიდან ვერცერთი სასამართლო ვერ შეზღუდავდა სიტყვის, კამათის და მოლაპარაკებების თავისუფლებას პარლამენტში.

იმ გარემოებას, რომ ინგლისური დღეს საყოველთაოდ გავრცელებული ენაა, თავისი მიზეზები აქვს და მხოლოდ პოლიტიკით არ აიხსნება. თუ გადავხედავთ მე-16 და მე-17 საუკუნეების მიჯნას, აღმოვაჩენთ ენისადმი ორგვარ მიღომას: ბეკონისეულს და შექსპირისეულს. ფრენსის ბეკონი, რომელსაც ყოველგვარი მეცნიერების დამყარება საქმიან საფუძველზე სურდა, ანუ ისეთ ემპირიაზე, რომლის აწონ-დაწონაც მხოლოდ ფაქტებითაა შესაძლებელი, თვლიდა, რომ შემეცნების მაძიებელი არ უნდა მოექცეს ცალკეული სიტყვებიდან წარმოქმნილ „ცდომილების ხატებათა“ ტყვეობაში. მისთვის ენას გააჩნდა როგორც რაციონალური, ისე ირაციონალური კომპონენტები, თუმცა ამ უკანასკნელთა ღირებულება მისთვის მეტად საეჭვო იყო. რაც შეეხება უილიამ შექსპირს, მკვლევართა მონაცემებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, იგი დაახლოებით 20000-მდე სიტყვას ხმარობს. აქედან მრავალი სიტყვა, რომელიც დღეს თითქმის აღარაა ხმარებაში და მხოლოდ სპეციალ-

ისტებს თუ ესმით, საოცრად გამომსახველი და ჭვრეტითია. ამ დროიდან მოყოლებული ინგლისურ-მა ენამ თუმცა დაკარგა გამომსახველობითი უნარი, მაგრამ სამაგიეროდ იქცა ეფექტურ იარაღად პრაქტიკული აზროვნებისთვის და ურთიერთობებისთვის. იგი იმდენად ქმედითი გახდა, რომ სიტყვების მცირე მარაგითაც (ალბათ დაახლოებით 3000-მდე სიტყვით) შესაძლებელია კომუნიკირება ბევრნაირ სიტუაციაში. ამიტომაც იქცა ეს ენა დღეს საერთაშორისო პოლიტიკის, ეკონომიკის და ბიზნესის ენად.

თუ თვალს გადავავლებთ ინგლისურენოვანი სამყაროს განვითარებას განსაკუთრებით ბოლო სამი საუკუნის მანძილზე, შესაძლოა ასეთ აზრამდეც მივიღეთ: რა მოსაწყენი ფილისტერობა, რა უსაშველო მაშინერია წალეკავდა მაღაროებით და შახტებით გამოხრულ, ინდუსტრიით, მაღალი ძაბვის სადენებით და რკინიგზებით დაქსელილ დედამიწას, რომ არ ყოფილიყვნენ ქვეყნად შექსპირი, უაილდი, ბაირონი, უორდსვორთი, შელლი, უოლტ უიტმანი, ედგარ პო, ემერსონი და მათი მსგავსნი. ამ ინდივიდუალობებმა ცნობიერების ინსტინქტურობა ჭეშმარიტად „კულტურის“ დონეზე აიყვანეს და ამით ზურმუხტი და ამეთვისტო ჰმატეს ევროპის საკაცობრიო კულტურის მძივისებრ ასხმულ მთლიანობას, რომლის აკვანიც პალესტინაში და ანტიკურ საბერძნეთში დაირწა. ამადაც უპირველეს ყოვლისა მათი წარმოდგენა ზამს ცნობიერ ადამიანებად, არა პოლიტიკანების და ვაჭრებისა.





ანგლოსაქსური ინტერესები

ის მასონობა, რომელიც დიდ ბრიტანეთში მე-18 საუკუნის დასაწყისიდან განვითარდა, საყურადღებოა იმით, რომ მიუხედავად უამრავი სახესხვაობისა, მისი ძირითადი სულისკვეთება და იდეოლოგია ერთგვაროვანია. ლოჟების დაარსება მთელს ევროპაში კუნძულის სამეფოდან მოხდა: 1726 წელს – სტოკოლმში, 1728 წელს – მადრიდში, 1729 წელს – გიბრალტარში, 1731 წელს – მოსკოვში, 1735 წელს – ფლორენციასა და უენევაში, 1736 წელს – ლისაბონში, 1737 წელს – პამბურგში. ერთის მხრივ ეს ლოჟები თავის თავში ატარებდა იმ ელემენტს, რაც წარმოსდგება „ცნობიერების“ ეპოქიდან. ამ თვალსაზრისით იგი უაღრესად თანამედროვეა და ეხმიანება ახალი კულტურის პოზიტიურ ამოცანებს. მაგრამ „ცნობიერების“ განვითარებას, როგორც უკვე აღინიშნა, გააჩნია თავისი ჩრდილოვანი მხარეც: პიროვნების სრული ავტონომიურობა და თავისუფლება თავის თავში მოიცავს ანტისოციალურობის და ბოროტების შესაძლებლობებს და ეს საწყისი მოქმედი ხდება პოლიტიკის სფეროში შესვლისთანავე, მეტადრე კი მაშინ, როდესაც თავკერძა მიზნების მიღწევას ოკულტური საშუალებებით ცდილობენ. აი, რას ამბობს რუდოლფ შტაინერი ამასთან დაკავშირებით: „ბრიტანული ელემენტი პბადებს პრეტენზიას გაბატონდეს მსოფლიოზე უნივერსალურ-კომერციულ-ინდუსტრიული თვალსაზრისით... ჩვენ არ უნდა მოველოდეთ, რომ ბრიტანული პოლიტიკა მორალური გახდება“

და განსაკუთრებული მოსაზრებებიდან გამომდინარე უარს იტყვის მსოფლიოს პყრობაზე. ამის გამო არ არის გასაოცარი, რომ ისინი, ვისაც ეს ამბები ეს-მით, აარსებენ საზოგადოებებს ერთადერთი მიზნით, რომლის განხორციელებაც მათ სურთ სულიერი საშუალებებით. აქ ვაწყდებით ჩვენ აკრძალული თამაშის დასაწყისს. რადგან თავისთავად ცხადია, ოკულტური კანონები, ოკულტური საშუალებანი, ოკულტური იმპულსები არ უნდა იქნენ გამოყენებული როგორც მოძრაობაში მომყვანი ქამანდები მე-5 ანტლანტიდისშემდგომ კულტურაში, რომელიც წმინდად მატერიალური უნდა იყოს... თუმცა არსებობს მისწრაფება მსოფლიო ბატონობისკენ ოკულტიზმის იმპულსების დახმარებით, იმ იმპულსებისა, რომლებიც საკრალურ სფეროში სუფევენ და შეუძლიათ ხელი შეუწყონ კულტურას.“

დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს და ზღვაოსნობის განვითარებას შედეგად მოჰყვა კოლონიალიზმი და ბრიტანეთის მსოფლიო იმპერიის წარმოქმნა. ამან გარკვეული პოზიტიური ცვლილებებიც გამოიწვია, კერძოდ, ახალი მიწების ათვისება, ცივილიზაციის მონაპოვართა დამკვიდრება ველურ ხალხებში და ა. შ. იმპერია, რომლის შექმნაც დაიწყო და შეიძლება ითქვას დასრულდა ვიქტორიანულ ეპოქაში (დედოფალი ვიქტორია ქვეყანას განაგებდა 1837-1901 წლებში) მოიცავდა და სიმბოლურად („თანამეგობრობის“ სახით) დღესაც მოიცავს დედამიწის მნიშვნელოვან ნაწილს. იგი არის არა კომპაქტური წარმონაქმნი, არამედ გაფანტული და დაქუცმაცებულია ამერიკის, აფრიკის,

აზის, ავსტრალიის კონტინენტებზე, აგრეთვე სხვადასხვა ოკეანების ცალკეულ კუნძულებზე. თავისი განვითარების მიმდევარი არ ჩამოუვარდება თვით რუსეთის იმპერიას თავის ცარისტულ და საბჭოთა საზღვრებში, მაგრამ იგი არ არის მისებრ ჰომოგენური. რუსეთის იმპერია, მიუხედავად დამპყრობლური გზით ზრდისა, მაინც ორგანულ წარმონაქმნს ჰქონის, რამდენადაც ივანე მრისხანეს დროიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის ბოლომდე ნაბიჯ-ნაბიჯ იზრდებოდა ჩრდილო-დასავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით.

ბრიტანული საქმის წარმატების ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ტექნიკური პროგრესი. ტექნიკა, როგორც ცივილიზაციის მძლავრი ინსტრუმენტი, დიდ ბრიტანეთში დგამდა თავის პირველ ნაბიჯებს. სწორედ აქედან ვრცელდებოდა იგი ყველგან, როგორც რევოლუციური ფაქტორი. ტექნიკურ პროგრესს ყველგან თან მოჰყვებოდა ლიბერალიზმი, როგორც ძირითადი პოლიტიკური და კულტურული მიმართულება, თავისი ეკონომიკური ძირები ინტერესებით. იგი ადგილს იმკვიდრებდა სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში და გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ამის გამო აქ ყველაფერი წყდებოდა არა თეორიიდან ან იდეოლოგიდან გამომდინარე, როგორც ეს მე-19 საუკუნის საფრანგეთში შეიმჩნევა, არამედ პრაქტიკული სავაჭრო მიმართებებიდან, მრეწველობიდან. ლიბერალიზმის ძირითადი პოსტულატებია: ადამიანური გონების და მის მიერ განპირობებული პროგრესის პრიმატი, ცალკეულის თავისუფლება, თავისუფლე-

ბა ეკონომიკურ სფეროში, სახელმწიფოს ძალაუფლების შეზღუდვა მართვა-განმგებლობის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობით.

ის პროგრესი, რომელიც ბრიტანეთში დაიწყო, ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და თანამედროვე ეპოქის სრულიად ჯანსაღ კანონზომიერებებს შეესაბამება. იმავდროულად არაჯანსაღად მოქმედებდნენ რეტროგრადული სულით მართული საიდუმლო საზოგადოებები. ისინი ზემოხსენებულ პროცესებს ხელს უწყობდნენ იმის გამო, რომ მასში ხედავდნენ საკუთარი ძალაუფლების მსოფლიოში განვრცობის ინსტრუმენტს. ამდენად ის გარემოება, რომ მასონურმა ორდენებმა ინგლისურენოვანი ხალხები აქცია თავიანთი შორსმიმავალი გეგმების ინსტრუმენტად, თავისებური ლოგიკით აიხსნება. ამასთან დაკავშირებით რ. შტაინერი განმარტავს: „ეს ოკულტური ძმობები არ მოქმედებენ რაიმე განსაკუთრებული ბრიტანული პატრიოტიზმიდან გამომდინარე. მათ სურთ მთელი დედამიწა დაუქვემდებარონ მატერიალიზმს. და რამდენადაც ბრიტანიზმის გარკვეული ელემენტები, როგორც ცნობიერი სამშვინველის მატარებელნი, მეტადრე გამოსადეგია ამისთვის, მათ რუხი მაგის საშუალებით სურთ ამ ელემენტის გამოყენება მატერიალიზმის მფარველის როლში... კაცობრიობის არც ერთი შემადგენელი ნაწილი, არც ერთი სხვა ხალხი არ არის ამ ზომამდე ვარგისი მთელი დედამიწის მატერიალისტურ სფეროდ ქცევისთვის. ამიტომაც დააჭირენ ამ ხალხს წიხლს და ჩამოაშორებენ ყოველგვარ სპირიტუალურ მისწ

რაფებებს.“ ერთი შეხედვით დაუჯერებელიც კი არის, თუ როგორ უნდა მოახერხონ ამ ძალებმა ყოველივე სპირიტუალურის ჩამოშორება იქ, სა-დაც კონსერვატიზმის კულტივირებულ ელემენტს ლამის ჰაერთან ერთად შეისუნთქავს ადამიანი. იგი შეიგრძნობა პარლამენტში, არქიტექტურაში, იუსტიციის სისტემაში, კოლეჯებში, ტრანსპორტში, ჩვეულებრივ ურთიერთობებშიც, მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ სამოსელია, ფორმაა, ხოლო მის შინაარსს ისევე ნაკლებად გააჩნია მიმართება შუა-საუკუნეებთან, როგორც თანამედროვე პოლიტიკოსებს მეფე არტურთან.

ბრიტანეთის კუნძულზე ძალზე დახვეწილი სოციალ-ეკონომიკური თეორიები შეიქმნა. ისინი წმინდად თეორეტიული განსწავლულობის გარდა იმ სამეურნეო და საზოგადოებრივი მიმართებებიდან აღმოცენდნენ, რომელთა დაკვირვებაც აქ შესაძლებელი იყო. ფაქტია, რომ ისინი არ განხორციელებულან პრაქტიკულად ამ მიწაზე. საფიქრებელია, რომ ამას ხელს უშლიდა ერთის მხრივ კონსერვატიზმი, მეორეს მხრივ მძლავრად განვითარებული ინდივიდუალური თვითცნობიერება. მაგრამ ძალზე სიმპტომატურია, რომ ამ თეორიების გადანერგვა მოხდა უმაღ სხვა ქვეყნებში, სადაც მათ გადატრიალებანი გამოიწვიეს. საკმარისია ამ მხრივ გავიხსენოთ ადამ სმიტი და დევიდ რიკარდო, რომელთა ნაშრომებიც მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიკის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. სოციალისტურ უტოპიზმს მარქსი დაესესხა ფრანგებს — სენ-სიმონს, ფურიეს, ლუი ბლანს, ხოლო

დიალექტიკურ აზროვნებას – გერმანელ ჰეგელს. სწორედ ამ საბედისწეროდ შერჩეული ინგრედი-ენტებით განოყივრებულ ნიადაგზე აღმოცენდა საბჭოთა სოციალიზმის შხამიანი მცენარე.

თუ დაუუბრუნდებით ზემოთქმულს, იხატება შექ-დეგი სურათი: ახალი ეპოქის სრულიად კანონზომიერ, ნორმალურ იმპულსს განვითარებისა გადაეხ-ლართება საგანგებო ინტერესები, რომლებიც წარ-მოსდგებიან გარკვეული ლოჟებიდან და ფართო მასშტაბით ახდენენ ზეგავლენას მსოფლიო პოლი-ტიკაზე. ეს ინეტერესები უკვე სცდება ვიწრო გაგე-ბით „ბრიტანულ“ პოლიტიკას და მიზნად ისახავს ზოგადად ინგლისურენოვანი სამყაროს უნივერსალ-იზებას. გაფართოებული ინტერესების წარმომად-გენელთათვის ბრიტანეთი, ხატოვნად თუ ვიტყვით, „საბერძნეთია“, კულტურული, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით უკვე დახავსებული. იგი საჭიროებს „რომს“, შესაძლოა ნაკლებად კულტურულს (ან სულაც უკულტუროს), მაგრამ ახალი ენერგიით აღვსილს, დინამიურს და, რაც მთავარია, მისი პოლი-ტიკური ტრადიციების გამგრძელებელს. მახვილი თვალი მაშინ უკვე ამოიცნობდა ბრიტანიზმის მემკვი-დრეს ამერიკის კონტინენტზე: ეს იყო აშშ, რომელ-იც 1823 წლიდან ერთგულად იცავდა პრეზიდენტ მონროს მიერ პროკლამირებულ დოქტრინას თავი-სი მხრიდან ევროპულ შიდაპოლიტიკაში, და ამავე დროს ევროპის მხრიდან ამერიკის კონტინენტის საქმეებში ჩაურევლობასთან დაკავშირებით.

განახლებული ანგლოსაქსური ინტერესების ლო-ჟა პირველად დაარსებულ იქნა 1905 წელს სამხრეთ

აფრიკის კოლონიის გუბერნატორის, სესილ როუდ-სის და ლორდი მილნერის მიერ ოქსფორდში. მას სახელად ერქვა „მრგვალი მაგიდა“, ისევე როგორც მევე არტურისა და მისი რაინდების შესაკრებულს. როუდსი ანგლოსაქსურ რასას მიიჩნევდა ყველაზე განვითარებულ რასად და თვლიდა, რომ მან უნდა იძატონოს მთელს მსოფლიოზე. მისი მრწამსი გამო-ხატულია შემდეგ სიტყვებში:


„მე ვამტკიცებ, რომ ჩვენ მსოფლიოს უპირვე-ლესი რასა ვართ და მით უკეთესი კაცობრიობი-სათვის, რაც უფრო მეტად განვივრცობით მსოფ-ლიობი... ჩვენი მართვა-განმგებლობის ქვეშ მსოფ-ლიოს უდიდესი ნაწილის მოქცევა მოასწავებს ყველა ომის დასასრულს... ღმერთი, ირჩევს რა ინგლისურენოვან რასას თავის რჩეულ იარაღად და მით წარმოშობს სამართლიანობაზე, თავისუ-ფლებაზე და მშვიდობაზე დამყარებულ საზოგა-დოებას, უნდა იწონებდეს ჩემს საქმიანობას, რომ-ლის საშუალებითაც ჩვენს რასას მიეცემა რაც შეიძლება მეტი სასიცოცხლო სივრცე და ძალაუ-ფლება. და თუ არსებობს ღმერთი, ვფიქრობ, მისი ნება იქნება აფრიკის რუკა რაც შეიძლება მეტად ბრიტანული წითელი ფერით შემოვხაზოთ და ყვე-ლაფერი ვიღონოთ ინგლისურენოვანი რასის გავ-ლენის სფეროთა განვრცობისათვის.“

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი კე-როლ კუიგლი თავის წიგნში „ტრაგედია და იმე-დი“ აღწერს, თუ როგორ იღვწოდა როუდსი აშშ-ის თანამედროვე ისტებლიშმენტის პირველ უჯრედ-თა ფორმირებისათვის. ამ უკანასკნელთ დიდ ბრი-

ჭანეთსა და ამერიკაში თანდათანობით უნდა წარ-
მოექმნათ უფრო დიდი, გასაიდუმლოებული ინსტი-
ტუტები, რომელთა საშუალებითაც მოხდებოდა ფი-
ნანსურ-ეკონომიკურ სფეროში მსოფლიო მასშტა-
ბით მოქმედ ძალთა კოორდინაცია. ამგვარად ორი-
ენტირებულმა ძალებმა პირველი მსოფლიო ომის
შემდეგ ამერიკაში დააფუძნეს „საგარეო ურთიერ-
თობათა საბჭო“. ბრიტანიზმის იდეას როგორი
სრულიად უანგაროდ, თითქმის ასკეტურად ემსახ-
ურებოდა. მან უდავოდ ღირსეული ადგილი დაიმკვი-
დრა მსოფლიო იმპერიული პოლიტიკის ფანატი-
კოსთა ისტორიაში, მაგრამ ცივილიზებულ დასავ-
ლეთში ამას არად დაგიდევენ: „ჩვენიანის“ რასიზმი
საშიში არ არის, ფიქრობენ აქაურ წრეებში, საში-
შია „არა-ჩვენიანების“ რასიზმი. მის პატრიოტულ
იდეებს დიდწილად ხორცი შეესხა, დიდ ბრიტანეთ-
ში არსებობს როგორის სახელობის სტიპენდიაც
კი, რომელიც განსწავლის წლებში მიუღიათ სრუ-
ლიად „არაფანატიკოს“, პრაგმატულად მოაზროვნე
პირებს: მათ რიცხვში არიან აშშ-ის დღევანდელი
პრეზიდენტი უილიამ ჯეფერსონ კლინტონი და
სახელმწიფო მდივნის მოადგილე ნელსონ სტრო-
ბრიჯ ტალბოტი. მაგრამ აქვე საინტერესოა იმის
გარკვევა, თუ რა მიმართებაში უნდა იდგნენ მსგავ-
სი საგანგებო ინტერესები დემოკრატიასთან.

საქმე ისაა, რომ დემოკრატია, როგორც სისტემა, არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა ამგვარი ინტერესების განხორციელებისთვის, ვინაიდან ზანგრძლივ პერიოდზე გათვლილი გეგმები სათანადო მსოფლმხედველობრივ, პოლიტიკურ

და ეკონომიკურ ბაზისს მოითხოვს. იქ, სადაც წარამარა ერთმანეთს ცვლიან პარტიები და მიმართულებანი, ასეთი რამ წარმატებით ვერ განხორციელდება. ამიტომაც დემოკრატის შიგნით საჭიროა პარალელური ინსტიტუციების შექმნა, რომლებიც ამ მიზნების სამსახურში იდგება. მხოლოდ საიდუმლო საზოგადოებათა ქსელით შორს ვერ წავლენ. ამის გამო ხდება ახალი ფონდების დაარსება და სრულიად მიზნობრივი დაფინანსება საუნივერსიტეტო კათედრებისა, ბიბლიოთეკებისა, სამეცნიერო პროექტებისა სტიპენდიებით. ეს ყოველივე უკვე საუკუნის დასაწყისში ანგლოსაქსური იდეის სამსახურში დგას, რაც გულისხმობს ბრიტანეთის მსოფლიო იმპერიის კონსოლიდაციას და წინამდლოლის ფუნქციის თავის თავზე აღებას საერთაშორისო პოლიტიკაში. აქედანვე იღებს სათავეს დიდი ბრიტანეთის და აშშ-ის განსაკუთრებული ურთიერთობა, რაც დღემდე ითვლება დემოკრატიული ინსტიტუტების გავრცელების ყველაზე მნიშვნელოვან გარანტად. აქ მივადგებით ისეთ სფეროს, სადაც თავისთავად დაისმის კითხვა, არსებობს კი „დემოკრატია“ ამ ქვეყნის ძლიერთა ეროვნული ინტერესებისგან დამოუკიდებლად, ანუ იმ ინტერესებისა, რომლის უკანაც იგულისხმება საკუთარი ეროვნული ღირსების განდიდება პლუტოკრატიულ საფუძველზე? როგორც არ უნდა იყოს, „დემოკრატია“ მაინც არ არის ისეთი ცნება, მარტივად „კარგისა“ და „ცუდის“ კრიტერიუმებით შეფასებას რომ ექვემდებარებოდეს.



დემოკრატიზმი და რეაქცია მე-19 საუკუნეში

დემოკრატიის საკითხი საკვანძო პრობლემა-ათაგანია ევროპის ახალ და უახლეს ისტორიაში, იგი ცხადდება უმაღლეს საკაცობრიო ღირებულებად, ხოლო მისთვის ბრძოლა მაღალი იდეალებისთვის ბრძოლად განიხილება მრავალი ისტორიკოსის მიერ. სწორედ დემოკრატიზმის სახელით ჩამოერთვა პოლიტიკური ძალაუფლება სამეფო დინასტიებს და გვაროვნულ არისტოკრატიას. რ. შტაინერი არ მისტირის არც ერთი ძველი ფორმაციის დასასრულს, რადგან მისთვის ცხადია: სისხლისმიერგვაროვნულმა ადგილი უნდა დაუთმოს სულისა და ჭეშმარიტების პრინციპის, თუმცა „დემოკრატიზმის“ ცნება მისთვის მაინც ფარდობითია და ცალსახად ხალხის ძალაუფლებას როდი გულისხმობს: „მე არ ვეწევი პოლიტიკას, ამადაც არაფერს ვამბობ არც დემოკრატიის სასარგებლოდ, არც საწინააღმდეგოდ... მე მსურს მხოლოდ ფაქტები გადმოვცე. ახალ ეპოქაში სვლა დემოკრატიზაციისკენ მეტნაკლებად დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, ასე რომ ამასთან ერთად წარმოიქმნება სხვა-დასხვა ნაკადები... და ყოველთვის მცდარია ერთი ნაკადის განხილვა იქ, სადაც მრავალი იყრება ერთად. მე ვიტყოდი ასე: მწვანე და წითელი ნაკადები ერთად მიედინებიან... ადამიანები კი, როგორც



წესი, ერთგვარი ჰიპონის ქვეშ არიან მოქცეულნი, ისინი ყოველთვის მხოლოდ ერთ ნაკადს ხედავენ და ვერ ამჩნევენ სხვადასხვა ნაკადების ისტორიულ პარალელიზმს... მე ვამბობ, რომ ვითარდება სულიერი არისტოკრატია იმ დემოკრატიის პარალელურად, რომელიც მოქმედებდა საფრანგეთის რევოლუციაში, ვითარდება ლოუების არისტოკრატია. თუ ადამიანს ჩვენს დროში სურს ნათლად ხედავდეს, თუკი მას სურს სამყაროში ღიად გამოსვლა და მისი გაგება, იგი არ უნდა გაჩერდეს დემოკრატიულ ლოგიკაზე, — რომელიც მართლზომიერია მხოლოდ საკუთარ გარემოში, — სადაც ცარიელი ფრაზებია დემოკრატიული პროგრესის შესახებ და ა. შ. არამედ საჭიროა ყურადღება მივაპყროთ იმ „დამატებებს“, რომელიც თავს იჩენს მცირე ჯგუფის მისწრაფებაში ხელთ იგდოს ძალაუფლება იმ საშუალებებით, დაფარული რომ არის ლოუების წიაღ, აგრეთვე სუგესტიური (ე. ი. ჰიპონიურ-ჩაგონებითი) რიტუალების დახმარებით.“

ცხადია, რომ განსაკუთრებით იაკობინური დიქტატურის შემდგომ ლოუების ეს ფსევდოარისტოკრატია ევროპაში რევოლუციონერების ძვლებზე აღმოცენდა. განა არსებობდა კი ძალა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა ამისთვის? რამდენადაც დესტრუქტიულნი იყვნენ რევოლუციონერები თავიანთი ჟინით, რაც შეიძლება სწრაფად მოეხდინათ რადიკალური ცვლილებები საზოგადოება-

ში, იმდენადვე დესტრუქტიული იყო მე-19 საუკუნის დასაწყისის რესტავრატორული მოძრაობა და საერთაშორისო რეაქცია თავისი ბრძანების და ყრუკონსერვატიზმით. თუ გრაფ სენ-ჟერმენის თავისუფლებისკენ „ნელა განვითარების“ პოსტულატის მიაწერენ, რესტავრატორული მოძრაობა სულაც არ ფიქრობდა პიროვნების თავისუფლების ოდესუმე დაშვებას, ხოლო რამე „განვითარებაზე“ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ასეთი მოღვაწის კლასიკური ნიმუშია ავსტრიის კანცლერი თავადი მეტერნიხი. გვაროვნული არისტოკრატიის აბსოლუტური ძალაუფლების მომხრეს ყველგან იაკობინელობა და სახელმწიფოსთვის სახიფათო ინტრიგები ელანდებოდა. თვით ბერძნების აჯანყება ოსმალთა წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო 1821 წელს, მისთვის „რევოლუციონერთა“ ხრიკები იყო, მიმართული სულთნის „ლეგიტიმური“ ხელისუფლების წინააღმდეგ. თავის მემუარებში იგი ერთ ქვაბში ხარშავს რევოლუციონერებს, პროტესტანტულ სექტებს და ყველა ისეთ მოძრაობას, რომელიც მოწადინებულია „რელიგიურ სფეროში რწმენა განსჯითა და კრიტიკით შეცვალოს, ხოლო ქრისტიანულმა მორალმა უნდა შეცვალოს ქრისტეს კანონი, როგორც ის ინტერპრეტირებულია ქრისტიანობის ავტორიტეტის (ე. ი. კათოლიკური ეკლესიის, კ. გ.) მიერ“. მისი თქმით, ამ ხალხის მიზანია „ავტორიტეტის დამხობა და პიროვნებათა განთავისუ-

ფლება“. ცხადია, ამგვარ შეუვალ კედელთან ვერაფერს გააწყობდნენ ისეთი რელიგიური მოძრაობები, რომელთაც შეეძლოთ ახალი იმპულსების შეტანა სოციალურ პლანში: თუნდაც ფრანგი იანსენისტები, მთელს ევროპაში გავრცელებული „ბიბლიური საზოგადოება“, აგრეთვე გერმანელი სოციალ-პიეტისტები.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ მეტერნიზის სახელი რუსეთის მეფე ნიკოლოზთან, რომის პაპთან და საფრანგეთის პრემიერმინისტრ გიზოსთან ერთად ფიგურირებს კარლ მარქსის მიერ 1848 წელს გამოცემულ „კომუნისტური მანიფესტის“ პირველივე ფრაზაში – „აჩრდილი დადის ევროპაში...“ ორი წლით ადრე მეტერნიზმა პირველად ახსენა „კომუნისტური ძალები“ კრაკოვის აჯანყებასთან დაკავშირებით, რომელიც სინამდვილეში მოაწყვეს პოლონელმა ნაციონალისტებმა რუსეთის უღლის გადასაგდებად. გარკვეული სიმართლე მარქსის ნათქვამშიც არის: ზემოთჩამოთვლილმა სახელმწიფო კაცებმა თავიანთი რეაქციულობით მართლაც პოხიერი ნიადაგი შეუქმნეს კომუნიზმის აჩრდილს, რომელიც სრულ რეალობად იქცა 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ.

მე-19 საუკუნე ზოგადად ეროვნული სახელმწიფოს საუკუნედ ითვლება. 1815 წლის ვენის კონგრესის შემდეგ აქ დამყარდა ისეთი წესრიგი, რომელმაც თითქმის ასი წელი გაძლო – პირველ მსოფლიო ომამდე. დემოკრატიის წინააღმდეგ

გრძოლის სახელით დიდალი სისხლი დაიღვარა, ხოლო დემოკრატიის სახელით მიღწეულ იქნა სრულიად სხვა მიზნები, რომელთაც საერთო ნაკლებად აქვთ მასთან. როგორც ეროვნულობის, ისე დემოკრატიის იდეების ბოროტად გამოყენება მე-20 საუკუნეშიც მომხდარა არაერთგზის. და მაინც: ის სახელმწიფო ან ერი, სადაც დემოკრატიას უბრალოდ უარპყოფენ, როგორც მიუღებელ რასმე, საერთოდ ვერაფერს მიაღწევს.


დემოკრატიზმის ცნებამ ამერიკაში დიდი ევოლუცია განვლო მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. ასე მაგალითად, უოლტ უიტმანისთვის იგი თითქმის რელიგიური ცნება იყო, ხოლო ამერიკა ის აღთქმული ქვეყანა, რომელიც მოწოდებული იყო ებრძოლა მისი გამარჯვებისთვის. ამისგან ერთი შეხედვით არ განსხვავდება აშშ-ის პრეზიდენტის, პარი ტრუმენის (1945-1953) შეხედულება, რომლის მიხედვითაც „მთელმა მსოფლიომ უნდა გადაიღოს ამერიკული სისტემა, ვინაიდან ამერიკულ სისტემას შეუძლია თავი შეინარჩუნოს თვით ამერიკაში, თუკი ის მთელი მსოფლიოს სისტემა გახდება“. და მაინც, ტრუმენისეული ვარიანტი უკვე წმინდა კომერციალიზმს გულისხმობს. მოუტანს ეს სისტემა სიკეთეს რომელიმე პატარა ქვეყანას, რომელსაც, ვთქვათ, გააჩნია მდიდარი ისტორია და მაღალი კულტურა? რატომაც არა, თუკი ეს სისტემა ნამდვილ დემოკრატიულ წესრიგს და სამოქალაქო საზოგადოებას გულისხმობს, თანაც გაითვალისწი-

ნებს ასეთი ქვეყნის ეროვნულ სპეციულიკას და ეთნოფსიქოლოგიას. მაგრამ თუ დამახინჯებული სახით გადმოინერგება, მაშინ იქ დამკვიდრდება პრინციპი უვარვისის და ჩამორჩენილის სელექტირებისა, გაბატონდება კლეპტოკრატიული სისტემა. ასეთი ქვეყანა იოლად დაემსგავსება „ბანანის რესპუბლიკას“, რომელსაც საკუთარი ასანთის წარმოებაც კი არ შეუძლია.

დემოკრატია რომ იდეალური ფორმა არ არის, არ-ახალია, იგი უნდა განვითარდეს გარევეულ დონემდე, რომ შესაძლებელი გახდეს მისი ორგანული გადაზრდა სახელმწიფო მოწყობის უკეთეს ფორმაში. ამისთვის დემოკრატიული სისტემა, სამართლებრივი ინსტიტუტები, აგრეთვე ფინანსური და ეკონომიკური ურთიერთობები ყოველ დროს საჭიროებდნენ და ამჟამადაც საჭიროებენ ახალ სოციალურ იმპულსებს და იდეებს, რომლებიც შესაძლოა წამოვიდნენ ეპოქის ჯანსაღ მოთხოვნილებათა შესაბამისად მოაზროვნე ადამიანთა წრეებიდან და ზელი შეუწყონ საზოგადოების ჰუმანიზაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკური სისტემისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მოჩვენებითი ფუნქციონირება იქნება მხოლოდ ადამიანურ მანკიერებათა გამომხატველი და ასპარეზი კრიმინალური მიდრეკილებების მქონე ძალთა უსაზმო თამაშებისა. ახალი დროის ეროვნული სახელმწიფო, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვეღარ შესძლებს გააკონტროლოს ისინი ან კორექტივი შეიტ-

ანოს შექმნილ ვითარებაში. დიდი ხანია, რაც მთავრობებმა ფაქტიურად დაკარგეს კონტროლი ფულის მიმოქცევაზე, რომელიც ქვეყნებიდან ქვეყნებში თავისუფლად გადაედინება. ამავე დროს არ ჩანს არანაირი მექანიზმი, თუ როგორაა შესაძლებელი იდეების, ტექნოლოგიების, საქონლის და მიგრაციის ნაკადთა მართვა და ეს უკვე ფიქციად აქცევს არამარტო ქვეყნების საზღვრებს, არამედ თვით სახელმწიფოსაც. ფიქციადაა ქცეული ადამიანის ელემენტარული უფლებები, რომელთა დაცვაც თითქოს ყველა დონეზეა დეკლარირებული; თუმცა რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ნაკლებია შესაძლებლობა, პრაქტიკულად იქცეს მათი უზრუნველყოფა რეალპოლიტიკის წარმმართველ პრინციპად.





ბისმარკი

ლენინის დამფინანსებლები

ინგლისურ იუმორზე განსხვავებული შეხედულებანი არსებობს. ბევრი თვლის, რომ იგი მეტისმეტად ინტელექტუალური და გასხვილია, თუმცა მისი არ-შეფასებაც ცუდია, მეტადრე როდესაც პოლიტიკას ეხება საქმე. 1890 წელს ბრიტანულმა იუმორისტულმა ჟურნალმა „თრასტ“ (სიმართლე) დაბეჭდა კარიკატურა „კაიზერის სიზმარი“. მინაწერი იუწყებოდა, რომ რედაქციას ხელში ჩაუვარდა მასალები იმ პიპნოტური სეანსისა, რომლის ქვეშაც მოექცა გერმანიის კაიზერი ვილჰელმ II. მას დასიზმრებია საკუთარი დამხობა თავის კომპანიონთან, ავსტრო-უნგრეთის კაიზერთან ერთად, რაინზე გავლებული საზღვარი საფრანგეთთან, აღმოსავლეთ პრუსია, დაკავშირებული გერმანიასთან „პოლონეთის კორიდორით“, ბალკანეთის სლავთა კონფედერაცია, დამოუკიდებელი პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და ფინეთი, აგრეთვე რამდენიმე რესპუბლიკად დაყოფილი გერმანია, ხოლო რუსეთის იმპერიის ადგილას ეწერა: „რუსული უდაბნო“.

ფაქტია, რომ ის, რაც კაიზერს „დაესიზმრა“, პოლიტიკურ რეალობად იქცა სულ რაღაც 28 წელიწადში. რას იზამ, ცალკეულ საკითხებში ბოროტი სიზმარია, მაგრამ, საუბედუროდ, ახდენილი. განსაკუთრებით მსურს ყურადღების გამახვილება „რუსულ უდაბნოზე“, რომლის ისტორიაც აღბათ 1917 წლის ოქტომბრიდან დაიწყო, ხოლო ბრძა

იარაღის როლი გერმანიის კაიზერის ხელისუ-
 ფლებამ შეასრულა. იმ წლის აპრილში გერმანი-
 ის გენერალური შტაბისა და რაიხსკანცლერ ბეტ-
 მან-ჰოლვეგის პირდაპირი ხელშეწყობით ლენინი
 თავისი შვეიცარიული ემიგრაციიდან „დალუქული
 ვაგონით“ გერმანიის, დანიის, შვეციის და ფინეთის
 გავლით გადაყვანილ იქნა რუსეთში. ლუდენდორ-
 ფი და გერმანიის სარდლობა დარწმუნებული
 იყვნენ, რომ ამით გააკეთეს გენიალური სელა:
 ლენინი წარმატებით დააგვირგვინებდა რევოლუ-
 ციას, დადებდა ზავს გერმანიასთან და ამ უკა-
 ნასკელს მიუცემოდა შესაძლებლობა, მთელი ძალები
 გადაესროლა დასავლეთის ფრონტზე. ლუდენდორ-
 ფი თავის მემუარებში წერდა: „ლენინისათვის დახ-
 მარების აღმოჩენით ჩვენი მთავრობა თავის თავზე
 იღებდა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას. სამ-
 ხედო თვალსაზრისით ეს ღონისძიება გამართლე-
 ბული იყო რუსეთის დამარცხების მწვავე აუცი-
 ლებლობის გამო.“

ისტორიამ მაღევე აჩვენა, თუ რამდენად არა-
 შორსმჭვრეტელური იყო გერმანიის მხრიდან ლე-
 ნინის შეგზავნა რუსეთში, მისთვის ფინანსური და
 პოლიტიკური მხარდაჭერის აღმოჩენა. ჯერ ერთი,
 გერმანიის არმია დასავლეთის ფრონტზე ისედაც
 განწირული იყო, იგი ვერასგზით ვერ გაუძლებდა
 მოკავშირეთა იერიშს, რამდენადაც ისინი ჯარის
 რაოდენობითაც და სამხედრო პოტენციალითაც
 აღემატებოდნენ მას, მეტადრე ომში აშშ-ის ჩაბმის
 შემდეგ. ასეც მოხდა: 1918 წლის 8 ივნისს მოკავში-

რეებმა გაარღვიეს დასავლეთის ფრონტი, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა პირველი მსოფლიო ომის ბედი. თუ როგორ აზროვნებდა პრუსიელი სალდა-ფონი ლუდენდორფი 1917 წელს, დაფიქსირებულია ავსტრიელი დიპლომატისა და ბანკირის, ფელიქს ზომარის მემუარულ წიგნში. აქედან ჩანს, რომ რუსეთის რევოლუცია გერმანიის მთავარსარდლისთვის ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ხოლო ამერიკის ჩართვა მსოფლიო ომში – მხოლოდ უმნიშვნელო დეტალი. ამავე დროს ლუდენდორფი იმედოვნებდა, რომ გერმანიის არმია გაიჭრებოდა კავკასიისკენ და დაუუფლებოდა ნავთობს, საიდანაც რუსეთი თავისი ნავთობის $\frac{3}{4}$ -ს იღებდა. საუბრის ბოლოს გენერალი დასძენს, რომ ომის წაგება სულაც არ იქნება ურიგო გერმანიისთვის, რადგან ამ მარცხიდან პრუსია უფრო დიდი აღსდგება, ვიდრე ოდესმე ყოფილა თავის ისტორიაში.

მეორეც, მე-20 საუკუნეში სრული სიბეცე იყო ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც ხელს შეუწყობდა რომანოვების რუსეთზე გაცილებით აგრესიული, ექსპანსიური და იდეოლოგიზირებული სახელმწიფოს შექმნას და ეს მართლაც საბედისწერო გამოდგა გერმანიისთვის. ვიდრე გერმანიის ერთ ნაწილს იგივენაირ „რუსულ უდაბნოდ“ აქცევდა, საბჭოთა ხელისუფლება იმედის თვალით უყურებდა გერმანიის მუშათა მოძრაობას და დარწმუნებული იყო, რომ „სოციალისტური რევოლუცია“ აქ გარდაუვალია. ჯერ კიდევ ტუხაჩევსკის არმია, რომელ-

მაც 1920 წელს სცადა პოლონეთის ოკუპაცია, სინამდვილეში მიზნად ისახავდა პლაცდარმის შექმნას გერმანიის ტერიტორიაზე მოქმედებისთვის, თუკი იქ დაიწყებოდა მუშაობა მღელვარება და გამოსვლები.

რევოლუციის პერიოდში შუამავალი გერმანიის ხელისუფლებასა და ბოლშევიკებს შორის იყო რუსეთის იმპერიიდან გამოსული ემიგრანტი ალექსანდრე ჰელფანდი, იგივე პარვუსი. რუსი ისტორიკოსი დ. ვოლკოგონოვი თავის წიგნში ლუნინის შესახებ ამ პრობლემასთან დაკავშირებით წერს: „მე კატეგორიულად ვერ მოვყვები იმის მტკიცებას, რომ ეს საკითხი ჩემი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ ბოლომდე ნათელი გახდება. ეს დიდი საიდუმლოა. ბოლშევიკების ვიწრო წრის მრავალი აქცია ხორციელდებოდა სიტყვიერ საფუძველზე. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბევრი დოკუმენტი განადგურებულ იქნა, მით უმეტეს ლენინმა იცოდა საიდუმლოთა შენახვა.“ დროებითი მთავრობის თავმჯდომარე კერენსკი ოქტომბრის გადატრიალებიდან ორი ათეული წლის შემდეგ წერდა, რომ ბოლშევიკთა ხაზინადარის, განცკისა და პარვუსის ფინანსურ მაქინაციებს გაგრძელება ჰქონდათ ჰეტერბურგის „ციმბირის ბანქში“. სადაც სტოკჰოლმიდან ბერლინის გავლით გადმორიცხულ იქნა უზარმაზარი თანხები. ჰაინც პფაფერი თავის წიგნში მიუთითებს ლენინის და ბოლშევიკების ისეთ დამფინანსებლებზე, რომლებც აპერირებდნენ გერმანიის ტერიტორიაზეც და მის

გარეთაც, ისინი გაცილებით შორსმჭვრეტელნი იყვნენ, ვიდრე ბერლინის მთავრობა: როტმილდის ბანკი ფრანკფურტში, ოლაფ აშხერგის ბანკი სტოკოლმში, რაინ-ვესტფალიის სინდიკატი ჟივოტოვსკის ხელმძღვანელობით (ამ უკანასკნელის სიძე გახლდათ ლ. ტროცკი). ლენინმა ამას გარდა მიიღო 6 მილიონი დოლარი ოქროთი ბერლინელი ვარბურგისგან, რომელიც ენათესავებოდა ამერიკელ ვარბურგს, იმუამად ცნობილ ბანკირს და ამავე ფინანსური დინასტიის წარმომადგენელს. ამ შემთხვევაშიც პარვუსი ასრულებდა შუამავლის როლს. ზემოხსენებული ავტორის ცნობით, ლენინი და ტროცკი იყვნენ ფრანგული ლოჟის „არტ ე ტრავაილ“ (ხელოვნება და შრომა) წევრები და აქედან გამომდინარე ავტომატურად შედიოდნენ „შრომის გენერალურ საზოგადოებაში“. ეს ორგანიზაცია აწყობდა გაფიცვებს და იბრძოდა მუშათა ინტერესებისათვის, თუმცა იმავდროულად იდგა „დიდი აღმოსავლეთის“ ლოჟის ზეგავლენის ქვეშ. ამ უკანასკნელის გროსმაისტერი გრუსიე ბოლშევიკურ ხელისუფლებას შუამავლობდა სოციალისტ პრეზიდენტ მილიერანთან: იგი ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა 1920-1924 წლებში და ასევე დაახლოებული იყო დიდ ლოჟასთან.

რაც შეეხება ნიუ-იორკელი ფინანსისტების როლს 1917-1920 წლების საბედისწერო მოვლენებში, იგი საფუძვლიანად შეისწავლა და წარმოაჩინა ამერიკელმა ისტორიკოსმა ენტონი სატონმა თავის შრომაში „უოლ სტრიტი და ბოლშე-

ვიკური რევოლუცია“ (1974). ამ შრომაში, რომელიც ამ ავტორის სხვა წიგნების კვალობაზე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და რომელიც პრაქტიკულად არც ერთ ბიბლიოთეკაში და კატალოგებში არ მოიძიება, აღდგენილია პარადოქსული სურათი: ერთის მხრივ ტროცკის ვიზიტი ნიუ-იორკში 1917 წლის დასაწყისში, მის სახელზე ამერიკული პასპორტის გაცემა, ამერიკული „წითელი ჯვრის“ დელეგაციის ვიზიტი რუსეთში 1917 წლის შემოდგომაზე, რომელიც უოლსტრიტის ბანკირებისგან და ადვოკატებისგან შედგებოდა, რუსული ოქროთი ვაჭრობა ბოლშევიკთა დასაფინანსებლად, აგრეთვე პროკომუნისტური მწერლების ხელშეწყობა, და მეორეს მხრივ ანტიბოლშევიკური პროპაგანდის გაშლა, თეთრგვარდიელებისა და კონტრრევოლუციური ელემენტებისადმი მხარდაჭერა ერთი და იმავე წრეების მიერ იმართებოდა.

საინტერესოა ისიც, რომ ამ პერიოდიდან მოყოლებული განსაკუთრებულ აღორძინებას განიცდის ებრაელთა შეთქმულების თეორია, რომლის ფესვებიც ალბათ შუასაუკუნეების ინკვიზიციაშია საძიებელი. ამ თეორიის მიხედვით, ყველა ებრაელი, ფაქტიურად მთელი ერი, დამნაშავეა რუსეთის რევოლუციაში. როგორც წესი, ამის გასამართლებლად მოიხმობენ ხოლმე ცარისტული „ოხრანკის“ შავრაზმელთა მიერ შექმნილ „სიონის ბრძენთა ოქმებს“. მსგავსი თეორიები დღესაც პოპულარულია დასავლეთის ნეონაციისტურ წრეებში.

როგორც ჩანს, ამ თეორიის შეგნებული კულტივირება ხდებოდა ნამდვილი კვალის, აგრეთვე ნამდვილი მიზეზების და თემების მიჩქმალვის მიზნით. სატონის თქმით, უოლ სტრიტის ებრაული წარმოშობის ბანკირები ბოლშევიკების დაფინანსებაში უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ, ხოლო არაებრაელი როკფელერი, მორგანი, ტომსონი და სხვები — ძალზე მნიშვნელოვანს.

ასევე შეკითხვებს ჰბადებს თეზა, თითქოს ანტანტის ქვეყნების მთავრობებს აწყობდათ კერენსკის დროებითი მთავრობა და ნამდვილად სურდათ მისი დახმარება. კერენსკისგან მათ მოითხოვეს ახალი შეტევის განხორციელება გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტზე, თუმცა ცხადი იყო, რომ გაჩანაგებული ქვეყანა და დემორალიზებული არმია ვერაფერს გახდებოდა. შეტევა, რომელიც არმიის მხოლოდ ერთმა ნაწილმა წამოიწყო, მალევე ჩაიფუშა. ამის შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა ლენინის ლოზუნგი „მშვიდობა ნებისმიერ ფასად და მთელი მიწა გლეხებს“, რამაც გარდაუვალი გახადა ოქტომბრის გადატრიალება.

იმავე კერენსკის ცნობით, ავსტრია მზად იყო გამოსულიყო შუაევროპული სამხედრო ბლოკიდან და თავისი გზებით ეძიებდა ზავს რუსეთთან, ხოლო გერმანია ჩქარობდა გადატრიალების მოწყობას, რათა ამით ხელი შეეშალა ასეთი ზავისთვის. დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 24 ოქტომბერს უკვე ოფიციალურად მიიღო წინადადება ავსტრიისაგან სეპარატულ ზავზე. ცხადია, კერენ-

სკი ვერ აანალიზებს, თუ რომელ წრეებს გერმანიაში და გერმანიის გარეთ არ აწყობდათ რუსეთის დაზავება ავსტრიასთან, რასაც შესაძლოა ქვენისთვის თავიდან აეცილებინა ოქტომბრის მოვლენები.

ლენინი სწორედ იმ ახალი ადამიანის ტიპს განეკუთვნება, რომელშიც ცნობიერება სტიქიურ ძალად ვლინდება, მხოლოდ ნეგატიურ პოლუსზე. გრიგოლ რობაქიძემ მას რევოლუციის ბედი უწოდა და მათ ზუსტად დაახასიათა მისი ფენომენი. რამდენადაც ბოროტი, სასტიკი და დემონიური იყო მისი ინტენციები, იმდენად უფრო ყოვლისმომცველად და საფუძვლიანად ხორციელდებოდნენ ისინი პრაქტიკაში. მისი ნააზრუელი, მითითებანი, თეზისები და გამოსვლები აბსტრაქტული პოლიტიკური პროგრამა როდია, არამედ უმოკლესი და ულოგიკურესი გზა მიზნისაკენ, რომელიც არ ითვალისწინებს შესაძლო მსხვერპლისა და პუმანიტარული კატასტროფის ფაქტორებს. რაც შეეხება თავად მიზანს, იგი სრულიად უტოპიურია, თუმცა ხალხის დიდი მასა მიზნებისა და საშუალებების შეუსაბამობას ან ვერ ამჩნევს, ან შეგუებულია ამასთან. პოლიტიკური „სკოლა“, რომელიც ლენინმა დაარსა, დღემდე მოქმედია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

„კაპიტალიზმი თავად მოგვყიდის იმ თოვს, რომელზეც მას ოდესმე ჩამოვკიდებთ“ — აცხადებდა ლენინი. ამგვარი განცხადების საფუძველი მას ნამდვილად ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში ვარ-

ეგანი ფაქტებიდან გამომდინარე. რუსეთის სამო-
ქალაქო ომის შემდეგ დასავლეთი ნამდვილად არათუ
არ ფიქრობდა ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყე-
ბას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ 1920
წლიდან მოყოლებული ახალი ტექნიკით და ფი-
ნანსებით ამარავებდა მას. ბრიტანიზმის მესვეურ-
თა უტყუარმა აღლომ უკვე მაშინ ამოიცნო პო-
ტენციური მოკავშირე მომავალ დაპირისპირებაში:
დიდი ბრიტანეთი იყო პირველი, რომელმაც 1924
წელს საბჭოთა რუსეთი სცნო. ხოლო ვერსალის
ზავის უმძიმესი პირობებით დაკაბალებული გერ-
მანია, რომელსაც მთლიანად დაეკისრა პირველი
მსოფლიო ომის ბრალეულობა, არ აპირებდა დათ-
მობას: რევანშისტული ძალები უკვე ახალ ომზე
ფიქრობდნენ.





პოლიტიკური „ისტებლიშმენტის“ წარმოქმნა

საიდუმლო საზოგადოებები მნიშვნელოვან ზე-
გავლენას ახდენდნენ როგორც ბრიტანულ, ისე
საერთოევროპულ პოლიტიკაზე პირველი მსოფ-
ლიო ომის პერიოდში, თუმცა ეს ევროპული კატას-
ტროფის ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფაქტო-
რია. ასევე ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ
პოლიტიკის სფეროში მოღვაწე პირთა უმრავლე-
სობას არ გააჩნდა სათანადო მორალური პასუხ-
ისმგებლობა და არც ინდივიდუალური, დამოუკიდე-
ბელი აზროვნება. ამასთან დაკავშირებით რ. შტაინ-
ერთან ვკითხულობთ, რომ ანგლოსაქსურ სამყაროში
ძალზე ძლიერია „სულიერი დისციპლინა“. ასე
მაგალითად, ექსვინი (დიდი ბრიტანეთის პრემიერ-
მინისტრი 1908-1916 წლებში) და გრეი (საგარეო
საქმეთა მინისტრი იმავე კაბინეტში), „რომლებიც
არსებითად უცოდველი კურდღლები იყვნენ, (მა-
სონურმა დისციპლინამ) გადააქცია თავის მარი-
ონეტებად, თოვინებად... გრეის შესახებ ერთმა
მისმა კოლეგამ თქვა: იგი ტოვებს გამუდმებულად
რაღაცაზე კონცენტრირებული ადამიანის შთაბე-
ჭდილებას, რამდენადაც თავში არ მოსვლია არც
ერთი საკუთარი აზრი. აი, ასეთ ხალხს მუდამ
პოულობენ, როდესაც სჭირდებათ მარიონეტები
მსოფლიო თეატრისათვის.“

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ანგლოსაქ-
სური პოლიტიკის სიმბიმის ცენტრმა უკვე ოკეანის

გაღმა, ამერიკაში გადაინაცვლა. ამ დროიდან მოყოლებული აშშ თანდათანობით სუპერსახელმწიფო ხდება. აქ ყალიბდება გარკვეული პოლიტიკური ისტებლიშმენტი, რომელიც ნაწილობრივ თავის თავზე იღებს იმ ფუნქციებს, რომელთაც მანამდე მთლიანად საიდუმლო საზოგადოებები ასრულებდნენ. ისტებლიშმენტის წარმომადგენლები ერთიანდებიან სხვადასხვა კლუბებში, სადაც ნაცნობობისა და პარტნიორობის საფუძველზე არაერთი საკითხი წყდება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 1921 წლიდან მომქმედი „საგარეო ურთიერთობათა საბჭო“. გასაიდუმლოების პრინციპი საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში კვლავაც მოქმედია. ვუდრო ვიღსონის 14 პუნქტი (1918 წ.), რომელმაც ფაქტიურად განსაზღვრა წესრიგი ევროპაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, პირველივე პუნქტში მოითხოვს ყოველგვარი საიდუმლო დიპლომატიის შეწყვეტას. მსგავსი მოთხოვნა ცარიელ ფრაზად დარჩა: მე-20 საუკუნის ისტორია სრულიად საპირისპირო სურათს გვიჩვენებს.

ამ ახალ ისტებლიშმენტს მხედველობიდან არ გამორჩენია მსოფლიოში მიმდინარე არც ერთი პოლიტიკური პროცესი. 20-იანი წლებიდან მოყოლებული მისი ყურადღება, გარდა საბჭოთა კავშირისა, განსაკუთრებით გერმანიისკენ იყო მიპყრობილი, სადაც რევანშისტული განწყობილება სულ უფრო ძლიერდებოდა, განსაკუთრებით მიუნხენის პუტჩის (1923) შემდეგ. ენტონი სატონი თავის წიგნში „უოლ სტრიტი და პიტლერის აღზევება“ (1976) ჩამოთვლის იმ ამერიკულ კონცერნებს, აგრეთვე

მათ პარტიიორ ფირმებს გერმანიაში, რომელთაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ნაციონალ-სოციალ-ისტური პარტიის საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაში 1933 წელს. ამერიკელთა მხრიდან აღსანიშნავია სტანდარტული თილის კომპანია, ხოლო აქ ჩამოთვლილ გერმანულ მულტინაციონალურ კონცერნებს ამერიკელი დირექტორები ჰყავდათ და მათი დაფინანსება მნიშვნელოვანწილად ოკეანის გაღმიდან ხდებოდა. წიგნში დასახელებული არიან აგრეთვე ისეთი მსხვილი ბანკირები, როგორებიც იყვნენ კურტ შრიოდერი და ფრიც ტისენი, აგრეთვე პიალმარ შახტი, გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკის არქიტექტორი 30-იან წლებში და პარტიის სპიკერი უცხოური პრესის ხაზით პანთშტენგელი. ყოველი მათგანი მჭიდროდ იყო დაკავშირებული აშშ-სთან და ინგლისთან. სატონის მონაცემებით, 1929-1933 წლებში ნაციონალ-სოციალისტურ პარტიას საარჩევნო კამპანიისთვის გადაერიცხა 32 მილიონი დოლარი, მაშინდელი მასშტაბებით უზარმაზარი თანხა. იგი მოხმარდა როგორც საარჩევნო კამპანიას, ისე ქუჩის ბრძოლებს, რომელსაც პიტლერის „მოიერი-შეები“ ეწეოდნენ სულთმობრძავი ვაიმარის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამერიკელ მაგნატებს მხოლოდ ერთჯერადი ეკონომიკური სარგებელი აინტერესებდათ, მხარს უჭერდნენ რა რას ბოლშევიკებს და გერმანელ ნაცისტებს. ამ ყოველივეს მიღმა გარკვეული სტრატეგიულ-პოლიტიკური ჩანაფიქრი, გარკვეული იდეოლოგია საგულვებელი.

რუდოლფ შტაინერი თავის დროზე ერთადერთი მოაზროვნე იყო, რომელმაც აღნიშნა, რომ დასავლეთის საიდუმლო საზოგადოებებში პეგელს მედიტატიურად კითხულობენ. ისინი თავიანთ სამოქმედო ტაქტიკას აგებენ პეგელიანური დიალექტიკის კანონებიდან გამომდინარე. ცხადია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ლოუებიც იმავე სულს ემსახურებიან, რომლითაც შთაგონებული იყო დიდი ქრისტიანი ფილოსოფოსი. აქვე არ ღირს არც იმის დავიწყება, რომ კარლ მარქსმა პეგელის ნააზრევის დამახინჯების და გაყალბების შედეგად შექმნა თავისი „დიალექტიკური მატერიალიზმი“. ყოველი მოსახლენი მოვლენა, რომელიც უნდა განხორციელდეს პოლიტიკურ პლანში, ხსნებული საზოგადოებების ადგეტთა მიერ იგეგმება შემდეგნაირად: ჯერ იქმნება თეზა, შემდეგ ამას წარმოუქმნიან ანტითეზას, რათა საბოლოოდ განხორციელდეს სასურველი სინთეზი.

სატონის თქმით, ასეთი „ორდენი“, რომელმაც უდიდესი გავლენა მოიპოვა მე-20 საუკუნეში და ფაქტიურად წარმართავდა აშშ-ის პოლიტიკას, არის „თავისქალა და ძვლები“ (Skull and bones)¹. ორ-

1 ორდენის ჩვეულებრივი სახელია „Chapter 322“. იგი 1833 წელს უნდა იყოს დაარსებული გერმანიაში და იქიდანაა იმპორტირებული ამერიკის კონტინენტზე. აშშ-ის პრეზიდენტთაგან მისი წევრები იყვნენ უილიამ ტაფტი (1909-1913) და ჯორჯ ბუში (1989-1993).

სატონის სიტყვებით, ის მოძრაობა, რომელიც დამხობს ორდენს, ძალზე უბრალოდ და ეფექტურად იმოქმედებს. მასში გაერთიანებული იქნება 10000-დან 1 მილიონამდე ამერიკელი. ისინი ვერ შეეგუბიან იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ჭყლა სფეროში ბოსია და ამჯობინებენ იცხოვრონ კონსტიტუციის მიხედვით. ამ ბრძოლაში თითოეული მათგანი მიიღებს საკუთარ გადაწყვეტილებას და ამგვარად ჩაშლის ორდენის გეგმებს.

დენი თავის რეკრუტებს ძირითადად იელის უნივერსიტეტიდან მოკრებს: ყოველწლიურად მანდამიდება 15 უნივერსიტეტდამთავრებული. თუმცა ორდენი კონცენტრირებულია არა საუნივერსიტეტო საქმიანობაზე, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე: სამართალზე, აღზრდაზე, ფინანსებზე, მრეწველობაზე. იგი ერთგვარი შესაკრებელია ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს პოლიტიკურ-ფინანსური არისტოკრატიისა. ზემოხსენებული „საგარეო ურთიერთობათა საბჭო“, 1954 წელს დაარსებული „ბილდერბერგელების“ დაჯგუფება, აგრეთვე ამ უკანასკნელის ერთგვარი მოდიფიკაცია, ჯ. როკფელერის მიერ 1973 წელს დაარსებული „ტრილატერალური (ანუ სამმხრივი) კომისია“ ორდენის ეგზოტერულ, გარეგან მხარეს წარმოქმნის.

მაშასადამე ორდენისთვის „თეზა“ იყო ბოლშევიკური რუსეთი, მისი ანტითეზა – ნაცისტური გერმანია. მათ შორის გათამაშებულ კონფლიქტს მოჰყვა „სინთეზიც“, რომლის პირველი სიმპტომი იყო „გაეროს“ შექმნა 1945 წელს. ხოლო საბოლოო მიზანი ჰეგელიანური დიალექტიკის წესით წარმართული პროცესისა, სატონის სიტყვებით, არის „ისეთი საზოგადოება, რომელშიც სახელმწიფო ძალაუფლება აბსოლუტურია, ყოვლის-შემძლეა“.

„თავისქალას“ ისტებლიშმენტის ყველაზე კლასიკური წარმომადგენელი მე-20 საუკუნეში იყო ავერელ ჰარიმანი (უმცროსი), რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გამუდმებით მოძრაობდა

ვაშინგტონს, მოსკოვსა და ლონდონს შორის: ჯერ როგორც პრეზიდენტ რუზველტის საგანგებო ნდობით აღჭურვილი პირი, შემდეგ როგორც აშშ-ის სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში. იგი ჩერჩილს ახლდა მოსკოვში ვიზიტების დროს 1942 და 1944 წლებში და წარმოადგენდა ამერიკის ინტერესებს სტალინთან მიმდინარე მოლაპარაკებების დროს.

ისააკსონის და ოომასის ცნობით, იმ „დიპლო-
მატის“ კოდი, რომლითაც ჰარიმანს თან დაპქონ-
და ამ ურთიერთობათა ამსახველი საიდუმლო დო-
კუმენტები, იყო 322. ეს არის იელის უნივერ-
სიტეტის კლუბ-ლოგის „თავისქალა და ძვლები“
საკრალური რიცხვი. მისი ტრადიციით, ჩვ. წ.-მდე
322 წელს თავი მოიკლა ათენელმა რიტორმა
დემოსთენემ და ძმობის ისტორია თითქოსდა აქედან
იღებს სათავეს. ჰარიმანმა თავისი კარიერა წარ-
მატებით განაგრძო „ცივი ომის“ პერიოდშიც: პრეზ-
იდენტები ტრუმენი, კენედი, ჯონსონი, ნიქსონი და
კარტერი კრიზისულ ვითარებაში მას აგზავნიდ-
ნენ ხოლმე კრემლში მოსალაპარაკებლად. ჰარი-
მანს შესანიშნავი ურთიერთობა აკავშირებდა სტა-
ლინთან და ხრუშჩოვთან. საბოლოოდ უკვე 91
წლისამ 1983 წელს მოინახულა სასიკუდილოდ
გადადებული ანდროპოვი.

ის პოლიტიკა, რომელიც ავერელ ჰარიმანის მოღვაწეობის პერიოდში ისტებლიშმენტმა რუსეთის მიმართ შეიმუშავა, პირველ ეტაპზე გულისხმობდა ფაშისტური გერმანის ნეიტრალიზაციას და მის დაძლევას. სსრკ მოკავშირეთა პარტნიო-

რი გახდა მეორე მსოფლიო ომში მიუხედავად იმისა, რომ 1939 წლის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტში ჩადებული იყო ურთიერთთავდაუსხმელობის პრინციპი. „ცივი ომის“ პერიოდში (რომლის პირველ წლებში პარიმანი „მარშალის გეგმის“ დირექტორი იყო) ეს პოლიტიკა გულისხმობდა ევროპაში ბლოკთაშორისი დაპირისპირების მიუხედავად გარკვეული ბალანსის შექმნას, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა „პერესტროიკა“ თვით საბჭოთა კავშირში. მისი მიზანი კი უნდა ყოფილიყო არა დემოკრატიზაცია ან საზოგადოების პუმანიზაცია, არამედ ახალი სინთეზი. სატონი ჯერ კიდევ 1984 წელს აღნიშნავდა, რომ ორდენის მიზანია „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მიღწევა. მართლაც, „თავისექალას“ ისტებლიშმენტის წარმომადგენელმა, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უკვე 1990 წელს ახსენა „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ამერიკის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც მისი როლი გარკვეულწილად თავის თავზე აიღო რუსეთის ფედერაციამ, ამ პოლიტიკას ჯერ-ჯერობით სამი ძირითადი პუნქტი უნდა ჰქონდეს:

1. მკაფიო საზღვრები უნდა დადგინდეს რუსეთთან და მისი გავლენის სფეროებთან, ე. ი. ევრაზიასთან, რომელსაც არ გაუვლია რენესანსი, რეფორმაცია და განმანათლებლობა. ეს არ ნიშნავს, რომ მისგან საჭიროა სრული გამიჯვნა, არამედ გათვალისწინებულია გარკვეული დახმარება (უპირველეს ყოვლისა კრედიტებით) და სტრატეგიული პარტნიორობა. 2. ეს პარტნიორობა გულისხმობს, ერ-

თის მხრივ, რუსეთის ჩართვას სამშვიდობო პროცესებში, უწინარეს ყოვლისა ბალკანეთზე. 3. აუცილებელია რუსეთის ისეთ საგარეო-პოლიტიკურ კონსტილაციაში მოქმედა, რომ ეს უკანასკნელი, მიუხედავად თავისი მოსახლეობის ანტიდასავლური განწყობისა, მაინც ევროპასა და ამერიკაზე იყოს ორიენტირებული და არ განავითაროს საგანგებო ურთიერთობანი ჩინეთთან. ჩინეთ-რუსეთის ალიანსი, ბჟეზინსკის თქმისა არ იყოს, პრაქტიკულად რთული განსახორციელებელი იქნება, რადგან გაურკვეველია, ვინ იქნება მათში უფროსი ძმა. თანაც ჩინელებს



დღეს დასავლური ტექნოლოგია და მსოფლიო ვაჭრობა უფრო აინტერესებთ, ვიდრე რუსეთი. და მაინც, თუ ეს ალიანსი შედგა, დასავლეთს თვითონ მოუწევს „თეზის“ როლის თამაში, რაც ფრიად უსიამო იქნება მისთვის. ჩინეთი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ და მასთან ეკონომიკურ ომს დასავლეთის პოლიტოლოგები 21-ე საუკუნეში მოელიან.

მე-20 საუკუნეში დასავლური პოლიტიკა რუსეთს (ევრაზიას) საკვანძო მნიშვნელობას აკუთვნებდა. მოსალოდნელია, რომ ეს პრინციპი ძალაში დარჩება 21-ე საუკუნეშიც. ამით აიხსნება ის დამობები და კონცესიები, რომლითაც რუსეთი სარგე-


ბლობს დღეს. „ცივი ომის“ განახლება თეორიულად წარმოსადგენია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი საბოლოოდ აირჩივს ევრაზიულ ორიენტაციას და ჩინეთთან სტრატეგიულ თანამშრომლობას გადაწყვეტს, ხოლო დასავლეთს გადაეწურება იმედი მისი „მობრუნებისა“. ამიტომაც დასავლეთის აქტუალური პოლიტიკა რუსეთის მიმართ შეიძლება განისაზღვროს როგორც „ინტერდიპენტიზმი“ (ეს ნეოლოგიზმი მიანიშნებს ერთმანეთზე დამოკიდებულ ორ მხარეზე). ამგვარ კურსს დიპლომატიურ დონეზე დღეს წარმართავს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე სტრობ ტალბოტი, სესილ როუდსის ყოფილი სტიპენდიანტი და „თავისქალას“ არისტოკრატიის წარმომადგენელი, თუმცა იგი მასშტაბით, რასაკვირველია, ჩამოუვარდება ავერელ ჰარიმანს. ამავე დროს ნატო-ს და კრემლსაც საკუთარი კონსოლიდაციისთვის ესაჭიროებათ მტრის ხატი. მათი კონფრონტაცია გარკვეულ ჩარჩოებში სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ჯერ კიდევ 1994 წლის 30 ნოემბრის „ჰერალდ ტრიბუნში“ რიჩარდ კონი წერდა ბალკანეთის კრიზისთან დაკავშირებით: „ნატო-ს სჭირდება საერთო მტერი და უაზრობაა იმის მტკიცება, რომ სერბებს შეუძლიათ ამ როლის თავის თავზე აღება. ბოსნია დაკარგულია, და მასთან ერთად ნატო-ც. მხოლოდ რუსული საფრთხის განახლებას თუ შეეძლო მისი ხსნა.“ იგივე სცენარი, ოღონდ შებრუნებული როლებით, დღეს კრემლსაც აწყობს.

ხატოვნად რომ ვთქვათ, „თავისქალას“ სიმ-

ბოლო თითქმის შეუმჩნეველი ჭვირნიშანივით მოჩანს საქართველოს ახალი ისტორიის ფურცლებიდან. და მაინც: 1921 წლის 25 თებერვლისა და 1992 წლის 6 იანვრის შედეგთა ღიკვიდაციის შესაძლებლობა ყოველთვის იქნება, რამდენადაც მსოფლიოში მოქმედი ძალებიდან კავკასიას ბოლომდე ვერც ერთი ვერ აკონტროლებს. ზემოთ ნახსენები სამი ძირითადი პუნქტი წარმოქმნის გარკვეულ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია კორექტურებიც. მაგრამ საქმე ის როდია, საქართველო იპოვის თუ არა გზას დასავლეთისკენ: საქმე უფრო ისაა, ეს ცოცხალი საქართველო იქნება, თუ მისი გვამი, რომელსაც შეასვენებენ „ევროპულ სახლში“. მისი სიცოცხლე იქნება, რომ შესძლოს თავისი ინტერესების აქტიურად შეთავსება დასავლეთის ჯანსაღ, არაეგოისტურ ინტერესებთან. წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ ქართველთაგან თავგანწირულთა, აგრეთვე ჩეჩენი ხალხის უდიდესმა მსხვერპლმა შედეგი გამოიღო გეოპოლიტიკურ ასპექტში.

ამ მსხვერპლს გააჩნია სხვა, პოლიტიკაზე უფრო მაღლამდგომი ასპექტიც. ყველა ის, ვისთვისაც იგი წმინდათაწმინდაა, ვინც საქართველოს სულიერ მისიას ინდივიდუალურ დონეზე განიცდის, ვისთვისაც ეროვნულობა სუფრის პატრიოტიზმით და მზა ლოზუნგებით არ ამოიწურება, არ დაუშვებს ფორმულას „დასავლეთი დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ“. დასავლეთის სახელით ყოველივე არადასავლურთან ფანატიკური ბრძოლა ახალი რეგიონალ-მოვინიზმის, ფაშიზმის და

ნეოკოლონიალიზმის გამოხატულებაა, ისე როგორც
თავის დროზე ყოველივე „არასაბჭოურთან“ და-
პირისპირება. ეს „არადასავლური“, ცხადია, არ უნდა
გულისხმობდეს რაიმე იმპერიულ იდეოლოგიას, ად-
ამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს,
ეთნიურ წმენდას, ტერორიზმს, დიქტატურას და ა.
შ. ავილოთ საქართველოს დღევანდელი მდგომარ-
ეობა: ყველაფერი მიჰყავთ იქითკენ, რომ საზოგა-
დოება ორ ნაწილად დაიყოს. ქართველი ევრა-
ზიელ-კომუნისტებისთვის ყველა, ვინც მათთან არ
არის, ამერიკის აგენტია, ხოლო „მედასავლეთებ-
ისთვის“ პრორუსულია ყველა, ვინც მათ უპირო-
ბოდ მხარში არ ამოუდგება. გასაგებია, რომ ეს
ფანდია, გაუთვითცნობიერებელი ადამიანების თვა-
ლის ასაბმელად გამიზნული, ხოლო უმთავრესი
ძალაუფლების საკითხია. და მაინც: ეს კოლექ-
ტივისტური, არაქართული, არაქრისტიანული ტენ-
დენცია სავსებით უკუგდებული, ამოძირკული უნდა
იქნეს, რადგან იგი სხვის ქვეყნებში ატენილი ჭირია.
ჭეშმარიტი საქართველო მაღლა დგას ასეთ დუა-
ლიზმზე, რომელიც სამეურნეო ეგოიზმებიდან და
პოლიტიკანური ცდომილებებიდან იშვა. ხოლო მისი
სული, ითანეს გამოცხადების მე-10 თავში აღწერ-
ილი ანგელოზისდარად, თავს ირისე რომ დაპნა-
თის და სახე მზისებრ უელავს, ცალი ფეხით
ზღვას ეყრდნობა, მეორე ფეხით კი ხმელეთს. ამ
ხილვის სახისმეტყველება მიანიშნებს პოლარო-
ბათა დაძლევაზე ბუნებრივი და არა ხელოვნური
სინთეზის გზით.



ფორსაიტის ახალი საგა

1995 წელს მკითხველის ყურადღება მიიჰყო ინგლისელი მწერლის, ფრედერიკ ფორსაიტის ახალმა წიგნმა, რომელსაც ორიგინალში „აიკონ“ (ხატი) ეწოდება, ხოლო გერმანულ თარგმანში – „შავი მანიფესტი“. ფორსაიტს, ვისი სათავეადასავლო რომანებიც ძირითადად შპიონაჟის თემას შეეხება, ამ ნაწარმოების გამო პირადად დედოფალი ელიზაბეტ II-ის მიერ 1996 წელს მიენიჭა „ბრიტანეთის იმპერიის კომანდორის“ წოდება.

ეს წიგნი, ისევე როგორც ჯორჯ ორუელის „1984“ ფუტუროლოგიური ფანტასტიკის უანრს მიეკუთვნება. მასში აღწერილია რუსეთი 1999 წელს, რომლის ავადმყოფი და სნეული პრეზიდენტი სასიკვდილოდაა გადადებული, ქვეყანა უძიმეს ეკონომიკურ კრიზისშია ჩავარდნილი, სიდუხჭირე და მაფია დათარეშობს მის მეტროპოლიაში. ვინმე კომაროვი არის ახალი პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც მოახერხა ძლიერი პარტიული ორგანიზაციის შექმნა. იგი ხალხში იმდენად პოპულარულია, რომ ფაქტიურად არ ჰყავს კონკურენტი პოლიტიკურ სცენაზე. უდავოა, რომ იგი პრეზიდენტი გახდება.

რომელიდაც დამლაგებელმა კომაროვის კაბინეტიდან შემთხვევით ხელს გააყოლა უცნობი საიდუმლო დოკუმენტი. ეს არის დაახლოებით 40-გვერდიანი „შავი მანიფესტი“, ანუ კომაროვის მომავალი ხელისუფლების პროგრამა. აქ ლაპარაკია რუსეთის „ძველი დიდების“ აღდგენაზე, არმიის

რეორგანიზაციაზე, რომელმაც დამპყრობლური ომები უნდა აწარმოოს და დაკარგული ტერიტორიები (ე. ი. რესპუბლიკები) კვლავ შემოიერთოს, ხოლო ჩეჩენები და ებრაელები სავსებით ამოწყვეტილნი უნდა იქნენ.

მოხდება ისე, რომ „მანიფესტი“ ხელში ჩაუვარდება ბრიტანული საიდუმლო სამსახურის უფროსს მოსკოვში, რომელიც ტრადიციულად აღზრდილი, ფრიად ღვთისმოსავი შოტლანდიელი გახლავთ. დოკუმენტის შინაარსი მას ძალზე შეაშფოთებს და გადაწყვეტს ყოველნაირად შეუშალოს ხელი ამ „ახალი ჰიტლერის“ აღზევებას.

ამასობაში მზადდება „ლინკოლნის საბჭოს“ ყოველწლიური შეკრება. ამ კლუბს არ გააჩნია არანაირი წესდება, მისი წევრია ის, ვინც მოწვევას მიიღებს. დათქმულ დღეს უნდა შეიკრიბოს 40-მდე პირი, მათ შორის ლორდ კარინგტონი, ჩარლზ პრაისი (ბანკირი), ელიოტ რიჩარდსონი, ლედი მარგარეტ ტეტჩერი, ჯორჯ ბუში, ჰენრი კისინჯერი, სერ ნიკოლას ჰენდერსონი, სერ ეველინ როტმილდი. შეხვედრა შედგება ჯეკსონის მახლობლად, ვაიომინგის შტატში, ბანკირ საულ ნათანსონის სახლში. შოტლანდიელი იზრუნებს, რომ წრის შეკრებისას დღის წესრიგში შეიტანონ კომაროვის თემა. მართლაც, შეკრების შემდგომ შეიქმნება „საპროექტო ჯგუფი“, რომელმაც ხელი უნდა შეუშალოს კომაროვის გეგმების განხორციელებას. მისი მთავარი აღმასრულებელი არიან ინგლისელი ნიგელ ირვინგი და ახალგაზრდა ამერიკელი შპიონი იასონ მონკი. ისინი უაქცენტოდ ფლობენ რუსულს, ტერაქტების „ხე-



ლოვნებას“, ტყვიას ტყვიაში სვამენ, შეუძლიათ ნებისმიერი შენობიდან თოკით ჩამოსრიალება. მონსკა და ირვინგს ეფექტურ დახმარებას გაუწევს ჩეჩენი უმარ გუნაევი. მათი მიზანი რომანის ბოლოს მიღწეული იქნება: კომაროვი, როგორც „ხატი“ უკუგდებულია. რუსეთში ჩამოდის ინგლისში აღზრდილი რომანოვი, სამეფო დინასტიის გვერდითი შტოს შთამომავალი და იგი ხდება რუსი ხალხის მორიგი „ხატი“. ასეთია ფორსაიტის ეს ახალი საგა.

რომანიდან ჩანს, თუ რამდენად მიამიტია ევროპელი მწერალი, როდესაც იგი შეცდება გადამუშაოს რუსეთის თემა. არათერს არ ცვლის არც ის გარემოება, რომ იგი კარგად იცნობს დაზვერვების სტრუქტურასა და საქმიანობას, აგრეთვე ზოგადი წარმოდგენა აქვს დახურული „კლუბების“ შესახებ. დავიწყებ იმით, რომ „შავი მანიფესტის“ იდეა ვინმე კომაროვის თავში არ დაბადებულა მხოლოდ, თუნდაც ეს უკანასკნელი განზოგადოებული სახე იყოს. იგი ერთნაირად მოიცავდა რუსეთის მეფეების, მთავარმმართებლების, ეგზარხოსების, თეთრგვარდიელი გენერლების, წითელი კომისრების, გენსეკების და პრეზიდენტების გულსა და გონებას. ამ მხრივ ფრიად მწარე გამოცდილება აქვთ იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხებს, მეტადრე პოლონელებს, ლიტველებს, უკრაინელებს, ქართველებს, ჩეჩენებს.

ასევე არადამაჯერებელია რუსი ხალხის მოულოდნელი ფერისცვალება, რომელმაც ერთბაშად აქცია ზურგი თავის ძველ კერპს და ახლისაკენ იბრუნა პირი. რუსეთის ხალხის და საზოგადოების მეტამორფოზა არის ხანგრძლივი, მტკიცნეუ-

ლი პროცესი და არავინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება იგი. ამას წინ უნდა უძლოდეს საკუთარი ისტორიის სერიოზული, საფუძვლიანი გადამუშავება და ობიექტური დასკვნების გამოტანა, ხოლო ფასეულობათა ახალი სისტემა ნიშნავს უარის თქმას იმპერიაზე. მაგრამ შესძლებს კი ხალხი, რომლის მანიპულირებაც არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს, ბოლომდე გაიაზროს საკუთარი უბედურების მიზეზები? რუსეთში არ არსებულა და არც დღეს არსებობს გაშინაგნებული, მოქალაქეობრივი პოზიცია თავისუფალი ადამიანისა, რომელიც განასახიერებდა გარკვეულ ეროვნულ და სულიერ პრინციპებს. ამადაც რუსეთის ნებისმიერი მთავრობისათვის საკუთარი ხალხი დიდად არ განსხვავდება საქონლისაგან და დემოგრაფიული ციფრი ერთადერთი რეალური ატრიბუტია მისი.

თუმცა რომანში მძაფრი ირონიაა შეფარვული, რისთვისაც რუსეთის აბსურდულობამდე რადიკალური ნაციონალ-ბოლშევიკური სცენა კარგ საფუძველს იძლევა. ამასთან დაკავშირებით შვეიცარიელი ავტორი ფელიქს ინგოლდი წერს: „რუსეთის დღევანდელი ყოფა, რომელშიც არანორმალური ნორმადაა ქცეული, ვერ აღიწერება სიტყვით და აჭარბებს ყველგვარ თეატრალურ წარმოდგენას და მხატვრულ აქციას. ყველა ჯურის ექსტრემიზმები აქ ჩვეულებრივ ავტომატურ კოშმარად იქცნენ; ამის გამო სინამდვილე სულ უფრო ფიქციურ ხასიათს იღებს და განიცდება „დრამად“, „რომანად“ და „პერფორმანსად“, როგორც თვითორგანიზებული, საკუთარი კანონებით მოქმედი სისტემა და მასში ჩართული

ყოველი პირი, ნებსით თუ უნებლიერ, თავის როლს ასრულებს.“ („ნოიე ციურიხერ ცაიტუნგი“, 13 მარტი, 2000)

წიგნში საერთოდ არ არის გაშლილი „ოლიგარქიების“ თემა. ეს ფინანსური მაგნატები, რომლებმაც კომუნისტური წყობის მოშლის შემდგომ შეაკონტიწეს მრეწველობის, ბანკებისა და მას-მედიების ერთგვარი კონგლომერატი, უდიდეს პრობლემას წარმოადგენენ რუსეთში სამოქალაქო საზოგადოების და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის. ასე მაგალითად, რუსეთის ამერიკელი ექსპერტი ლი ვოლოსკი უურნალში „FOREIGN AFFAIRS“ (2000, №3) მიუთითებს იმ „ოლიგარქებზე“, რომლებმაც მაფიოზური მეთოდებით ხელში ჩაიგდეს ნავთობის მთელი მრეწველობა. იგი აღნიშნავს, რომ ხსენებულ პირთა მახინაციებმა დააფრთხო და საბოლოოდ განდევნა სერიოზული ინვესტორები.

თუ დასავლეთს რუსეთის მეტამორფოზა ნამდვილად აინტერესებს, მაშინ პრინციპული პოზიცია უნდა დაიკავოს და „გაგებით“ არ უნდა მოეკიდოს კრემლის დანაშაულებრივ მისწრაფებებს. ცხადია, ამ საქმეს ვერ უშველის თუნდაც გავლენიანი ჯგუფის შეკრება და ვერც კარგად გაწვრთნილი შემსრულებლები გახდებიან რამეს. აღარავერს ვიტყვი იმაზე, რომ დახვეწილი ინტრიგა არ გამოდგება სამოქალაქო წესრიგისა და მშვიდობის დასამყარებლად. თუმცა მწერალს ეს ყოველივე ეპატიება – ბოლოს და ბოლოს ის ხომ რომანს წერს და თანაც მომავალზე.



ჯორჯ სოროსის იდეები

მსოფლიო ფინანსთა მაგნატმა, მულტიმილ-იარდერმა ჯორჯ სოროსმა, რომელიც ცნობილია თავისი სახელობის „ფონდით“, 1998 წელს გა-მოსცა წიგნი „გლობალური კაპიტალიზმის კრიზ-ისი“. ამ წიგნში იგი ახალი საზოგადოებრივი წესრიგის კონცეფციას აყალიბებს. გამოვყოფ მეტა-დრე რამდენიმე თეზას, საიდანაც ყველაზე უკეთ ჩანს, თუ რაში ხედავს ავტორი გამოსავალს წიგ-ნის სათაურშივე ნახსენები კრიზისიდან.

სოროსი თავისი თეორიის ჩამოყალიბებას იწ-ყებს ზოგადად ინდივიდის კრიტიკით. იგი ნაკლო-ვანია, რამდენადაც არ შეუძლია თავისი გადაწყვე-ტილებანი სრულყოფილ ცოდნაზე დააფუძნოს; და ეს იმიტომ ხდება, დაასკვნის იგი, რომ ასეთი სრუ-ლყოფილი ცოდნა გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში არც არსებობს. ამრიგად, განსჯის უნ-არი და ზოგადად აზროვნება ეჭვქვეშაა დაყენებ-ული: იგია უმთავრესი დამნაშავე ამ არასრულ-ყოფილებისა. თუმცა ფილოსოფიის და ლიტერა-ტურის ისტორიას თუ გადავხედავთ, სოროსის ამ მოსაზრებაში არც არაფერი იქნება ორიგინალური: ადამიანური ინტელექტის უუნარობას, მოიცვას სამყაროულ კანონზომიერებათა სრული კომპლექსი, ახალი ეპოქის არაერთი ფილოსოფოსი აღიარებ-და.

ამგვარი მოსაზრებანი ცოტა არ იყოს უცნაუ-რია იმ კაცისაგან, ვინც უდავოდ ერთ-ერთი ნათლი-მამაა მსოფლიო სავალუტო სისტემისა. იგი აგრ-

ძელებს: ინდივიდუალისტურად მომქმედი ადამიანი საბაზრო ურთიერთობებში ოპერირებისას მხოლოდ საკუთარი სარგებლის გაზრდას ცდილობს. აქედან გამომდინარე, ავტორისათვის ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი თითქმის იდენტური მოვლენებია. სოროსი თანამედროვე ადამიანს, რომელიც ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობს და იღებს გადაწყვეტილებებს, დაახლოებით იგივენაირად ხედავს, როგორც თავის დროზე მარქესიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები. ამ უკანასკნელთათვის ექსპლოატატორთა კლასს პირადი მოგების გარდა სხვა მიზანი არ ამოძრავებს. ამავე ინტერესების გამო ინარჩუნებენ ისინი ბურჟუაზიულ სახელმწიფო წყობილებას. კლასთა ბრძოლის თეორეტიკოსები შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავალს ხედავენ — ესაა არსებული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, რაც პირველი ნაბიჯია უკლასო საზოგადოების შექმნისკენ. მათგან განსხვავებით სოროსი, ცხადია, სხვა გამოსავალს გვთავაზობს: „მოქცევის უნივერსალურ წესთა დანერგვა, როგორც ითქვა, არის ჩვენი დროის უდიდესი მოთხოვნილება,“ — წერს იგი.

თუმცა იგი არსად არ განმარტავს, თუ როგორი უნდა იყოს ეს კოდექსი, კონკრეტულად ვინ უნდა შეიმუშაოს იგი ან რა საშუალებებით უნდა განხორციელდეს. იგი წერს: „დემოკრატიის ამოცანაა, ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც საზოგადოების კოლექტიური ინტერესების შესაბამისად გამოტანილ გადაწყვეტილებას პრაქტიკულად განახ-

ორციელებს. ეს მექანიზმი კოლექტიური გადაწყვეტილების შერჩევაში იმავე ამოცანას შეასრულებს, რასაც საბაზო მექანიზმი – ინდივიდუალურ სფეროში.“ ამრიგად, ინდივიდუალისტს მხოლოდ ბაზარი დარჩა, რაც მისი უზომო ეგოიზმის და მომხვეჭელობის ასპარეზად გამოდგება. რაც შეეხება ეთიკას, იგი ანონიმურმა სახელმწიფო „მექანიზმა“ უნდა განსაზღვროს.

სოროსის წიგნის დედააზრია ის, რომ თანამედროვე გლობალური კაპიტალიზმი უნდა შეიცვალოს ახალი, „გახსნილი საზოგადოებით“. თანამედროვე კაპიტალისტური სისტემა სრულყოფილი რომ არ არის, არ-ახალია. მაგრამ საქმე ისაა, თუ რა საშუალებებით აპირებენ არასრულყოფილიდან სრულყოფილზე გადასვლას და რა ფორმაციას მიიჩნევენ საუკეთესოდ. ვინაიდან „სამყაროს ჩვენეული გაგება ნაკლოვანია და ჩვენს მოქმედებებს გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვება ხოლმე“, საჭიროა ინსტიტუტებმა გამოიტანონ ძირითადი გადაწყვეტილებანი. მაგრამ არც ცალკეული ინსტიტუტებია დაზღვეული შეცდომისაგან. ამიტომაც, სოროსის თქმით, უნდა შეიქმნას „უშეცდომოდ აწყობილ·მექანიზმებზე დაფუძნებული ინსტიტუტები, რომლებიც იმოქმედებს როგორც ბაზრისთვის, ისე დემოკრატიისთვის“. აქედან გამომდინარე, ცალკეულ ადამიანს არც არაფერი ევალება იმის გარდა, რომ ფეხი აუწყოს ამ „ახალ ინსტიტუტებს“. ამგვარად ფუნქციონირებს ის „გახსნილი საზოგადოება“, რომლის წინასწარმეტყველადაც სოროსი გვევლინება: იგი სხვა არაფერია, თუ არა რობოტული,

უსულგულო ორგანიზაცია.

თუ სოროსის თეორიას ზოგადად ისტორიულ-ფილოსოფიურ კონტექსტში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ადამიანებს ახალი დროის სხვადასხვა მონაკვეთებზე განსხვავებული მიღება ახასიათებთ წინამდლოლობის განმახორციელებელი ინსტანციის მიმართ. ასე მაგალითად, 130 წლის წინათ ცივილიზებული კაცობრიობის ერთმა ნაწილმა დაადგინა, რომ უცდომელი იყო მხოლოდ პაპი. საბჭოთა წყობილების გამარჯვების შემდეგ დედამიწის ერთ მეექვსედზე მიჩნეულ იქნა, რომ უცდომელია მხოლოდ კოლექტივი („პარტია არასოდეს არ ცდება“). სოროსის ზემოხსენებული მოსაზრება უცდომელი მექანიზმის შესახებ ამ მხრივ ახალ ეტაპს წარმოადგენს. აქვე შეიძლება ერთი პარალელის გავლება: თუ საფრანგეთის რევოლუციის წარმმართველნი ადამიანის სრული განთავისუფლების სახელით მოითხოვდნენ საყოველთაო თანასწორობის დამყარებას, სოროსი ამ ადამიანურ ინდივიდუალობას სულაც აუქმებს, როგორც ნაკლოვანს; თავისუფლება კი ეგოიზმისა და ჰედონიზმის დონეზე დაჰყავს.

მაგრამ წიგნში ყველაზე მეტად საინტერესოა სოროსისეული აღიარება იმ ნეგატიური შედეგებისა, რომლებიც მსოფლიო ფინანსურმა ბაზრებმა განაპირობა. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „ეს (ფინანსური) ბაზრები ხშირად შენობების ასაღებად განკუთვნილი რკინის ბურთის როლს ასრულებენ და ნანგრევებად აქცევენ არაერთ ეროვნულ ეკონომიკას. არგუმენტი, რომ ჩვენ თამაშის

წესებს ვიცავთ, მხოლოდ საკუთარი თავის გამართლებისთვის თუ გამოდგება. და მაინც, კარგი იქნებოდა, თუკი ჩვენ თვით ამ თამაშის წესებს მივხედავდით.“ სოროსი, ვისთანაც დასავლური პოლიტიკა თავის ყველა მნიშვნელოვან ნაბიჯს წინასწარ ათანხმებს, მიზნად არ უნდა ისახავდეს კიდევ ერთი თეორიის შექმნას სხვა მრავალთა შორის: საფიქრებელია, რომ მისი ნააზრევი ამა თუ იმ ფორმით პრაქტიკულადაც განხორციელდება.


ისტორიული განვითარება საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდგომ გვიჩვენებს, რომ ევროპული რესტავრაციონალიზმი მე-19 საუკუნეში შეუზღუდავი მონარქიის და რეაქციის ნიშნით წარიმართა. სოროსის თვალსაზრისები არის ერთ-ერთი სიმპტომი იმისა, რომ მე-20 საუკუნის დემოკრატიულ და ემანსიპატორულ ტენდენციებს თვისობრივად ახალი „რესტავრაცია“ უნდა მოჰყვეს – ამჯერად არა სამეფო ტახტების აღდგენის, არამედ სახელმწიფო ძალაუფლების ყოველმხრივი გაფართოებისა და გლობალიზაციის ნიშნით. ამგვარად, თვითმყოფადი აზროვნება სავსებით გამოირიცხება ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის და განათლების სფეროებიდან. ეს არის სისტემა, რომელშიც, სოციალიზმისა არ იყოს, „დემოკრატია“ ზედსართავი სახელია თაურსიტეტისა „ცენტრალიზმი“. იგი თავისი არსით იმდენად ანტიკუმანური იქნება, რომ მის ფონზე კაფკას „პროცესი“ შესაძლოა რეალისტურ ნაწარმოებად მოგვეჩვენოს.

ხსენებული პროცესები, ცხადია, უფრო ველუ-

რი ფორმით იჩენს თავს ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, სადაც ცალკეულ შემთხვევებში არ დაერიდებიან ლენინურ-სტალინური მეთოდების გამოყენებასაც. ნაკომუნისტარ ხელმძღვანელებს ეს არ ესწავლებათ. ყოველივე ამასთან დაკავშირებით შესაძლოა გაკეთდეს მხოლოდ ზოგადი პროგნოზი: ლიბერალიზაციის და ოფიციალური რესპუბლიკებში ერთგვარი შემზადებაა ზემოხსენებული რესტავრაციისა. სავარაუდოა, რომ მოსინჯვის სტადიაში მყოფი მოდელისათვის ცალკეულ კომპონენტებს დაესესხებიან საბჭოთა ტოტალიტარიზმს (ტრადიციული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის აღდგენის გარეშე, რომელმაც უკვე შეასრულა თავისი ამოცანა), აგრეთვე პინოჩიტის დიქტატურას.

ამასთან დაკავშირებით, ცხადია, დაისმის კითხვა, თუ როგორ შეეხება მსოფლიო მასშტაბის მქონე, მსგავსი პოლიტიკურ-ეკონომიკური ტენდენციები საქართველოს. ქვეყანაში ახალი დასავლური ტიპის სტრუქტურები მკვიდრდება, ფეხს იკიდებენ დასავლური ფირმები და კონსორციუმები. თუ რამდენად კორექტულად და ქვეყნისთვის სასარგებლოდ მიმდინარეობს ეს პროცესი, ამ საკითხს აღარ შევეხები. რისი მიზეზითაც არ უნდა ხდებოდეს, ფაქტია, რომ ეს ახალი საზოგადოებრივი „წესრიგი“ ქართველი ერის საკეთილდღეოდ ჯერ-ჯერობით არ მოქმედებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალ ოლიგარქებსა და მათ კლანებს. ამის შესახებ ბევრი დაიწერა და ითქვა. თუმცა ქართული კლეპტოკრატია იმ „თამაშის წესებიდან-

აც“ კი ძალზე შორს დგას, რომლებიც, სოროსის
თქმით, გადამოწმებას და შეცვლას ექვემდებარე-
ბიან: მცნება „არ იპარო“ ყველაზე პირველყო-
ფილ, ელემენტარულ დონეზეა დარღვეული მის
წარმომადგენელთა მიერ.



უცნობია აგრეთვე, თუ რა ბედი ეწევა ახალ
პირობებში ქართულ კულტურას. საუკუნეთა მან-
ძილზე იგი იქმნებოდა სულით არისტოკრატთა,
სულით აზნაურთა მიერ, რომელთა მიზანიც იყო
ქრისტიანული ეთიკით თვითმყოფადი ინდივიდუა-
ლობის აღზრდა. სწორედ ასეთთა მიერ წარიმა-
რთებოდა საქართველოს ისტორია თავისი დადებ-
ითი ასპექტით. ევანგელიური იდეალი ინდივიდუ-
ალიზმის და ეკლესიურობის პარმონიული შეწ-
ყვილების გზით ხორციელდებოდა. ამ კულტურამ
ახალ დროში გამოიარა გასაბჭოების, კოლექტივ-
იზაციის, სისხლიანი რეპრესიების, ომის, კომუნის-

ტური ტოტალიტარიზმის უმძიმესი განსაცდელი. კომუნისტური წყობის მოშლასთან ერთად თითქოს უნდა დამდგარიყო ის უკეთესი ხანა, რომელიც მის შემდგომ აღმავლობას, გადავლილი ავდრის მიერ იავარქმნილის აღდგენას შეუწყობდა ხელს. მაგრამ ისტორია სხვაგვარად წარიმართა: ამ კულტურის არსებობა დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას: ქვეყანაში არსებული სულიერი, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი საბოლოო განადგურებას უქადის მას, თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი ამ სასტიკი გამყინვარების ხანასაც გაუძლებს.



პირთა საძიებელი

ა

- აბაკუმი — 55
ანდრია კესარიელი — 54

ბ

- ბაირონი — 96
ბექონი, ფრენსის — 95
ბენგელი — 49
ბეტმან-ჰოლვეგი — 118
ბიუხნერი — 66
ბლანი, ლუი — 103
ბუზინსკი — 134
ბუში, ჯორჯ — 130, 133

გ

- განეცკი — 120
გიზო — 64, 112
გიორგი ნოგარე — 34
გოგებაშვილი, იაკობ — 93
გოეტე, იოან ვოლფგანგ — 24, 25, 31, 91
გრეგორ IX — 63
გრეგორ XVI — 59
გრეი — 127, 127
გრუსიე — 121

დ

- დ'ადემარი, კომტეს — 35, 35, 37
დ'ალამბერი — 31
დ'ანტენი — 31
დარვინი, ჩარლზ — 67
დემოსთენე — 132
დიდრო, დენი — 31

ვ

- ედუარდ VII — 76
ეკატერინე II — 72
ელიზაბეტ II — 139
ემერსონი — 96
ენგელსი, ფრიდრიხ — 58
ექსვინი — 127

კ

- ვარბურგი, მაქსი — 121
ვარბურგი, პოლი — 121
ვილანდი — 24
ვილსონი, ვუდრო — 128
ვილპელმ II — 117
ვილპელმ III ორანელი — 95
ვიქტორია — 100
ვოლკოგონოვი, დ. — 120
ვოლოსკი, ლი — 143

ჭ

- ზომარი, ფელიქს — 119

თ

- თომასი — 132

ი

- იაკობ I — 48, 48
იაკობ II — 94
იაკობ მოლე — 34, 34
იარქერი — 13
ივანე III — 54, 54
ივანე მრისხანე — 101
ინგოლდი, ფელიქს — 142
იოანე პავლე II — 79
იოანე შავოელი — 55
ისააკსონი — 132

ბ

- კარლოსი, დონ კარლოსი — 48
კარტერი, ჯიმი — 132
კაფკა — 149
კენედი, ჯონ — 132
კეპლერი — 49
კერენსკი — 120, 123, 123, 123
კლემენ XIV — 71
კლიმენტ V — 34
კლინტონი, უილიამ კელურსონი — 106



კოენი, რიჩარდ – 135
კომტი, ოგიუსტ – 66
კროული, ელისტერ – 24
კუიგლი, კეროლ – 105

ლ

ლენი – 118, 118, 118, 118, 120, 120, 120, 121, 121, 123, 124, 124, 124
ლეო XIII – 76, 76
ლესინგი – 31
ლოილა, იგნაციუს 43, 44, 49, 49, 49
ლუდენდორფი – 118, 118, 119, 119
ლუდოვიკ XVI – 34
ლუთერი, მარტინ – 48, 49, 50
ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტე – 64
ლუი-ფილიპე – 64

მ

მაკეი – 23
მანი, გოლო – 51
მარია-ანტუანეტა – 35
მარქსი, კარლ – 67, 103, 112, 112, 130
მესტრი, უოზეფ დე – 74, 75, 75, 75
მეტერნიხი – 111, 112, 112
მილიერანი – 121
მილნერი – 105
მიულერი – 24
მოლე, იაკობ – 34, 34
მოლეშოტი – 66
მოცარტი – 25
მონრო – 104
მორგანი – 123

ნ

ნაპოლეონ III – 60
ნიკონი – 56
ნილ სორსკი – 55

ნიქსონი – 132, 137
ნიკოლოზ I – 59, 59, 112
ნოვალისი – 50
ნორფოლკის ჰერცოგი – 76

ო

ოეტინგერი – 49
ორუელი, ჯორჯ – 139

პ

პავლე II – 43
პაპიუსი – 24
პარვუსი – იხ. ჰელფანდი
პეტრე I – 29, 57
პეტრე სკარგა – 53
პიუს VII – 72
პიუს IX – 59, 59, 63, 76
პიუს XII – 79
პო, ედგარ – 96
პომბალი – 71
პომპადური, დე – 71
პოტიომპინი – 72
პფაიფერი, ჰაინც – 120

ჟ

ჟივოტოვსკი – 121

რ

რანკე, ლეოპოლდ – 67
რატენაუ, ვალტერ – 88
რიკარდო, დევიდ – 103
რიმეკი, რ. – 76
რობაქიძე, გრიგოლ – 124
როუდსი, სესილი – 105, 105, 105, 106, 135
როიხლინი – 49
როკფელერი – 123
როკფელერი, ჯ. – 131
როტშილდი – 76
რუზველტი – 132

ს

სანდი, უორუ – 26

სატონი, ენტონი — 121, 123,
128, 129, 130, 130, 131, 133
სენ-უერმენი — 34, 37, 39, 111
სენ-სიმონი — 103
სიგიზმუნდ II ვაჟა — 53
სმიტი, ადამ — 103
სოლოვიოვი, ვლადიმერ — 75
სოლისბერი — 76, 77
სოროსი, ჯორჯ — 145, 145,
145, 145, 146, 146, 147, 147,
147, 148, 148, 148, 149, 149, 151
სტალინი — 79
სტეფანე ბატორი — 53, 53

ტ

ტალბოტი, ნელსონ სტრობრიჯ — 106
ტალბოტი, სტრობ — 135
ტაფტი, უილიამ — 130
ტისენი, ფრიც — 129
ტომსონი — 123
ტროცკი, ლ. — 121, 121, 122
ტრუმენი, პარი — 113, 132

უ

უაილდი, ოსკარ — 96
უიტმანი, უოლტ — 96, 113
უორდსორთი — 96

ვ

ვარნერი, გ. — 83
ვილიპ ეგალიტე (შარტრის პერცოგი) — 33, 36
ვილიპე ლამაზი — 34, 34
ვილიპე II — 48
ვილოთეოსი — 54
ვოგტი — 66
ვორსაიტი, ფრედერიკ — 139,
139, 139
ვოტიოსი — 56, 56, 56

ფრეზერი, ჯეიმს ჯორჯ — 88
ფრიდრიხ II — 72
ფურიე — 103

გ

შამილი — 61
შარტრის პერცოგი —
იხ. ფილიპ ეგალიტე
შახტი, პაილმარ — 129
შელლი — 96
შექსპირი — 95, 96
შილერი, ფრიდრიხ — 50
შრიოდერი, კურტ — 129
შტაინერი, რუდოლფ — 9, 12,
13, 13, 13, 18, 23, 24, 31, 39, 46,
47, 65, 68, 72, 74, 99, 102, 109,
127, 130

ჩ

ჩერჩილი, რანდოლფ — 76
ჩერჩილი, უინსტონ — 132
ჩიჩერინი — 79

ჯ

ჯონსონი — 132

ჰ

ჰანტინგტონი, სამუელ — 80,
80
ჰანფშტენგელი — 129
ჰარიმანი, ავერელ — 131, 132,
132, 132, 133, 135
ჰეგელი — 41, 104, 130, 130
ჰეკეთორნი, ჩარლზ უილიამ —
14, 21, 23, 33, 36, 43, 44, 71, 71,
73
ჰელფანდი, ალექსანდრე (პარ-
ვუსი) — 120, 120, 121
ჰერდერი — 31


გამოყენებული ლიტერატურა

- 1) Boos Roman, Wirklichkeit und Schein im modernen Staatsbegriffe, Berlin 1931
- 2) Bock Emil, Boten des Geistes, Stuttgart 1987
- 3) Bracher Andreas, "Schädel und Knochen" an der Wall Street, Europäer, Nr. 6-7, 1999
- 4) Champdor Albert, Das Aegyptische Totenbuch, Freiburg 1993
- 5) Decker Ed, The question of freemasonry, Lafayette, Louisiana 1992
- 6) Farner G. A. Ueber den Sinn des Lebens, Zürich 1946
- 7) Forsyth Frederick, Das schwarze Manifest, C. Bertelsmann 1995
- 8) Hahn Herbert, Vom Genius Europa, Bd. 1-2, Dornach 1963
- 9) Heckethorn Charles William, Geheime Gesellschaften, Geheimbünde und Geheimlehren, Leipzig 1900
- 10) Heise Karl, Entente-Freimaurerei und Weltkrieg, Basel 1920
- 11) Heyer Karl, Aus dem Jahrhundert der französischen Revolution, Breslau 1937
- 12) Huntington Samuel, Kampf der Kulturen, München-Wien 1998
- 13) Isaacson W., Thomas E., The Wise Men, New-York 1988
- 14) Joll James, Europe since 1870, An International History, London 1990
- 15) Mackey Albert G. Encyclopedia of Freemasonry, rev. ed. 1921
- 16) Mann Golo, Walenstein; sein Leben erzählt von Golo Mann, 3 Bd., Eischer Taschenbuch Verlag 1974
- 17) Marlow John, Cecil Rhodes. The Anatomy of Empire, London 1972
- 18) Marx Karl/Engels Fridrich, Russlands Drang nach Westen, Der Krimkrieg und die europäische Geheimdiplomatie im 19. Jahrhundert, Zürich 1991
- 19) Meyer Thomas, Ludwig Polzer-Hoditz Ein Europäer, Basel 1994

- 20) Polzer-Hoditz Ludwig, Das Testament Peters des Grossen, Dornach 1989
- 21) Pfeifer Heinz, Die Brüder des Schattens, Zürich 1983
- 22) Quigley Carroll, Tragedy and Hope. The World in our Time, New-York 1996
- 23) Reuveni Amnon, Im Namen der "Neuen Weltordnung" Dornach 1994
- 24) Riemeck Renate, Moskau und der Vatikan, Basel 1978
- 25) Riemeck Renate, Mitteleuropa - Bilanz eines Jahrhunderts, Frankfurt 1983
- 26) Schöffler Heinz Herbert, Der Kampf um das Menschenbild. Das achte Oekumenische Konzil von 869 und seine Folgen, Dornach 1986
- 27) Somary Felix, Erinnerungen aus meinem Leben, Zürich, 1959
- 28) Soros George, Die Krise der Globalen Kapitalismus, Frankfurt 1998
- 29) Steiner Rudolf, Gesamtausgabe, Bd. 93, 167, 173, 174, 184, 192, 194, 197, 198, 216, Dornach
- 30) Sutton Anthony C. How the order creates war and revolutions, Veritas publishing Company, 1985
- 31) Волкогонов Дмитрий, Ленин, политический портрет в двух книгах, Москва 1994.

წიგნები გამოყენებულია ძველი და
ახალი დროის
ქართველი და უცხოელი
მხატვრების ნამუშევართა
ფრაგმენტები

გამოცემლობა „კანდელის“
მიერ გამოცემული წიგნები



წესი პრისტიანის
ცხოვრებისა



ლოცვები თჯანის
ბერნიერებისათვის

722/574



აღსანებისათვის

დაგეხმარებათ თქვენი
ცხოვრების ქრისტიანული
წესით წარმართვაში.

K304.416
3



უცნობია აგრეთვე, თუ
რა ბედი ეწევა ახალ
პირობებში ქართულ
კულტურას. საუკუნეთა
მანძილზე იგი იქმნებოდა
სულით არისტოკრატითა,
სულით აზნაურთა მხერ,
რომელთა მიზანიც იყო
ქრისტიანული ეთიკით
თვითმყოფადი
ანდივიდუალობის
დღწრდა. სწორედ ასეთთა
მიერ წარიმართებოდა
საქართველოს ისტორია
თავისი დადებითი
ასპექტი.